პალიტრა მედია

# ლელო-78

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

13 აპრილი პარასკევი 2012 №087 (13693) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

78 წელიწადი ქართული სპორტისა და სპორტის ქომაგთა სამსახურში

## დღეს ლელოს დაბადების დღეა

## მამლები დავიფრინეთ

### ამასაც მოვესწარით:

### საქართველო – საფრანგეთი 3:0



2

საფრანგეთთან მატჩი ვაკო ყაზაიშვილის (მარჯვნივ) ბენეფისად იქცა: ქართველმა ფეხბურთელმა ჰეთ თრიკი შეასრულა



გიორგი შერმადინი (ბურთით) მაქაბის წინააღმდეგ

## შერმადინი და ბლაფი

### ქართველი ცენტრი მაქაბის სურს



ზაზა ფაჩულია (მარცხნივ ) ბურთისთვის ბრძოლაში

## ორვერტაიმი

### ზაზას კლასიკური საღამო ბოსტონში

### მანუს ათიანი და ჩამოგდებული მონტეპასკი

12

ქართული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

U 19

# ჩვენი ახალგაზრდების პარადოქსები: 0:5 პორტუგალიასთან, 3:0 საფრანგეთთან ვაკო ყაზაიშვილის ჰეთ თრიქით!



ვაკო ყაზაიშვილმა საფრანგეთს 3 გოლი გაუტანა

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა პორტუს 30-ე საერთაშორისო ტურნირზე ერთმანეთისგან განსხვავებული ორი შეხვედრა ჩაატარა. ჯერ იმას ვიტყვით, რომ ორგანიზატორებმა თავდაპირველი გრაფიკი შეცვალეს და 12 აპრილის ნაცვლად, ტურნირი 11 აპრილს დაიწყეს, ჩვენი პირველი მეტოქე კი საფრანგეთის ნაცვლად, მასპინძელი პორტუგალია იყო.

**ოთარ კორღალიძის** გაწვრთნილებისთვის პირველი შეხვედრა წარუმატებელი გამოდგა – მასპინძლებმა 5:0 მოიგეს. მატჩის მიმოხილვა პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე ვნახეთ.

პორტუგალიის 19-წლამდელთა ნაკრებმა ანგარიში მე-10 წუთზე გახსნა – თავი **ბრუმამ** გამოიჩინა, ტაიმის მიწურულს კი საქართველოს კარი მეორედ **ივან კავალეირომ** აილო.

მასპინძლეთა უპირატესობა მეორე ნახევარში უფრო გამოიკვეთა, **ტიაგო ფერეირას, ფაბიო მარტინსისა** და **ბეტინიოს** გოლებით პორტუგალიამ 5:0 გაიმარჯვა. ამ უკანასკნელმა მსაჯის საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე გაიტანა. პორტუგალიის ფედერაციის პრეს-სამსახურის ცნობით, მასპინძლებმა ლამაზი ფეხბურთი აჩვენეს. მატჩის დამატებით დროში სტუმრები კაცნაკლულნი დარჩნენ: მსაჯმა **ნიკა სანდოხაძეს** პირდაპირ წითელი ბარათი აჩვენა.

*"შედეგი ჩვენს უპირატესობას ასახავს. დღეს ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით და მეტის გატანაც შეგვეძლო. ბიჭებმა ძალიან კარგი ხარისხის ფეხბურთი აჩვენეს. მთელი შეხვედრა გუნდი აზრიანად თამაშობდა ყველა რგოლში. მეტოქემ მხოლოდ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა. ჩვენი უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა. ახლა ელიტ რაუნდის მატჩებისთვის ვემზადებით და ევროპის ჩემპიონატზე გასვლა ჩვენი მთავარი მიზანია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფეხბურთელები ბოლო წუთამდე იბრძოდნენ და მოედანი სუფთა სინდისით დატოვეს"* – განაცხადა გაწვრთნილებით კმაყოფილმა პორტუგალიელთა მთავარმა მწვრთნელმა **ედგარ ბორგესმა**.

**პორტუგალია-საქართველო 5:0**

11 აპრილი. "ესტადიო მუნიციპალ დე მარკო დე კანავეეს". 1000 მაყურებელი.

1:0 ბრუმა (10), 2:0 კავალეირო (45+2), 3:0 ფერეირა (66), 4:0 მარტინსი (77). 5:0 ბეტინიო (90+5).

საქართველო: ლეგაშვილი - ზარნაძე (75. გეგეჭკორი), თედო გრიგალაშვილი (67. გაგნიძე), სანდოხაძე, გაგოშიძე (46. ენდელაძე) - პარუნაშვილი, პაპავა, რეხვიაშვილი (67. სილაქაძე) - ყაზაიშვილი, გელაშვილი (75. ფანცულაია), კიკნაველიძე (46. რუხაძე).

სათადარიგოები: ტყეშელაშვილი, ჯგერენაია.

გაძევება: სანდოხაძე (90+4).

არბიტრი: ნ. სიმოვიჩი (სერბეთი).

გუშინ საქართველო საფრანგეთს შეხვდა და დიდი სენსაცია გამოაცხო. პირველ დღეს განადგურებულმა ქართველებმა ფრანგებთან ღირსეულად ითამაშეს: მატჩის გმირი **ვაკო ყაზაიშვილი** გახდა, რომელმაც ჰეთ-თრიქი შეასრულა. არნემის "ვიტესის" ქართველმა ნახევრამცველმა ფრანგებს ერთი გოლი პენალტით გაუტანა, ჩვენმა 19-წლამდელებმა კი 3:0 მოიგეს - ძალიან მოულოდნელი და სასიხარულო შედეგია.

**საქართველო-საფრანგეთი 3:0**

1:0 ყაზაიშვილი (45), 2:0 ყაზაიშვილი (58-პენ.), 3:0 ყაზაიშვილი (90)

საქართველო: ლეგაშვილი - ზარნაძე (რეხვიაშვილი 70), თედო გრიგალაშვილი, გაგნიძე, გეგეჭკორი – პარუნაშვილი (რუხაძე 85), პაპავა (გაგოშიძე 90), ჯგერენაია - ყაზაიშვილი (სილაქაძე 90), გელაშვილი (ფანცულაია 90), ენდელაძე (კიკნაველიძე 85)

პირველ ტურში კი საფრანგეთმა სერბეთს 2:0 მოუგო. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელი მატჩის მთავარი მსაჯი ფიფას ქართველი არბიტრი **დავით ხარიტონაშვილი** იყო. პორტუგალიამ მეორე ტურში სერბეთსაც მოუგო - 3:2 და ტურნირს ლიდერობს, საქართველო კი - მეორეზეა.

| | თ | მ | ფ | | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუგალია | 2 | 2 | 0 | 0 | 8-2 | 6 |
| 2. საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 3-5 | 3 |
| 3. საფრანგეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 4. სერბეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |

ბოლო ტურში, 14 აპრილს პორტუგალია საფრანგეთს შეხვდება, საქართველო კი - სერბეთს. იმედია, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ამ შეხვედრაში და, რაც მთავარია, ელიტ რაუნდშიც ასევე წარმატებით ითამაშებს.

**მერაბ მამულაშვილი**



ოთარ კორღალიძე

U16



ნოდარ აკობია

# მეტოქეებიც დაზუსტდა და კალენდარიც

როგორც ცნობილია, რამდენიმე დღეში თბილისი ორ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს – 16-წლამდელ ვაჟთა და 17-წლამდელ გოგონათა შორის. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურმა ვებგვერდმა ორივე ტურნირის კალენდარი გამოაქვეყნა.

საქართველოს ვაჟ 16-წლამდელთა ნაკრებთან ერთად, ოთხთა ტურნირში თურქეთი, სომხეთი და ყაზახეთი ითამაშებენ. შეგახსენებთ, ეს ის ნაკრებია, რომელიც შემოდგომაზე ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაერთვება. ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ნოდარ აკობიაა.**

**15 აპრილი**

**ნახევარფინალი**

13:00 მ. მესხი საქართველო-სომხეთი
13:00 ბასა თურქეთი ყაზახეთი

**17 აპრილი**

14:00 მატჩი მესამე ადგილისთვის
16:00 ფინალი

გოგონათა ტურნირში საქართველოს ნაკრებთან ერთად, თურქეთი, აზერბაიჯანი და ყაზახეთი იასპარეზებენ.

**19 აპრილი**

**ნახევარფინალი**

14:00 მ. მესხი საქართველო-ყაზახეთი
16:00 ბასა თურქეთი-აზერბაიჯანი

**21 აპრილი**

14:00 მატჩი მესამე ადგილისთვის
16:00 ფინალი

ორივე ტურნირს უეფადან მოვლენილი ოფიციალური წარმომადგენლები დაესწრებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

**პირველი ლიგა. II ეტაპი**

XII ტური

**A ჯგუფი**

ჭიათურა-კოლხეთი (ხობი) 1:0
სქური (წალენჯ.)-სამგურალი (წყალტ.) 1:1
ზოოვეტი (თბ.)-მესხეთი (ახალციხე) 0:0
აეტი (სოხუმი)-სამტრედია 14. 04

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჭიათურა | 12 | 8 | 2 | 2 | 19-10 | 26 |
| 2. სქური | 12 | 5 | 3 | 4 | 17-14 | 18 |
| 3. ზოოვეტი | 12 | 5 | 3 | 4 | 13-15 | 18 |
| 4. სამტრედია | 11 | 4 | 4 | 3 | 10-8 | 16 |
| 5. სამგურალი | 12 | 4 | 3 | 5 | 16-12 | 15 |
| 6. მესხეთი | 12 | 4 | 3 | 5 | 7-11 | 15 |
| 7. კოლხეთი | 12 | 3 | 5 | 4 | 8-8 | 14 |
| 8. აეტი | 11 | 2 | 1 | 8 | 9-21 | 7 |

**B ჯგუფი**

სულორი (ვანი)-მეშახტე (ტყიბული) 0:4
იმერეთი (ხონი)-ადელი (ბათუმი) 2:0
წ/დინამოელი (თბ.)-ჩხერიმელა (ხარაგ.) 1:2
სტუ (თბ.)-ლოკომოტივი (თბ.) 13.04

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტუ | 11 | 9 | 1 | 1 | 38-18 | 28 |
| 2. წ/დინამოელი | 11 | 7 | 1 | 3 | 24-15 | 22 |
| 3. იმერეთი | 11 | 6 | 1 | 4 | 18-13 | 19 |
| 4. ჩხერიმელა | 11 | 5 | 3 | 3 | 13-13 | 18 |
| 5. ლოკომოტივი | 9 | 4 | 3 | 2 | 26-15 | 15 |
| 6. მეშახტე | 11 | 3 | 2 | 6 | 17-22 | 11 |
| 7. სულორი | 12 | 2 | 1 | 9 | 9-31 | 7 |
| 8. ადელი | 12 | 1 | 2 | 9 | 21-27 | 5 |

პრესკონფერენცია

# კარგი ტრამპლინი B ლიცენზიის მოსაპოვებლად




ლადო ვარძელაშვილი (მარცხნივ) და ზვიად სიჭინავა

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

გუშინ მიხეილ მესხის სტადიონის საკონფერენციო დარბაზში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის **ლადო ვარძელაშვილისა** და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის **ზვიად სიჭინავას** ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც მათ C ლიცენზიის მფლობელ მწვრთნელთა გადამზადების პროგრამაზე ისაუბრეს.

პროგრამის პრეზენტაცია სპორტის სამინისტრომ რამდენიმე დღის წინ გამართა, გუშინ კი მინისტრმა მის შესახებ უფრო დეტალური ცნობები მოგვაწოდა.

უშუალოდ პროგრამა, რომელიც ესპანელი სპეციალისტების ხელმძღვანელობით "მიხეილ მესხზე" წარიმართება, 7 მაისს დაიწყება, 240 სასწავლო საათისგან შედგება და 12 კვირის განმავლობაში გასტანს. პროგრამა შედგება როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ნაწილისგან.

პროგრამაში მონაწილეობის მსურველებმა კი 17-დან 25 აპრილამდე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ტესტირებისთვის უნდა მიაკითხონ. პროგრამაში მონაწილეობის უფლებას ჩ კატეგორიის ლიცენზიის ის მფლობელები მიიღებენ, რომლებიც თეორიულ ტესტირებაში საუკეთესო შედეგებს აჩვენებენ. აღნიშნული პროგრამა მისი მონაწილეთათვის კარგი საფუძველი უნდა გახდეს სფფ-ის მიერ ორგანიზებული B ლიცენზიის კურსებზე სამონაწილეოდ.

სპორტის სამინისტრო და სფფ შემდგომში მკაცრად გააკონტროლებენ C ლიცენზიის მფლობელ მწვრთნელთა საქმიანობას. გეგმის მიხედვით, ამ კატეგორიის ლიცენზიის მქონე მწვრთნელებს მომავალი წლიდან უნდა აეკრძალოთ 12 წელზე უფროს ბავშვებთან მუშაობა, როგორც ამას უეფას მოთხოვნები ითვალისწინებს.

დღეისთვის C ლიცენზიას დაახლოებით 700 ქართველი მწვრთნელი ფლობს და მათგან მხოლოდ 65% დასაქმებული. სფფ-ისა და სპორტის სამინისტროს მიზანია მათ შორის ყველაზე კვალიფიციური კადრების შერჩევა და შემდგომში მათი დასაქმების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მსმენელთა პრაქტიკით უზრუნველყოფაც.

მკაცრ მოთხოვნებს წაუყენებენ საფეხბურთო სკოლებსაც. მაისში მათ დეტალურად შეამოწმებენ და ხარვეზების აღმოსაფხვრელად ვადას მიმდინარე წლის ბოლომდე მისცემენ. ის სკოლები, რომლებიც ამ პერიოდისთვის მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებენ, დაიხურებიან და მათ აღსაზრდელებს სხვა სკოლები გადაინაწილებენ.

ქართულ-ესპანური ერთობლივი პროგრამა საპილოტეა და შემდგომში იგი უფრო ფართო მასშტაბებით წარიმართება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პროგრამას მთლიანად სახელმწიფო აფინანსებს და ის მსმენელები, რომლებიც ტესტირებას წარმატებით გაივლიან და კურსებზე მოხვდებიან, სწავლების გადასახადისგან თავისუფალნი იქნებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# მე და სხირტლაძე კონკურენტები ვერ ვიქნებით

## დევდარიანმა ნავსი არდადეგებზე უნდა გატეხოს

ფეხბურთი ცხოვრებასავითაა და რა აღარ ხდება. ეს ოხერი ყისმათი კი ყველგან და ყოველთვის საჭიროა. ფეხბურთელისთვის უმთავრესი ალბათ ჯანმრთელობაა, მერე კი სხვა დანარჩენი. ფეხბურთიც ისეთი სპორტია, სადაც პროფესიონალი ჯანმრთელობის რისკზე მიდის.

**დავით დევდარიანი** 24 წლის გახლავთ. ნიჭი ღმერთის წყალობით არ აკლია, მაგრამ იღბალი ჯერჯერობით ნაკლებად თუ სწყალობს. უპრობლემოდ ფეხბურთიც არ ვარგა, მაგრამ ზღვარი აქაც უნდა იყოს.

დევდარიანი დანიური სუპერლიგის გუნდის, "ორჰუსის" ფეხბურთელია, საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია, მაგრამ ტრავმიანობა არა და არ ეშვება. ახლაც მაგ დღეშია.


დავით დევდარიანი

"ჯერ არ ვიცი, როდის დავიწყებ თამაშს, რეაბილიტაციის პერიოდი გრძელდება. ოპერაცია შარშან დეკემბერში გამიკეთეს, მუხლი ქრონიკულად მაწუხებდა, არ მივხედე, დასვენება სჭირდებოდა, თუმცა ვარჯიშსა და თამაშს მაინც ვაგრძელებდი. მუხლიც გალიზიანდა, ნამონაზარდი გამიჩნდა და ოპერაცია აუცილებელი შეიქნა. სპეციალური ტრენაჟორები, ველოსიპედი და ცოტაც ცურვა – ასეთნაირად ვცდილობ ტონუსში ყოფნას და ეს სარეაბილიტაციო პროცესშიც შედის. სავარაუდოდ, ზაფხულის არდადეგების შემდეგ შევძლებ გუნდთან ერთად ვარჯიშის დაწყებას" – გვითხრა დანიაში მყოფმა დევდარიანმა სატელეფონო საუბრისას.

დათო ოთხი წლის წინ წავიდა "ორჰუსში", მანამდე ის რუსთავის "ოლიმპის" ფეხბურთელი იყო. ოთხი წელი ცოტა არ არის, ეს არის პერიოდი, როცა კარგად ეგუები ერთ სამყოფელს და შემდეგ, თუ ამბიცია და ახლის შეცნობის სურვილი გაქვს, სხვაგან გინდება ფეხის მოკიდება.

"იყო რაღაც შანსი, სხვა ქვეყანაში რომ წავსულიყავი, მაგრამ წინსვლისთვის აუცილებელია არცთუ მცირე დროით სტაბილურად თამაში. რამდენჯერაც სტაბილურად ავთამაშდი, სულ რაღაც დამემართა. კი მინდა უკეთეს ლიგაში თამაში, თუმცა ტრავმების გამო ეს ჯერ ვერ ხერხდება. კლუბის და ქვეყნის გამოცვლა მსურს, უფრო მაღალ დონზეც უნდა მოვსინჯო ძალა".

დანია სოციალურად მოწინავე ქვეყანაა და ევროპულ ფეხბურთშიც ეთქმის სიტყვა. დანიელებს რახანია აქვთ თვითმყოფადი საფეხბურთო კულტურა, თავიანთი ნიშა უკავიათ და საქართველოდან იქ წასვლა ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის სასარგებლო უნდა იყოს. დანია რუსეთი და უკრაინა არ არის, ფეხბურთელი იქ წასვლით რომ გამდიდრდეს, სამაგიეროდ ჩინებული სარბიელია მოწინავე ევროპულ ლიგას თუ უმიზნებ.

"დანიაში გატარებულმა ოთხმა წელმა საკმაოდ ბევრი მომცა. დანიაში რომ ჩავედი, თავს მარტო ვგრძნობდი, მოწყვეტილი ვიყავი ახლობლებს, ბავშვობის მეგობრებს, ასეთ დროს არ არის ადვილი წარმატების მიღწევა, ასეთი სირთულეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პიროვნების ჩამოყალიბებაში. ვფიქრობ, დანიაში გავიზარდე როგორც ფეხბურთელიც და როგორც პიროვნებაც".

დევდარიანმა ისიც გვითხრა, რომ დანიაში ბოლომდე ვერ წარმოაჩინა საკუთარი შესაძლებლობები, არ უჩვენებია საკუთარი მაქსიმუმი და ამის იმედი მომდევნო სეზონში აქვს.

ისეთი დრო დადგა, უცხოეთში წასული მზარდი ქართველი ფეხბურთელები სამშობლოში ბრუნდებიან, ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობენ. დევდარიანს ასეთ ვარიანტზეც ჩამოვუდგეთ სიტყვა.

"სიმართლე გითხრათ, ამ საკითხზე საფუძვლიანად ჯერ არ მიფიქრია. ჩემთვის საქართველოში დაბრუნება ალბათ ნაადრევია, ჯერ დანიაში ვარ და უკეთესის მოლოდინი მაქვს."

უნაკლო ფეხბურთელებად მხოლოდ გენიოსები თუ ჩაითვლებიან. დევდარიანს დასაწუნი თითქმის არაფერი აქვს, თუმცა საკუთარ ნაკლოვანებებზე საუბარს არ ერიდება.

"დანიაში რომ ჩამოვედი, ჩემი ნაკლი არასათანადო ფიზიკური კონდიციები იყო. ისეთ პოზიციაზე ვთამაშობ, ძალისმიერ ორთაბრძოლებში თუ დაიჩაგრე, არაფერი არ გამოგივა. ამ ნაკლზე ვიმუშავე და მიმაჩნია, რომ გამოვასწორე კიდეც, მაგრამ რა ვუყო ტრავმებს? ეს უიღბლობის გარდა ალბათ ნაკლიც არის".

დევდარიანი შემტევი შუახაზელია, რბილი, ტექნიკური მანერით მოთამაშე, გონიერი და დახვეწილი – ასეთია ის, როცა ჯანზეა და ყველაფერი გამოსდის. "ორჰუსში" კიდევ ერთი ქართველი თამაშობს, ვინც სათამაშო სტილით წააგავს დევდარიანს. **დავით სხირტლაძე** ჩვენმა ქომაგმა **გიორგი დევდარიანის** გაწვრთნილი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებით გაიცნო. სხირტლაძე ახლა 19 წლისაა და ახლოს არის იმასთან, რომ "ორჰუსის" საკვანძო ფეხბურთელი გახდეს.

"სხირტლაძე რახანია "ორჰუსის" პირველ გუნდშია. ბოლო მოსამზადებელ პერიოდში მან ძალიან კარგად წარმოაჩინა თავი, თითქმის ყველა მატჩში გოლი გაიტანა. გარჯა დაუფასეს და პირველ გუნდში გადაიყვანეს, სხირტლაძემ მართლაც მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. მწვრთნელი მას აქებს, ვარჯიშებზე საუკეთესოა, უბრალოდ, ჯერ გამოცდილება აკლია. რაც მთავარია, სწორ გზაზე დგას".

გახდება თუ არა სხირტლაძე დევდარიანის კონკურენტი? სხირტლაძეს ხომ გამთამაშებლადაც შეუძლია თამაში...

"ჩვენი გუნდი მეტწილად 4-4-2 განლაგებით თამაშობს, მე ფორვარდების უკან მავალებენ ხოლმე თამაშს, სხირტლაძე კი იმ ორ შემტევშია, ოთხი ნახევარმცველის წინ რომ არიან გამწესებულები. ის ხან გამოკვეთილი ფორვარდია, ხან კი ასეთის უკან მოქმედებს. ასე რომ, ჩვენ კონკურენტები ვერ გავხდებით".

ზაფხულის არდადეგებამდე დიდი დრო აღარ დარჩა. დევდარიანი ისეთი ფეხბურთელია, უთუოდ რომ საინტერესოა ეროვნული ნაკრებისთვისაც. ასეთი სტილით მოთამაშე **თემურ ქეცბაიას** გუნდში ჯერ არავინ ჩანს...

**დავით თავართქილაძე**

ფუტსალი. რეიტინგი


ეროვნული ბიბლიოთეკა
ირაკლი ქავთარაძე | ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# საქართველო ფუტსალში 59-ეა

## ირაკლი ქავთარაძე: ნაკრებს ახალი მწვრთნელი ეყოლება

**ფიფამ ფუტსალის ნაკრებების რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც საქართველო 59-ე ადგილზეა.**

**ბოლო მონაცემებით, ჩვენი ნაკრები ევროპაში 29-ე ადგილზეა, 15 პოსტსაბჭოურ ქვეყანას შორის კი მხოლოდ მე-10 პოზიციას იკავებს და ტაჯიკეთი და ყირგიზეთიც კი უსწრებს.**

პოსტსაბჭოური ქვეყნების რეიტინგი

| გუნდი | ქულა |
|---|---|
| 4. რუსეთი | 1710 |
| 8. უკრაინა | 1478 |
| 15. ბელარუსი | 1313 |
| 16. აზერბაიჯანი | 1295 |
| 18. უზბეკეთი | 1286 |
| 34. ყაზახეთი | 1121 |
| 40. ყირგიზეთი | 1059 |
| 48. ლატვია | 996 |
| 51. ტაჯიკეთი | 955 |
| 59. საქართველო | 912 |
| 60. ლიტვა | 898 |
| 64. მოლდოვა | 879 |
| 65. თურქმენეთი | 877 |
| 75. სომხეთი | 804 |
| 98. ესტონეთი | 565 |

პირველი ათეული ასე გამოიყურება

| გუნდი | ქულა |
|---|---|
| 1. ესპანეთი | 2004 |
| 2. ბრაზილია | 1967 |
| 3. იტალია | 1762 |
| 4. რუსეთი | 1710 |
| 5. პორტუგალია | 1659 |
| 6. ირანი | 1603 |
| 7. არგენტინა | 1549 |
| 8. უკრაინა | 1478 |
| 9. პარაგვაი | 1396 |
| 10. იაპონია | 1383 |

კიდევ კარგი რეიტინგი გვაქვს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მეტოქეები ხშირად თამაშობენ, საქართველოს ნაკრებს კი, ოქტომბერში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შემდეგ, ერთი ამხანაგური მატჩიც არ უთამაშია. ფიფას რეიტინგში კი ასეთი მოცდენა დაქვეითებას იწვევს.

"გაზაფხულზე ამხანაგური მატჩების ჩატარებაზე მოლაპარაკება ამერიკისა და ინგლისის ასოციაციებთან მიმდინარეობდა, მაგრამ წინა ფედერაციამ თავი ვერ მოაბა. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი წლის ბოლოს იწყება, ამხანაგურების განრიგი კი ჯერ არ დადგენილა. ეროვნული ჩემპიონატის დასრულებისა და 2 ივლისის ფუტსალის ასოციაციის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ნაკრების თამაშებზე სერიოზულად ვიმუშავებთ.

აქვე გეტყვით, რომ ნაკრებს აუცილებლად ახალ მთავარ მწვრთნელს დავუნიშნავთ, რადგან წინა შესარჩევი ციკლი ჩავაგდეთ. ალბათ, უცხოელ სპეციალისტს მოვიწვევთ. ფაქტია, რომ ფუტსალის ნაკრებს სერიოზული მიხედვა სჭირდება, ეს კრიზისული მდგომარეობა რომ დავძლიოთ" – გვითხრა ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტმა **ირაკლი ქავთარაძემ.**

**მერაბ მამულაშვილი**


თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## ქართული ფეხბურთი

მსაჯთა საფიხვნო

# ფინიშზე სანერვიულო მსაჯებსაც ემატებათ


ლევან ფანიაშვილი

ქართული სეზონი ნელ-ნელა ფინიშისკენ მიდის და დაძაბულობა და პასუხისმგებლობა არა მარტო ფეხბურთელთა, ასევე მსაჯთა შორისაც იზრდება. მათმა ერთმა შეცდომამ ხომ შესაძლოა, მატჩის ბედი გადაწყვიტოს და არც ის არის გამორიცხული, ტიტულის ბედზეც კი მოახდინოს გავლენა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილების ხელმძღვანელის, **ლევან ფანიაშვილის** თქმით, უმაღლესი ლიგის მსაჯები სრულად აცნობიერებენ მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას და ცდილობენ, თითოეულ მატჩს მაქსიმალური პასუხისმგებლობითა და კონცენტრაციით მიუდგნენ, თუმცა ზოგჯერ შეცდომებს ისინიც უშვებენ. ამის მიუხედავად, ფანიაშვილი ქართული სამსაჯო კორპუსის საერთო დონეს დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს. მისი შეფასებით, მსაჯთა შეცდომები პირველ ლიგაში უფრო ხშირია, ვიდრე უმაღლესში.

ჩვენს ჩემპიონატში ბოლო დროს წითელი ბარათები მომრავლდა, რასაც ფანიაშვილი დაძაბულობის დონის გაზრდით ხსნის. თუმცა მთლიანობაში სამსაჯო განყოფილების თავკაცი მიიჩნევს, რომ ჩვენი უმაღლესი ლიგა უხეშობით არ გამოირჩევა – ევროპულ ლიგათა უმრავლესობაში არბიტრები წითელ-ყვითელ ბარათებს უფრო ინტენსიურად არიგებენ.

სამსაჯო განყოფილება აპრილის ბოლოს მსაჯების მზადყოფნას მორიგ ტესტებზე შეამოწმებს. ცნობისთვის, ქართველი მსაჯები ნორმატივებს წელიწადში ოთხჯერ აბარებენ.

დიდი ალბათობით, მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში რამდენიმე ახალ არბიტრს ვიხილავთ. პირველ ლიგაში არაერთი პერსპექტიული არბიტრია და მათ თავის გამოჩენის შანსი ამ სეზონშივე მიეცემათ, ბუნებრივია, ნაკლებად პრინციპულ მატჩებში. ვინც ამ გამოცდას წარმატებით ჩააბარებს, მომავალი სეზონიდან უმაღლესი ლიგის შეხვედრების გაძღოლას სისტემატურად მიანდობენ.

საქართველოს ფიფას არბიტრი კვლავ ოთხი ჰყავს – **გიორგი ვადაჭკორია, ლაშა სილაგავა, ლევან კვარაცხელია** და **დავით ხარიტონაშვილი**. წლის ბოლოს ფიფამ, შესაძლოა, ეს წოდება კიდევ ერთ ქართველ მსაჯს მიანიჭოს. საამისოდ ყველაზე რეალური კანდიდატი **თორნიკე გვანცელაძეა**.

რაც შეეხება ქართველი მსაჯების საერთაშორისო მიწვევებს, ზაფხულში, მომავალი ევროტურნირების საწყის ეტაპებზე ხშირად ანდობენ მატჩების განსჯას, უახლოესი ვიზიტი კი 10 მაისს დავით ხარიტონაშვილის ბრიგადას ელის. ქართველი მსაჯები ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატის მატჩს მოემსახურებიან, სადაც ერთმანეთს მაკედონია და ჩრდილოეთ ირლანდია დაუპირისპირდებიან.

რაც შეეხება შიდაქართულ ამბებს, "ლელო" სამსაჯო რუბრიკას რეგულარულად განაგრძობს და სეზონის დასრულებამდე მომხდარ თითოეულ სადავო ეპიზოდს შეძლებისდაგვარად განიხილავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ზესტაფონი

# ლუკა გუგუჩიას შანსი


ლუკა გუგუჩია

"ზესტაფონმა" ზამთრის სატრანსფერო პერიოდში არაერთი ახალი ფეხბურთელი შეიძინა და მათი დიდი ნაწილი გუნდს ნორმალურად შეეწყო. ახალწვეულთა შორის იყო **ლუკა გუგუჩიაც**. "ზესტაფონის" სამწვრთნელო შტაბს მისი დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ 20 წლის პერსპექტიულ ნახევარმცველს მოულოდნელად პრობლემები აღმოაჩნდა და სამკურნალო შეიქნა.

არსებობდა იმის საშიშროება, რომ გუგუჩიას უქმობა დიდხანს გაგრძელდებოდა, მაგრამ საბედნიეროდ, მისი გამოჯანმრთელების პროცესს რამდენიმე თვე ეყო და დუბლშემადგენლობათა გათამაშების გასულ ტურში გუგუჩიამ "ზესტაფონის" დუბლების რიგებში ერთი ტაიმი ითამაშა.

ძნელი სათქმელია, ვიხილავთ თუ არა მას მიმდინარე სეზონში "ზესტაფონის" ძირითად გუნდში. საქართველოს მოქმედ ჩემპიონებს დარჩენილ ტურებში მძიმე ბრძოლები ელის და შესაძლოა, სამწვრთნელო შტაბმა სასტარტო შემადგენლობის გადახალისებისგან თავი შეიკავოს. მომავალი სეზონისთვის კი, წესით, ლუკა "ზესტაფონის" ძირითადი შემადგენლობის რეალური კანდიდატი უნდა იყოს.

ზუგდიდური ფეხბურთის აღზრდილმა გუგუჩიამ მიმდინარე სეზონი "ბაიაში" დაიწყო, სადაც 15 მატჩი ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა. "ბაიას" გარდა, მას ქუთაისის "ტორპედოს" ღირსებაც დაუცავს.

რაკი "ზესტაფონის" ტრავმირებულები ვახსენეთ, გეტყვით, რომ ფეროელთა დუბლებში ითამაშეს ახლადგამოჯანმრთელებულებმა, **აბაიომი ოვონიკოკომ** და **გიორგი ხიდეშელმა**. ოვონიკოკომ ერთ საუმაღლესლიგო და ერთ სათასო მატჩში უკვე მიიღო მონაწილეობა, ხიდეშელი კი ტრავმის მოშუშების შემდეგ "ზესტაფონის" მთავარი გუნდის შემადგენლობაში ჯერ არ გამოჩენილა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სიტუაცია

# მესხიამ ყველა აალაპარაკა



ირაკლი მესხია

**ირაკლი მესხიაზე** მცირე ხნის წინ ვწერდით: კიევის "ობოლონის" შემტევმა ნახევარმცველმა თანაქალაქელ "არსენალთან" შეხვედრაში პრემიერლიგაში პირველი გოლი გაიტანა და დამარცხებული "ობოლონიდან" (**სანდრო კობახიძის** გუნდთან 1:4 დამარცხდა) ყველაზე კარგი შეფასება დაიმსახურა.

უკრაინული ინტერნეტ-გამოცემა "უა.ფუტბოლი" რუბრიკაში "ვინ ითამაშებს ევრო 2012"-ზე, ჩემპიონატის სტატისტიკურ მონაცემებს და შეფასებებს აქვეყნებს და ცდილობს დაადგინოს მოთამაშეთა ის შემადგენლობა, რომელსაც **ოლეგ ბლოხინი** ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის განაცხადში შეიყვანს.

ირაკლიმ "ობოლონში" ჯერ მხოლოდ 3 შეხვედრა ჩაატარა, 1 გოლი გაიტანა და ამდენივე საგოლე პასი მიითვალა. ცხადია, მესხიას უკრაინის ნაკრებში ევრო-2012-ზე არ წაიყვანენ, მაგრამ სიურპრიზი იყო, ინტერნეტ-გამოცემამ უკრაინის ნაკრების პოტენციურ ცენტრალურ ნახევარმცველთა შორის რომ დაასახელა.

*"დედაქალაქური კლუბის 19 წლის ნახევარმცველმა "ობოლონში" მხოლოდ სამი შეხვედრა ჩაატარა. ამის მიუხედავად, მესხიამ უკვე ყველა აალაპარაკა. თუ დონეცკის "მეტალურგთან" სადებიუტო შეხვედრაში არც ისე კარგად გამოიყურებოდა, შემდეგ შედეგიანი გადაცემითა და გოლით გამოიჩინა თავი"* – წერს "უა-ფუტბოლი" ირაკლი მესხიასთან ინტერვიუს შესავალში.

*"რა თქმა უნდა, გოლის გატანა და გუნდის დახმარება ყოველთვის სასიამოვნოა. მაგრამ როდესაც მეტოქე 3:0-ს იგებს, განსაკუთრებული ემოციები ვერ დაგეუფლება. თუმცა, გოლი ჩემთვის მაინც დიდი სტიმული იყო. სასიამოვნო და სასიხარულოა, რომ ერთადერთი შანსი გამოვიყენე და "ობოლონის" რიგებში პირველი გოლი გავიტანე.*

*... მატჩის შემდეგ "ობოლონის" მთავარმა მწვრთნელმა სერგეი კონიუშენკომ მითხრა, რომ ჩემგან მეტს ელოდა. მაგრამ ახლა მე "ფიზიკა" არ მყოფნის... დუბლშემადგენლობიდან პირველ გუნდში გადასვლისას გამოჩნდა, რომ დონეებში განსხვავება დიდია. მაგრამ ყველა მეხმარება, მკარნახობს, არავინ მიყვირის და ამის გამო, არანაირ დისკომფორტს არ ვგრძნობ"* – თქვა მესხიამ.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრე ჩივაძემ** გუშინ "ობოლონის" ქართველი ფეხბურთელის მიმართ ინტერესი დაგვიდასტურა და გვითხრა, როგორც ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" მცველი **დავით კოხია** ჩამოვიყვანეთ და გავსინჯეთ, ასევე გვსურს მესხიასთან დალაპარაკება და თანხმობის შემთხვევაში, ნაკრებში თავის გამოჩენის შანსს აუცილებლად მივცემთო.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები



გიორგი ჭანტურია (მარცხნივ) და გურამ კაშია

# ქართული დუეტის სამი ქულა

გუშინ ჰოლანდიის ჩემპიონატის 29-ე ტურში ქართველთა "ვიტესი" "ვენლოს" ესტუმრა და 3:1 სძლია. **ვაკო ყაზაიშვილი**, როგორც იცით, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებთან ერთადაა, "ვიტესის" დანარჩენი ჩვენებურები კი მოედანზე იყვნენ. გუნდის კაპიტანმა **გურამ კაშიამ**, ტრადიციულად, შეუცვლელად ითამაშა, **გიორგი ჭანტურია** კი სათადარიგოთა შორის იყო და მოედანზე 82-ე წუთზე შეუშვეს. ქართველებს საგოლე კომბინაციებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

"ვიტესი" ერედივიზიეში მეშვიდე ადგილზეა და მეექვსეადგილოსან "ჰერენვენს" ცხრა ქულით ჩამორჩება.

კაშიამ მიმდინარე ჩემპიონატში 27 მატჩი ჩაატარა და 3 გოლი გაიტანა, ჭანტურიას ანგარიშზე 22 შეხვედრა და 3 გოლია, ყაზაიშვილი კი 3 მატჩსა და ერთ გოლს დასჯერდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXIII ტურის გამოხმაურება

# 5 ქულა და 5 ტური



სახიფათო მომენტი მანჩესტერ იუნაიტედის კართან

## დამსახურებული წაგება

"ჩელსისთან" სკანდალური მატჩის შემდეგ "უიგანის" მთავარ მწვრთნელს **რობერტო მარტინესს** სასტარტო შემადგენლობაში ცვლილება არ შეუტანია. აუტსაიდერმა, ვინც კედელთან იყო მიყენებული, დაამტკიცა, რომ მსგავს სიტუაციაში ყველა მეომარი ბოლომდე იბრძვის და რომ ამ დროს მტერი ჩვეულებრივზე საშიში ხდება. "დი ვი სტედიუმზე" მასპინძელმა ალალად დაიმსახურა 3 ქულა.

პირველი ტაიმი მოულოდნელი სცენარით წარიმართა: იშვიათი იყო კარის მიმართულებით დარტყმები. ზოგადადაც სიტუაცია საჯარიმოში იშვიათად მწვავდებოდა, მაგრამ მაინც - "უიგანმა" მოქმედი და დიდი ალბათობით მაინც მომავალი ჩემპიონი თამაშით დაჩაგრა. 30-ე წუთზე **ვიქტორ მოზესმა** კუთხურის გათამაშების შემდეგ შეძლო **დავიდ დე ხეას** კარის აღება. ყველა თავის როლში იყო: ფანებმა ღრიანცელი მორთეს, სტადიონზე მუსიკა ჩაირთო, ფეხბურთელები ზეიმობდნენ და ამ დროს გვერდითა არბიტრმა მეკარეზე თავდასხმის გამო გოლი გააუქმა. ამ შემთხვევაში გულწრფელად უნდა აღვნიშნოთ 2 მომენტი: 1. **ფილ დაუდმა** და მისმა ასისტენტმა სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღეს – **გარი კოლდუელი** ესპანელ მეკარეს ნამდვილად უშლიდა ხელს; 2. ასეთ მომენტებში ყველა არბიტრი გოლს არ აუქმებს. "იუნაიტედმა" **რაიან გიგზის** ერთადერთი დარტყმით უპასუხა, მაგრამ მას სახიფათოს ვერ დავარქმევთ. უელსელის დარტყმა მცველმა დაბლოკა. სერ ალექს ფერგიუსონი თავისი გუნდის თამაშით უკმაყოფილო იყო. მან შესვენებაზევე მიმართა ცვლილებებს - **ეშლი იანგის** ნაცვლად მოედანზე **ტომ კლევერლი** შევიდა (ტომი შარშან სწორედ "უიგანში" თამაშობდა იჯარით).

მეორე ნახევარი "ეშმაკებისთვის" შოკით დაიწყო: კუთხურის გათამაშების შემდეგ **შონ მელონიმ** საჯარიმოს ხაზის გასწვრივ ცოტა ირბინა და დე ხეას ბურთი შორეულ არცთუ მაღალ კუთხეში ჩაუხვია. "იუნაიტედი" უკვე დიდი ძალებით ნავიდა წინ, მაგრამ მასპინძელი იმდენად ორგანიზებულად იცავდა თავს, რომ მეტოქეს შანსს თითქმის არ აძლევდა. პირიქით. 82-ე წუთზე "უიგანს" აქეთ შეეძლო "იუნაიტედის" კარის აღება. **კონორ სემონმა** იოლად შეაღწია საჯარიმოში, იოლად ჩამოიშორა მცველი და დასარტყმელად **მოჰამედ დიამეს** დაუგორა, მაგრამ თავგანწირვით ითამაშა **რიო ფერდინანდმა**, ვინც ფრანგის დარტყმას წინ აღუდგა. დამატებაზე მოზესს შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ არაზუსტად დაარტყა. სტუმართა მხრიდან გატანა შეეძლო შეცვლაზე შესულ **დენი უელბეკს**, მაგრამ მას ორჯერვე **ალი ალ ჰაბსი** აღუდგა წინ.

## ასეთი სიტი საშიშია

"იუნაიტედისა" და "სიტის" თამაშები პარალელურად მიდიოდა. ბუნებრივია, **რობერტო მანჩინის** შეგირდებს სრული ინფორმაცია ჰქონდათ იმაზე, თუ რა ხდებოდა პარალელურად "დი ვი სტედიუმზე". უიგანში ერთადერთი გოლი 50-ე წუთზე გავიდა. ახლა ნახეთ, რომელ წუთებზე "გადაირია" "სიტი" - 54-ე, 61-ე და 63-ე. შონ მელონის გოლმა "ეტიჰადზე" თამაშს დამატებითი სიჩქარე და სანახაობა შემატა. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ **კარლოს ტევესის** სასტარტო შემადგენლობაში დაბრუნება. ბოლოს არგენტინელს ძირითადში გასული წლის 10 სექტემბერს მე-3 ტურში "უიგანთან" ჰქონდა ნათამაშები. კარლოსმა მიმდინარე სეზონში პირველი გოლი შეაგდო. მეორე არგენტინელმა სუპერვარსკვლავმა **კუნ აგუერომ** კი დაამტკიცა, რომ გოლების გატანა არ დავიწყებია. პირველი წრეში მას ბევრად უკეთესი შედეგი ჰქონდა. დეკემბრის აქეთ კი სერხიოს ანგარიშზე სულ 4 შედეგიანი დარტყმა იყო. თამაში სწორედ **დიეგო მარადონას** სიძის სოლოთი გაიხსნა. კუნმა ბურთი მოედნის ცენტრში მიიღო, მიუახლოვდა საჯარიმოს და დაარტყა. **ბენ ფოსტერი** უძლური იყო რამე ეღონა.

31-ე წუთზე ტევესის პასით თავდამსხმელის პოზიციაზე **მიკა რიჩარდსი** გაჩნდა, ვინც დარტყმა მეკარეს კი ააცილა, მაგრამ თავგანწირვით ითამაშა **ბილი ჯონსმა**, ვინც დარტყმა თავით გამოიტანა თუ უბრალოდ მოხვდა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. ფაქტია, გოლი არ გასულა. 54-ე წუთზე დიდი ხნის წინ დავიწყებული საქმე **სამირ ნასრიმ** გაიხსენა და საგოლე გადაცემა გააკეთა (დეკემბრის აქეთ პირველად). მისი პასი ისევ აგუერომ შეირგო. ორიოდე წუთში გატანა უკვე ფრანგს მართებდა, მაგრამ მან ფოსტერის კარს ააცილა. 61-ე წუთზე აგუერომ წამოიწყო კომბინაცია, რომელიც ტევესმა დააგვირგვინა. მატჩს წერტილი **დავიდ სილვამ** დაუსვა. თავის მხრივ ესპანელმა 2012 წელს პირველი გოლი გაიტანა.

## უკვე ჩემპიონშიპში

დაბოლოს, მოკლედ 33-ე ტურის დამაგვირგვინებელი დღის მესამე საინტერესო თამაშზეც უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა. "არსენალმა" ბოლო 10-დან მე-9 მატჩი მოიგო და მესამე ადგილს ისე ჩააფრინდა, რომ არ გვგონია, არსებობდეს თუნდაც ყველაზე პესიმისტი პროგნოზისტი, ვინც მომდევნო წელს ლონდონელთა საჩემპიონთალიგო პერსპექტივას ეჭვქვეშ დააყენებს. "ვულვზის" სათამაშო ფორმიდან გამომდინარე, გამარჯვებულის გამოცნობა წინასწარ ისედაც იოლი გახლდათ, მაგრამ მას მერე, რაც მასპინძლები მე-6 წუთზე 10 კაცით დარჩნენ (**ტეო უოლკოტის** წინააღმდეგ "ბოლო იმედის ჯარიმისთვის"), ყველაფერი ცხადი გახდა. ვან პერსიმ პენალტი იოლად გაიტანა. მალე ამას უოლკოტი-ვან პერსი-უოლკოტის კომბინაცია და 0:2 მოჰყვა. მესამე გოლი **იოსი ბენაიუნმა** საჯარიმოს გარედან შეაგდო.

პრემიერლიგა. XXXII და XXXIII ტურების შეჯამება

# ინტრიგა დაკარგული და ნაპოვნი

### XXXII ტური

**სუონსი-ნიუკასლი** 0:2
**საუკეთესო:** პაპის სისე (ნიუკასლი)

**სანდერლენდი-ტოტენჰემი** 0:0
**საუკეთესო:** გარეთ ბეილი (ტოტენჰემი)

**ბოლტონი-ფულჰემი** 0:3
**საუკეთესო:** კლინტ დემპსი (ფულჰემი)

**ჩელსი-უიგანი** 2:1
**საუკეთესო:** ხუან მატა (ჩელსი)

**ლივერპული-ასტონ ვილა** 1:1
**საუკეთესო:** სტივენ ჯერარდი (ლივერპული)

**ნორვიჩი-ევერტონი** 2:2
**საუკეთესო:** ტიმ ჰოვარდი (ევერტონი)

**ვესტ ბრომვიჩი-ბლექბერნი** 3:0
**საუკეთესო:** იაკუბუ აიგბენი (ბლექბერნი)

**სტოკ სიტი-ვულვერჰემპტონი** 2:1
**საუკეთესო:** ჯონათან უოლტერსი (სტოკი)

**მანჩესტერ იუნ.-ქუინზ პარკი** 2:0
**საუკეთესო:** უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი)

**არსენალი-მანჩესტერ სიტი** 1:0
**საუკეთესო:** რობინ ვან პერსი (არსენალი)

### ტურის ფეხბურთელი: მიკელ არტეტა (არსენალი)

მიზეზი, თუ რატომ ვასახელებთ **მიკელ არტეტას** 32-ე ტურის ფეხბურთელად, ძალიან მარტივია: გარდა იმისა, რომ "სიტისთან" შეხვედრაში ესპანელი ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მან "ქალაქელებს" ფანტასტიკური გოლი გაუტანა და პრემიერლიგის ჩემპიონობისთვის ბრძოლას ერთი შეხედვით ინტრიგა დაუკარგა. საბედნიეროდ, მხოლოდ ერთი შეხედვით, რაც მიყოლებით ჩატარებულმა მომდევნო ტურმა დაადასტურა.

### ტურის მწვრთნელი: არსენ ვენგერი (არსენალი)

**არსენ ვენგერის** გუნდმა არ შეიმჩნია 31-ე ტურში 7-თამაშიანი მოგებათა სერიის შეწყვეტა და "სიტისთან" მატჩში სეზონის საუკეთესო "არსენალი" ვიხილეთ. თუ მცირე მონაკვეთებს არ ჩავთვლით, ჩრდილოლონდონელებს მეტოქესთან კოლოსალური უპირატესობა ჰქონდათ და სავსებით დამსახურებულად იმარჯვეს.



მიკელ არტეტამ სიტისთან გადამწყვეტი გოლი გაიტანა

### სიმბოლური ნაკრები:

**ბენ ფოსტერი** (ვესტ ბრომვიჩი) - **ბრანისლავ ივანოვიჩი** (ჩელსი), **ლაიამ რიჯუელი** (ვესტ ბრომვიჩი), **რობერტ ჰუთი** (სტოკ სიტი), **გარი კეჰილი** (ჩელსი) – **მაჰამადუ დიარა** (ფულჰემი), **კლინტ დემპსი** (ფულჰემი), **მიკელ არტეტა** (არსენალი), **დემიენ დაფი** (ფულჰემი) – **ნიკიცა იელავიჩი** (ევერტონი), **პაპის სისე** (ნიუკასლი)

### XXXIII ტური

**ევერტონი-სანდერლენდი** 4:0
**საუკეთესო:** ლეონ ოსმანი (ევერტონი)

**ნიუკასლი-ბოლტონი** 2:0
**საუკეთესო:** პაპის სისე (ნიუკასლი)

**ტოტენჰემი-ნორვიჩი** 1:2
**საუკეთესო:** გარეთ ბეილი (ტოტენჰემი)

**ასტონ ვილა-სტოკ სიტი** 1:1
**საუკეთესო:** ჯონათან უოლტერსი (სტოკ სიტი)

**ფულჰემი-ჩელსი** 1:1
**საუკეთესო:** კლინტ დემპსი (ფულჰემი)

**ბლექბერნი-ლივერპული** 2:3
**საუკეთესო:** იაკუბუ აიგბენი (ბლექბერნი)

**მანჩესტერ სიტი-ვესტ ბრომვიჩი** 4:0
**საუკეთესო:** დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი)

**უიგანი-მანჩესტერ იუნაიტედი** 1:0
**საუკეთესო:** უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი)

**ვულვერჰემპტონი-არსენალი** 0:3
**საუკეთესო:** რობინ ვან პერსი (არსენალი)

**ქუინზ პარკი-სუონსი** 3:0
**საუკეთესო:** გულფი სიგურდსონი (სუონსი)

### ტურის ფეხბურთელი: შონ მელონი (უიგანი)

**შონ მელონიმ** გააკეთა ის, რასაც მთელი ინგლისი ელოდა. არა იმიტომ, რომ ვიღაცას "იუნაიტედის" წარუმატებლობები განსაკუთრებულად უხარია, არამედ იმიტომ, რომ ყველაფერს ადამიანურს აქვს საწყისი და სასრული. "ეშმაკებიც", რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, ადამიანები არიან და ოდესღაც ისინიც უნდა დამარცხებულიყვნენ.

### ტურის მწვრთნელი: რობერტო მარტინესი (უიგანი)

"უიგანის" მთავარი მწვრთნელი **რობერტო მარტინესი** პრემიერლიგის ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელია. პროვინციულ კლუბს ის სათავეში უკვე 3 წელიწადია უდგას და სულ მუდამ ელიტიდან გასავარდნად აქვს საქმე, მაგრამ წელს რომ გაუჭირდა, მსგავსი ჯერ არაფერი უნახავს. 2009/10 და 2010/11 წლების სეზონებში მისმა გუნდმა ორჯერვე მე-16 ადგილი დაიკავა. იმისთვის, რომ კუთვნილი ადგილი ხელიდან არ გაუშვას, მარტინესს სასწაულის მოხდენა მართებს. "იუნაიტედის" დამარცხება ერთ-ერთი ასეთი სასწაული იყო. წინ კიდევ 5 ტურია...

### სიმბოლური ნაკრები:

**ალი ალ ჰაბსი** (უიგანი) – **რასელ მარტინი** (ნორვიჩი), **გარი კოლდუელი** (უიგანი), **ანტონ ფერდინანდი** (ქუინზ პარკი), **გაელ კლიში** (მანჩესტერ სიტი) - **ტეო უოლკოტი** (არსენალი), **ჯოი ბარტონი** (ქუინზ პარკი), **ლეონ ოსმანი** (ევერტონი) – **რობინ ვან პერსი** (არსენალი), **სერხიო აგუერო** (მანჩესტერ სიტი)

### სეზონის 5 საუკეთესო ფეხბურთელი EA SPORTS-ის მიხედვით:

1. უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი) - 739
2. რობინ ვან პერსი (არსენალი) - 725 ქულა
3. ემანუელ ადებაიორი (ტოტენჰემი) - 595
4. დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი) - 536
5. მიკელ არტეტა (არსენალი) – 508

### ზოგადი სტატისტიკა ღლისთვის

| |
|---|
| 329 მატჩი |
| 251 მოგება |
| 78 ფრე |
| 173 მშრალად შენახული კარი |
| 920 გოლი |
| 4 779 ზუსტი დარტყმა კარში |
| 3 682 აცილება |
| 531 ფეხბურთელი |
| 68 ეროვნების მოთამაშე |
| 16 ჰეთ თრიკი |
| 1033 ყვითელი ბარათი |
| 60 წითელი ბარათი |
| 11 322 006 ფანი ტრიბუნებზე |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 33 | 25 | 4 | 4 | 78-28 | 79 |
| 2. სიტი | 33 | 23 | 5 | 5 | 79-26 | 74 |
| 3. არსენალი | 33 | 20 | 4 | 9 | 66-41 | 64 |
| 4. ტოტენჰემი | 33 | 17 | 8 | 8 | 57-38 | 59 |
| 5. ნიუკასლი | 33 | 17 | 8 | 8 | 50-42 | 59 |
| 6. ჩელსი | 33 | 16 | 9 | 8 | 56-38 | 57 |
| 7. ევერტონი | 33 | 13 | 8 | 12 | 38-34 | 47 |
| 8. ლივერპული | 33 | 12 | 10 | 11 | 40-36 | 46 |
| 9. ფულჰემი | 33 | 11 | 10 | 12 | 43-43 | 43 |
| 10. ნორვიჩი | 33 | 11 | 10 | 12 | 46-52 | 43 |
| 11. სანდერლენდი | 33 | 11 | 9 | 13 | 42-41 | 42 |
| 12. სტოკ სიტი | 33 | 11 | 9 | 13 | 32-45 | 42 |
| 13. ვესტ ბრომვიჩი | 33 | 11 | 6 | 16 | 39-47 | 39 |
| 14. სუონსი | 33 | 10 | 9 | 14 | 35-44 | 39 |
| 15. ასტონ ვილა | 32 | 7 | 14 | 11 | 35-44 | 35 |
| 16. ქუინზ პარკი | 33 | 8 | 7 | 18 | 38-56 | 31 |
| 17. უიგანი | 33 | 7 | 10 | 16 | 31-57 | 31 |
| 18. ბოლტონი | 32 | 9 | 2 | 21 | 36-65 | 29 |
| 19. ბლექბერნი | 33 | 7 | 7 | 19 | 45-70 | 28 |
| 20. ვულვზი | 33 | 5 | 7 | 21 | 34-73 | 22 |

**ბომბარდირები:** 27 - რობინ ვან პერსი (არსენალი); 22 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი); 19 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 16 - იაკუბუ აიგბენი (ბლექბერნი), დემბა ბა (ნიუკასლი), კლინტ დემპსი (ფულჰემი); 13 - ედინ ჯეკო, მარიო ბალოტელი (ორივე მანჩესტერ სიტი), ემანუელ ადებაიორი (ტოტენჰემი), გრანტ ჰოლტი (ნორვიჩი)

**ასისტენტები:** 12 - დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი), ანტონიო ვალენსია (მანჩესტერ იუნაიტედი); 11 - ემანუელ ადებაიორი (ტოტენჰემი), ხუან მატა (ჩელსი); 10 - რობინ ვან პერსი (არსენალი); 9 - ალექს სონგი (არსენალი), სამირ ნასრი (მანჩესტერ სიტი), სტეფან სესინიონი (სანდერლენდი); 8 - გარეთ ბეილი (ტოტენჰემი), რაიან გიგზი, ლუიშ ნანი (ორივე მანჩესტერ იუნაიტედი) ტეო უოლკოტი, (ორივე არსენალი)

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

ლივერპული

# კომოლი დაიფრინეს



დამიენ კომოლის სატრანსფერო პოლიტიკა დაუწუნეს და ლივერპულიდან დაითხოვეს

"ლივერპულმა" კარისკენ მიუთითა სპორტულ დირექტორ **დამიენ კომოლის** და ამით პრაქტიკულად აღიარა, რომ კლუბის მიერ გატარებული სატრანსფერო პოლიტიკა მთლიანად წარუმატებელი იყო. მხოლოდ **ლუის სუარესში** გადახდილი 22,8 მილიონი ფუნტი შეიძლება მივიჩნიოთ გამართლებულად. ძირითადად კი კლუბი ვარსკვლავებში ან ეგრეთ წოდებულ ვარსკვლავებში გაუმართლებლად დიდ ფულს იხდიდა. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ **ენდი კეროლის, ჯორდან ჰენდერსონის, სტიუარტ დაუნინგისა** და **ჩარლი ადამის** ტრანსფერები. მიუხედავად მათი ნიჭისა, რასაც თავისთავად არავინ უარყოფს, "ენფილდზე" ამ ეტაპზე ისინი ვერ ამართლებენ. "ლივერპული" კი იძულებულია, შემადგენლობის გასაძლიერებლად 115 მილიონის დახარჯვის შემდეგ იმაზე ინერვიულოს, რომ ბოლო 50 წლის ყველაზე ცუდ სეზონს ატარებს. **ჯონ ჰენრისა** და **ტომ ვერნერისთვის** ცხადი იყო, რომ ვიღაცას პასუხი უნდა ეგო. კომოლის გარდა იყო მეორე კანდიდატურაც – **კენი დალგლიში.** შოტლანდიელს ამ ეტაპზე ალბათ ის შველის, რომ დღემდე "ენფილდის" კერპად რჩება, თუმცა, თუკი რეგრესი გაგრძელდა, მას ველარც ეს არგუმენტი იხსნის. იოლად შეიძლება იმის პროგნოზი, რომ ლიგის თასის გარდა "მეფე" შეიძლება ასოციაციის თასის მოგებამაც ვერ იხსნას.

"ლივერპულმა" კომოლის სტანდარტული სამადლობელი წერილი გზაში დააწია. *"ჩვენ მადლობას ვუხდით იმ ღვაწლისთვის, რაც მან კლუბის წინაშე გაილო და წარმატებებს ვუსურვებთ სამომავლო კარიერაში,"* – ნათქვამია "ლივერპულის" ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში. სუარესის გარდა კომოლი "ლივერპულის" სასარგებლოდ კიდევ ერთ ტრანსფერში არ შეცდა, როცა **ფერნანდო ტორესი** 50 მილიონად "ჩელსიში" გაუშვა.

"ლივერპულიდან" ყოფილ სპორტულ დირექტორს ერთადერთი კაცი გამოექომაგა. ვინ იქნებოდა ეს, თუ არა კენი დალგლიში. აი, რა თქვა ლეგენდარულმა შოტლანდიელმა: *"ჩვენ ერთმანეთთან არაჩვეულებრივი სამუშაო და ადამიანური ურთიერთობები გვაკავშირებდა. მისი წასვლით გულნატკენი ვარ, მაგრამ ისიც მესმის, რომ ფეხბურთში მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება ყოველთვის რაღაც საფუძვლის გამო ხდება. ის ძალიან მეხმარებოდა ყველა სატრანსფერო საქმეში, რასაც მიზნად ვისახავდით. ყველა ის ფეხბურთელი, ვინც მან "ენფილდზე" მოიყვანა, ჩემი მოთხოვნით გააკეთა".*



ეროვნული ბიბლიოთეკა
ენდი კეროლი ერთ-ერთი ის ფეხბურთელია, ვისი ტრანსფერისთვისაც დამიენ კომოლი პოსტს დაემშვიდობა

სამწვრთნელო საკითხი


რობერტო მარტინესი

# მარტინესმა უარყო

"მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩის წინა დღეს "უიგანის" მთავარი მწვრთნელის **რობერტო მარტინესის** შესახებ ინგლისურმა გაზეთებმა დაწერეს, ბევრად უფრო შეძლებული კლუბები იწვევენ და სეზონის დასრულებისთანავე კარიერას რომელიმე მათგანში განაგრძობსო. 38 წლის ესპანელმა მოქმედი ჩემპიონების დამარცხების შემდეგ მოიცალა პრესასთან ურთიერთობისთვის და განაცხადა: *"ლაპარაკი იმაზე, რომ ბილბაოს "ატლეტიკში" ვინიშნები ან "სუონსიდან" ბრენდან როჯერსის წასვლის შემთხვევაში უელსურ კლუბში ვაპირებ მის შეცვლას, სიმართლეს არ შეესაბამება. გაკვირვებული ვარ, ვინ და რატომ იგონებს ასეთ ამბებს. მასში ერთი მისხალი სიმართლეც კი არ არის. შეგახსენებთ, რომ "უიგანთან" კონტრაქტი შარშან გავაგრძელე და მის დარღვევას არ ვაპირებ,"* – განუცხადა მარტინესმა "ტაიმსს".

**ლევან ბიბილაშვილი**

ჰანოვერი

# დიუფისთვის სეზონი დამთავრდა

„ჰანოვერმა" „ვოლფსბურგთან" 2:0-ზე მოგებულ მატჩში მთავარი თავდამსხმელი, **მამე დიუფი** დაკარგა. სენეგალელი ფორვარდი ხსენებულ მატჩში მძიმედ დაშავდა. „ჰანოვერის" სამედიცინო შტაბის ოფიციალური განცხადებით, დიუფი ბუნდესლიგის ფინიშამდე დარჩენილ ოთხივე ტურს გამოტოვებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისთვის სეზონი დამთავრებულია.

„წითლებმა" მამე დიუფი იანვარში „მანჩესტერ იუნაიტედიდან" გადაიბირეს და სენეგალელი ძალიან სწრაფად გახდა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი: მან „ჰანოვერის" ფორმით ჩატარებულ 15 ოფიციალურ მატჩში 10 გოლი გაიტანა.

**გოტფრიდ ლენცი**


მამე დიუფის ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა

გერმანიის თასი

# ბერლინი თასის ფინალს არ დაკარგავს



გუშინ, გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა **ვოლფგანგ ნირსბახმა** გერმანიის თასი ბერლინში ჩაიტანა და დედაქალაქის მერ **კლაუს ვოვერაიტს** ჩააბარა. თასის ფინალამდე ზუსტად ერთი თვეა დარჩენილი და როგორც იცით, ეს მატჩი ყოველთვის ბერლინში ტარდება ხოლმე, რაც გერმანიის სხვა ქალაქების მერებმა არაერთხელ გააპროტესტეს და 2016 წლიდან DFB Pokal-ის სხვადასხვა ქალაქში ჩატარება მოითხოვეს. ნირსბახის თქმით, გერმანიის თასის ფინალის ქალაქის შეცვლა ფაქტობრივად გამორიცხულია.

*„გერმანიის თასის ფინალი ყოველთვის ბერლინში ტარდება და ეს ჩვენი ფეხბურთის სავიზიტო ბარათად იქცა. მთელ მსოფლიოში ყველამ იცის, რომ ეს დიდი ტრადიციაა, რომლის შეცვლის მიზეზი არ არსებობს,"* - განაცხადა ნირსბახმა.

*„თასის ფინალი ბერლინში – ეს კარგი ქორწინებასავითაა. კარგი ქორწინება კი, როგორც იცით, სამუდამოა. სხვა ქალაქების მაცხოვრებლების გამო ძალიან ვწუხვარ, მაგრამ გერმანიის თასის ფინალი უბრალოდ დედაქალაქის საკუთრებაა,"* - ეს კი ბერლინის მერის სიტყვებია.

შეგახსენებთ, რომ თასის ფინალი 12 მაისს გაიმართება – „ოლიმპიაშტადიონზე" ერთმანეთის წინააღმდეგ დორტმუნდის „ბორუსია" და „ბაიერნი" წარსდგებიან.

**გოტფრიდ ლენცი**

კიოლნი




# პეჟკო ნაკრებიდანაც მოკვეთეს

სლავომირ პეჟკო

„კიოლნისა" და პოლონეთის ნაკრების 27 წლის ფეხბურთელ **სლავომირ პეჟკოს** ლოთობა ძალიან ძვირად დაუჯდა: ჯერ „კიოლნის" მთავარმა მწვრთნელმა **სტალე სოლბაკენმა** ამოაგდო განაცხადიდან და გუნდის შიდა დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, ახლა კი პოლონეთის ნაკრების დამრიგებელმა **ფრანჩიშეკ სმუდამაც** განაცხადა, რომ პეჟკოს ევროპის ჩემპიონატის განაცხადში არ შეიყვანს. სმუდას განცხადებას პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური დასტურიც მოჰყვა: პეჟკო ნაკრებიდან მოკვეთილია და კონტინენტის პირველობაზე, რომელიც მის სამშობლოში ჩატარდება, ველარ ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ სლავომირ პეჟკო წინა უქმეებზე ჯერ საჭესთან ნახეს მთვრალი, მერე კი ტაქსიში გადასვეს და მძღოლს ეჩხუბა. შედეგად, მან მთელი ღამე გამოსაფხიზლებელში გაატარა...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A XXXII ტური

# ანიელი, გაამზადე კონტრაქტი...

## იუვე ისევ ლიდერია



არც მეტი, არც ნაკლები, ალესადრო დელ პიერო

**კიევო–მილანი 0:1**

**გოლი:** 0:1 მუნტარი (8).

**რომა–უდინეზე 3:1**

**გოლები:** 1:0 ოსვალდო (8), 1:1 ფერნანდესი (43), 2:1 ტოტი (86), 3:1 მარკინიო (90).

**კატანია–ლეჩე 1:2**

**გოლები:** 1:0 ბერგესიო (7), 1:1 კორვია (88), 1:2 დი მიკელე (90).
**გაძევება:** კარიცო (90. კატანია).

**ფიორენტინა–პალერმო 0:0**

**ჯენოა–ჩეზენა 1:1**

**გოლები:** 1:0 როსი (41), 1:1 მუტუ (76).

**ინტერი–სიენა 2:1**

**გოლები:** 0:1 დაგოსტინო (7), 1:1 მილიტო (42), 2:1 მილიტო (82-პენ.).
**გაძევება:** პეგოლო (90. სიენა).

**იუვენტუსი–ლაციო 2:1**

**გოლები:** 1:0 პეპე (30), 1:1 მაური (45), 2:1 დელ პიერო (82).

**ნაპოლი–ატალანტა 1:3**

**გოლები:** 0:1 ბონავენტურა (10), 1:1 ლავეცი (13), 1:2 ბელინი (58), 1:3 კარმონა (68).

**პარმა–ნოვარა 2:0**

**გოლები:** 1:0 ჯოვინკო (27), 2:0 ჯონათანი (40).

**ნუხელ**

**ბოლონია–კალიარი 1:0**

**ბოლონია (3-4-1-2):** ჟილე - რაგი, პორტანოვა, კერუბინი - პულცეტი, პერესი, მუდინგაი, მორლეო (79. სორენსენი) - დიამანტი (87. პ. კონე) - აკვაფრესკა, ხიმენესი (62. რამირესი).
**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი - პიზანო, ასტორი, კანინი, აგოსტინი - ეკდალი, კონტი, ნაინგოლანი - კოსუ (78. ნენე) - ლარივეი, რიბეირო (67. იბარბო).
**გოლი:** 1:0 დიამანტი (54)
**გაფრთხილება:** დიამანტი, მუდინგაი - კონტი, კანინი, ასტორი, ეკდალი, ნაინგოლანი
**კუთხური:** 4-13; **ჯარიმა:** 15-16; **თამაშგარე:** 8-4; **კარში დარტყმა:** 11-9 (7-4); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.
**მაყურებელი:** 17 000

"იუვენტუს არენაზე" ვიხილეთ ის, რის გამოც ფეხბურთი მილიონობით ადამიანს უყვარს და რის გამოც, ფეხბურთი სპორტის უპირველესი სახეობაა. ქებათა ქება "ვეკია სენიორას", რომელმაც პირველივე წუთებიდან ცეცხლი დაანთო და ნამდვილად დაიმსახურა მძიმე ბრძოლაში მოპოვებული სამი ქულა. დიახ, მიუხედავად იმისა, რომ "იუვემ" რთული გამარჯვება მოიპოვა და მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვების გოლი მასპინძლებმა მხოლოდ თამაშის დასრულებამდე რვა წუთით ადრე გაიტანეს, ტურინელთა უპირატესობა ეჭვქვეშ არც ერთი წუთით არ დამდგარა და მათი გამარჯვება ლოგიკური და სრულიად დამსახურებული გახლდათ.

პირველივე წუთებიდან ტურინელებმა გააფთრებით შეუტიეს და სახიფათო მომენტებიც სტარტზევე მრავლად შექმნეს – იმდენად მრავლად, რომ თითოეული მათგანის აღწერა შორს ნაგვიყვანს. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ბრწყინვალედ გაისარჯა **ფედერიკო მარკეტი** და ის, რომ "ლაციომ" დიდი ანგარიშით არ წააგო, პირველ რიგში სწორედ მისი დამსახურებაა. თუმცა, 30-ე წუთზე ისიც უძლური გამოდგა, როდესაც **ანდრეა პირლომ** მეტოქის საჯარიმოში საოცარი პასი ჩაკიდა და ბურთი პირდაპირ **სიმონე პეპეს** დაასვა მკერდზე, ამ უკანასკნელმა კი ვარდნაში დაარტყა და ულამაზესი გოლი გაიტანა, 1:0. ამ ეპიზოდიდან რამდენიმე წუთში, **არტურო ვიდალმა** კინაღამ სასწაული ჩაიდინა და ეს ის შემთხვევაა, როდესაც „კინაღამ" ბევრ გოლზე ფასეულია – სამხრეთამერიკელმა დაახლოებით 60 მეტრიდან (!!!) დაარტყა მარკეტის კარის მიმართულებით და ამ უკანასკნელს თავგანწირული ნახტომი დასჭირდა იმისთვის, რომ ბურთი პირით ხაზს იქით გადაეგდო. ტურინელებმა კიდევ არაერთი მომენტი გააცუდეს და ამისთვის დაისაჯნენ კიდეც – პირველი ტაიმის უკანასკნელ წუთზე, რომაელებმა "იუვეს" საჯარიმოში ჩააწოდეს, იქ კი ყველას **სტეფანო მაურიმ** დაასწრო და თავური დარტყმით **ჯანლუიჯი ბუფონი** უშანსოდ დატოვა, 1:1.

მეორე ნახევარი პირველის იდენტური გამოდგა – ტურინელებმა დარჩენილი 45 წუთიც შეტევაში გაატარეს და ამისთვის შეხვედრის დასრულებამდე რვა წუთით ადრე დასაჩუქრდნენ... გამარჯვების გოლი კი, არც მეტი, არც ნაკლები, **ალესანდრო დელ პიერომ** გაიტანა, საფირმო, შესანიშნავი საჯარიმო დარტყმით, რომლის წინაშეც **ფედერიკო მარკეტი** უძლური გამოდგა, 2:1. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დელ პიერომ "იუვენტუსის" მაისურით მე-700 (!!!) შეხვედრა ჩაატარა, რაც ტურინული გრანდის ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელია. აქვე ვთქვათ, რომ "ლაციოს" კარში გატანილი გოლი პინტურიკიოსთვის 287-ე გახლდათ; მოკლედ, ამ უმნიშვნელოვანეს პაექრობას თავისი გმირი ჰყავდა და ეს გმირი ნამდვილად იმსახურებს ახალ ხელშეკრულებას **ანდრეა ანიელისგან.**

საინტერესოდ მიმდინარეობს ჩემპიონთა ლიგის მესამე საგზურისთვის ბრძოლა და XXXII ტურში ამ მხრივ, ყველაზე მეტად "რომას' გაუმართლა. **ლუის ენრიკეს** გუნდმა უშუალო კონკურენტი, "უდინეზე" დაამარცხა და აქაც შეხვედრის გმირი გუნდის ცოცხალი ლეგენდა, **ფრანჩესკო ტოტი** გახლდათ – პუპონემ 86-ე წუთზე დააწინაურა თანაგუნდელები და საბოლოოდ გატეხა დაცვაში ჩამჯდარი მეტოქე. "ლაციომ" რომ მარცხი განიცადა, ზემოთაც ვთქვით, აი "ნაპოლის" მორიგი წაფორხილება კი ნამდვილად სენსაციათა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ... **ვალტერ მაცარის** გუნდი ჯერ კიდევ ინარჩუნებს სამეულში მოხვედრის შანსს, მაგრამ დღეს ეს შანსი ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე თუნდაც ორიოდე ტურის წინ.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ "ლეჩემ" მორიგი შეხვედრა მოიგო, "ჯენოამ" კი კიდევ ერთხელ გააწბილა საკუთარი გულშემატკივრები – რატომ გამოვარჩიეთ ეს ორი გუნდი? – ჩახედეთ სატურნირო ცხრილს და ყველაფერი ნათელი გახდება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 32 | 18 | 14 | 0 | 53-18 | 68 |
| 2. მილანი | 32 | 20 | 7 | 5 | 62-26 | 67 |
| 3. ლაციო | 32 | 16 | 6 | 10 | 48-40 | 54 |
| 4. უდინეზე | 32 | 14 | 9 | 9 | 44-32 | 51 |
| 5. რომა | 32 | 15 | 5 | 12 | 52-42 | 50 |
| 6. ნაპოლი | 32 | 12 | 12 | 8 | 56-41 | 48 |
| 7. ინტერი | 32 | 14 | 6 | 12 | 47-45 | 48 |
| 8. კატანია | 32 | 10 | 13 | 9 | 42-43 | 43 |
| 9. კიევო | 32 | 11 | 9 | 12 | 30-40 | 42 |
| 10. ატალანტა | 32 | 11 | 13 | 8 | 37-34 | 40 |
| 11. ბოლონია | 32 | 10 | 10 | 12 | 33-38 | 40 |
| 12. პალერმო | 32 | 11 | 7 | 14 | 44-49 | 40 |
| 13. სიენა | 32 | 10 | 9 | 13 | 37-34 | 39 |
| 14. პარმა | 32 | 9 | 11 | 12 | 41-50 | 38 |
| 15. კალიარი | 32 | 9 | 11 | 12 | 33-39 | 38 |
| 16. ფიორენტინა | 32 | 9 | 10 | 13 | 32-38 | 37 |
| 17. ჯენოა | 32 | 9 | 9 | 14 | 43-58 | 36 |
| 18. ლეჩე | 32 | 8 | 10 | 14 | 37-48 | 34 |
| 19. ნოვარა | 32 | 5 | 10 | 17 | 27-54 | 25 |
| 20. ჩეზენა | 32 | 4 | 9 | 19 | 19-48 | 21 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 23 - იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 20 – დი ნატალე (უდინეზე), მილიტო (ინტერი); 19 - კავანი (ნაპოლი); 17 - პალასიო (ჯენოა).


ნაპოლი-ატალანტა 1:3

პალერმო



მატია კასანის ალბათ "ფიორენტინა" დაიტოვებს

# სიცილიელთა მძიმე რეალობა

"პალერმოს" მესვეურები წლებია იქადნებიან, რომ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში იაქტიურებენ და არაერთ ექსტრაკლასის ფეხბურთელს დაიმატებენ, მაგრამ ჯერჯერობით მსგავსი არაფერი მომხდარა და ისეთი პირი უჩანს, რომ არც ამ ზაფხულს მოხდება. ეგ კი არა, დიდია შანსი, კუნძულელები წამყვან ფეხბურთელებს შეელიონ და კიდევ უფრო დასუსტდნენ.

"გაძეტა დელო სპორტში" გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სეზონის დასრულებისთანავე "პალერმო" საბოლოოდ გამოეთხოვება **მატია კასანის**, რომელიც ისედაც "ფიორენტინაში" ასპარეზობს იჯარის წესით. სიცილიელებს ძალიან უნდათ მატიას დაბრუნება, მაგრამ სავარაუდოდ, ამ ფრონტზეც ხელი მოეცრებათ... ამაზე კლუბის ვიცე-პრეზიდენტის **გილიერმო მაჩიკეს** სიტყვები მოწმობს:

*"კასანი ბრწყინვალე მცველია, რომლისგანაც არასდროს უნდა ელოდო არასასიამოვნო სიურპრიზებს. მის გაშვებას ნამდვილად არ ვაპირებდით, მაგრამ თავად მოისურვა "ფიორენტინაში" გადაბარგება და ძალით ვერ გავაჩერებდით. ფლორენციაში იჯარის წესით არის გაშვებული და თუ "ფიორენტინას" მესვეურები მის გამოსყიდვას მოისურვებენ, ხუთი მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ. სიმართლე გითხრათ, კასანის დაბრუნება ჩვენთვის ბევრად უფრო სასიამოვნო იქნებოდა, მაგრამ ჩემი ინფორმაციით, ფლორენციელები მის გამოსყიდვას აპირებენ. არ მიკვირს, რადგან მატია ძალიან საიმედო უკანახაზელია, მხოლოდ 28 წლისაა და კიდევ დიდხანს შეუძლია მაღალ დონეზე თამაში".*

"პალერმოსთან" დაკავშირებით კიდევ ერთი ინფორმაცია ვრცელდება, რომლის მიხედვითაც, სიცილიური გუნდის 22 წლის ნახევარმცველით, **არმინ ბაჩინოვიჩით** "ინტერია" დაინტერესებული. სლოვენიელი "პალერმოს" ერთ-ერთ ლიდერად ითვლება და გასაკვირი არაა, რომ მის მიმართ არაერთი ევროპული გრანდი იჩენს ინტერესს. ბაჩინოვიჩის "ინტერში" შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებით, კომენტარი მილანური გრანდის სპორტულმა დირექტორმა **მარკო ბრანკამ** გააკეთა და აღნიშნა, რომ არმინზე დაკვირვება მიმდინარეობს და ტრანსფერის ალბათობა საკმაოდ დიდია. მოკლედ, შენაძენების რა გითხრათ და ფაქტია, რომ წამყვანი ფეხბურთელების შენარჩუნება სიცილიელებს ძალიან გაუჭირდებათ.

სატრანსფერო ციებ-ცხელება

# მურიელზე ტაციაობაა

## ინტერი, მილანი თუ უდინეზე?

**ლუის მურიელი** 20 წლის კოლუმბიელი თავდამსხმელია, რომელიც "უდინეზეს" საკუთრებაა და "ლეჩეში" არენდის წესით ასპარეზობს... ეს მოკლე ინფორმაცია კი იმად მოგაწოდეთ, რომ ქვემოთ სწორედ მასზე და მის სამომავლო პერსპექტივაზე უნდა ვისაუბროთ. საქმე იმაშია, რომ მურიელი მიმდინარე სეზონში შესანიშნავად ასპარეზობს და გრანდთა ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ბოლო ცნობების თანახმად, მისი გადაბირება მილანურ გუნდებს სურთ და ეს თავად ლუისმაც დაადასტურა. მოვუსმინოთ კოლუმბიელ თავდამსხმელს:

*"აგენტმა მითხრა, რომ ჩემით "მილანი" და "ინტერი" არიან დაინტერესებულნი, რამაც ძალიან გამახარა. როგორც ვიცი, "უდინეზეს" მესვეურებს წინადადებითაც მიმართეს და მათგან პასუხს ელიან. ბუნებრივია, ეს ყველაფერი ძალიან მსიამოვნებს, მაგრამ დღეს მაინც "ლეჩეში" ასპარეზობაზე ვარ კონცენტრირებული. მინდა, რომ "ჯალოროსიმ" ელიტაში ადგილი შეინარჩუნოს და უდინეში მშვიდად დავბრუნდე. დიახ, გადაწყვეტილი ამბავია, რომ ზაფხულში "ლეჩეს" დავტოვებ და "უდინეზეში" დავბრუნდები, დანარჩენი კი სატრანსფერო პერიოდში გაირკვევა".*

მურიელი რომ უდინეში დაბრუნდება, ეს მართლაც გადაწყვეტილი ამბავია, მაგრამ საინტერესო უფრო ისაა, რა მოხდება ამის შემდეგ... ფრიულელებს ლუისის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდებათ, რადგან როგორც უკვე ითქვა, მისი გადაბირება თვით მილანურ გრანდებს სურთ. კოლუმბიელის სატრანსფერო ღირებულება ჯერ არ გაცხადებულა, მაგრამ იტალიელ ჟურნალისტთა მოპოვებული კულუარული ინფორმაციით, თანხა 20 მილიონი ევროთი განისაზღვრება. დანარჩენს დრო გამოაჩენს და დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**



ლუის მურიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● დორტმუნდის ბორუსია

# ზღაპარიყო

## ბაიერნი დამარცხებულია, დორტმუნდელები ახლა შალკეს ემუქრებიან

„დორტმუნდისა“ და „ბაიერნის“ სუპერმატჩმა მრავალმილიონიანი აუდიტორია განსაკუთრებით დასკვნითი ფაზით მოხიბლა. გვიანი გოლი, გამოუყენებელი პენალტი, მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე ორი ძელი და „ბაიერნთან“ დუელში ზედიზედ მეოთხედ გამარჯვებული „ბორუსია“: დორტმუნდი უსაზღვრო ემოციებმა მოიცვა. ფეხბურთი სწორედ ასეთი ადრენალინის გამო გვიყვარსო, თქვა საფინალო სასტვენის შემდეგ **კევინ გროსკროიტცმა** და ცამდე მართალი იყო. დორტმუნდელთა მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა** კი ჯერ ყველას სიყვარული აუხსნა, მერე კი მომდევნო მეტოქე ამოიღო მიზანში – შაბათს „ბორუსიას“ კიდევ ერთი ურთულესი მატჩი ელის: „რურის დიდი დერბი“ გელზენკირხენში.

ქომაგებთან კლოპიც მივიდა, უფრო სწორად, მიიჭრა და ჯერ მარჯვენა ხელს გულზე იცემდა, მერე კი ორივე ხელით გული გამოსახა, რითაც ფანებს უსიტყვოდ უთხრა ის, რაც მატჩისშემდგომი კომენტარისას არაერთხელ გაიმეორა – ყველანი მიყვარხართ და უბედნიერესი მწვრთნელი ვარ, რადგან ყველაზე მაგარი გუნდი მყავსო.

*„ჩვენ, ბორუსიელები, ყველანი ცოტათი გიჟები ვართ და ემოციები თუ არ გამოვხატეთ, გულები გაგვისკდება. მიყვარს ეს გუნდი, ეს სტადიონი, ეს ფანები. ჩვენ აქ გრანდიოზული საფეხბურთო სამყარო გვაქვს,“* - ამბობდა იურგენი.





იურგენ კლოპი: „ჩვენ, ბორუსიელები ცოტათი გიჟები ვართ!“ გროსკროიტცი და კომპანია ახლა შალკესთან დერბისთვის ემზადებიან

### შაბათს დერბი შალკესთან, მერე გლადბახი...

მიუხედავად იმისა, რომ „დორტმუნდს“ დარჩენილ ტურებში „ბაიერნზე“ რთული პროგრამა აქვს (მომდევნო ტურში მესამეადგილოსან „შალკეს“ სტუმრობს, მერე კი მეოთხეადგილოსან „გლადბახს“ მასპინძლობს), „ბაიერნთან“ გამარჯვების შემდეგ ფაქტობრივად ალარავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ „ბორუსია“ გერმანიის ჩემპიონობას შეინარჩუნებს – მას მერე, რაც ფეხბურთში გამარჯვებისთვის სამი ქულა დაწესდა, ბუნდესლიგის 30-ე ტურის შემდეგ, 6-ქულიანი უპირატესობა არც ერთ ლიდერს არ გაუნიავებია. თანაც, BVB-მ ამ თამაშის მოგებით წაუგებელი სერია 24 მატჩამდე გაზარდა, რითაც „ლევერკუზენის“ მიერ 2009/2010 წლების სეზონში დამყარებული რეკორდი გაიმეორა.

ოთხშაბათს „ბორუსიას“ ორი გმირი ჰყავდა: **რომან ვაიდენფელერი** და **რობერტ ლევანდოვსკი**. პირველმა ბოლო წუთებში **არიენ რობენს** თავისივე ბრალეულობით დანიშნული პენალტი აუღო, მეორემ კი გაიტანა გოლი, რომელმაც „დორტმუნდს“ ეს თამაში მოაგებინა.

*„იმ ეპიზოდში, როცა კევინმა დაარტყა, უბრალოდ, კარგ პოზიციაში ვიყავი და მომენტით ვისარგებლე კიდეც. თანაც, გამიმართლა, რომ რობენი უკან ჩარჩა და „ბაიერნის“ მცველებმა ხელოვნურ თამაშგარეში ვერ დამტოვეს. არა მარტო გოლით, ჩემი თამაშითაც კმაყოფილი ვარ, ყველაზე მთავარი კი, რა თქმა უნდა, ის არის, რომ მოვიგეთ. მიხარია, გამარჯვების გოლი სწორედ მე რომ გავიტანე და თანაც, ბურთი კიდევ ორჯერ მოვარტყი ნოიერის კარის ძელს,“* - ამბობდა ლევანდოვსკი, რომელიც ბურთის ძელზე ორჯერ მორტყმის გამო ანტიგმირობასთანაც ძალიან ახლოს იყო, მაგრამ ბოლოს ეს სტატუსი რობენს „დაუთმო“.

### ბედნიერი იურგენი

კლოპი თავისი შეგირდების მიერ ნაჩვენები ფეხბურთით იყო აღფრთოვანებული: *„სასწაული თამაში გამოვიდა. მატჩის წინ გული მიგრძნობდა, რომ ასე იქნებოდა და ამიტომაც ვთქვი, ჩვენი გულშემატკივრები დიდ სპექტაკლს უნდა ელოდონ-მეთქი. მოგებაში კი ნამდვილად არ ვიყავი დარწმუნებული. მე მართლა ყველაზე სიმპათიური გუნდი მყავს მთელ მსოფლიოში! „ბაიერნის“ ზედიზედ ოთხჯერ დამარცხება აქამდე შეუძლებელი მეგონა...“*

შაბათს კლოპს და კომპანიას კიდევ ერთი ასეთი ემოციური მატჩი ელის და დორტმუნდელებს ამოსუნთქვისთვის ძალიან ცოტა დრო აქვთ. „ბორუსიას“ დაცვის ბურჯი **მატს ჰუმელსი** დარწმუნებულია, რომ გუნდი მოსისხლე მტერ „შალკესთანაც“ ასეთი შემართებით ითამაშებს: *„შაბათსაც ასეთივე ამბავი იქნება. „შალკეს“ ვძულვართ, ჩვენც გვძულს „შალკე“ და თანაც, მთელი სტადიონი ჩვენს წინააღმდეგ იქნება. ასეთი დუელები ძალიან სასიამოვნოა.“*

კლოპი „შალკესთან“ მატჩზე საუბრისას ნაკლებად დიპლომატიური იყო და პირდაპირ, ღიმილიანი სახით თქვა: *„შაბათსაც უაღრესად ინტენსიური და დაძაბული ბრძოლა გველის – ჩვენ ხომ გელზენკირხენში ჩავდივართ. „შალკეს“ ჩემპიონთა ლიგის საგზურის განაღდება უნდა, ჩვენი მიზანი კი მათ სუპში ჩაფურთხებაა!“*

● ბაიერნი



არიენ რობენმა მატჩის შემდეგ ბოდიში იხადა

# რობენი: მაპატიეთ!

## ეს ჰოლანდიელის პირადი მარცხიც იყო

**არიენ რობენს** შეეძლო, მატჩის გმირი გამხდარიყო, მაგრამ ანტიგმირობას გამოჰკრა ხელი. არა მარტო იმიტომ, რომ პენალტი ვერ გაიტანა: სწორედ ჰოლანდიელი ჩარჩა ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის ზღვარს უკან, როცა **რობერტ ლევანდოვსკიმ** გამარჯვების გოლი გაიტანა და ბოლოს, პენალტის გაცუდების შემდეგ, არიენმა „ბორუსიას“ პრაქტიკულად ცარიელ კარს ბურთი ორი მეტრიდან აացილა. საინტერესოა ისიც, რომ ეს არ იყო პირველი გადამწყვეტი მომენტი, რომელშიც ჰოლანდიელს ნერვებმა უმტყუნა.

ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ და ყვებიან, მატჩის შემდეგ ბაიერნელთაგან ყველაზე დიდი იმედგაცრუება სახეზე სწორედ რობენს ეწერაო. არიენმა პრესასთან საუბარი არ ისურვა – რაც სათქმელი ჰქონდა, ყველაფერი ტელევიზიასთან დაფქვა. უშუალოდ საფინალო სასტვენის შემდეგ, „სქაის“ რეპორტიორმა მიკროფონი რომ მიუშვირა, რობენს უბედური კაცის გამომეტყველება ჰქონდა. თავისი მწუხარება მან თუნდაც მხოლოდ იმით გამოხატა, რომ ერთი წინადადება რამდენჯერმე გაიმეორა: *„მაინცდამაინც ასეთ მომენტში!.. დაუჯერებელია!“*

რობენი „ბაიერნისთვის“ განსაკუთრებული ფეხბურთელია. არიენი ის კაცია, ვისაც მარტოს შეუძლია მნიშვნელოვანი თამაშების ბედის გადაწყვეტა, რაც 2010 წელს არაერთხელ დაამტკიცა. თუმცა თავისი მინუსებიც აქვს – ექსპერტები მუდმივად იმაზე საუბრობენ, რომ გუნდური მოთამაშე არ არის – ეგოისტიაო. „დორტმუნდთან“ მატჩშიც დამტკიცდა, რომ ჰოლანდიელი არ არის ის ფეხბურთელი, რომელსაც იმ მომენტში უნდა მიანდო მატჩის და მით უმეტეს, გადამწყვეტი მატჩის ბედი, როცა საქმე ისეთ სიტუაციას ეხება, თამაშის ბედის გადაწყვეტისთვის პენალტის გატანა რომ არის საჭირო.

გვახსენდება 2010 წლის მუნდიალის ფინალი და მომენტი, როცა რობენი 0:0-ზე ესპანეთის ნაკრების მეკარე **იკერ კასილიასთან** პირისპირ დარჩა და ვერ გაიტანა. არადა, რობენს უამრავი, გაცილებით რთულად შესასრულებელი გოლი აქვს გატანილი.

*„ვწუხვარ! ძალიან ვწუხვარ. თანაგუნდელებს და ფანებს ვთხოვ, მაპატიონ“*, - თქვა მან. ოთხშაბათს მხოლოდ „ბაიერნი“ არ დამარცხებულა, „დორტმუნდთან“ 0:1 არიენ რობენის პირადი მარცხიც იყო.

### ცეცხლზე ნავთი ბეკენბაუერისგან

თანაგუნდელებმა ჰოლანდიელი, რა თქმა უნდა, დაიცვეს და ისეთ გაცვეთილ ფრაზებს ისროდნენ, როგორიცაა, მაგალითად, „ერთად ვიგებთ და ერთად ვაგებთ“, მაგრამ ფაქტია, რომ არიენის წარუმატებლობა მის არაერთ თანაგუნდელს გააბრაზებდა. მით უმეტეს, რომ რობენი არ არის „ბაიერნის“ ოფიციალურად გამოცხადებული პენალტისტი – გეხსომებათ, ამას წინათ **მარიო გომესს** სულაც მოედანზე გაუმართა კინკლაობა და პენალტის დარტყმის უფლება ფაქტობრივად ძალით წაართვა.

ალბათ სწორედ ეს ამბავი გაახსენდა **ფრანც ბეკენბაუერსაც**, რომელმაც მატჩის შემდეგ საქვეყნოდ თქვა, მე რომ „ბაიერნის“ მწვრთნელი ვყოფილიყავი, რობენს ამ თერთმეტმეტრიანს არაფრისდიდებით არ დავარტყმევინებდიო. *„ჩემს გუნდში დაუწერელი კანონი არსებობდა: პენალტს არასდროს ასრულებდა ის ფეხბურთელი, რომელიც მას აიკიდებდა,“* - თქვა კაიზერ-ფრანცმა.

გუშინ საფეხბურთო გერმანიაში ის ძველი თეორიაც გაიხსენეს, რომლის მიხედვითაც, გადამწყვეტ მომენტში ცივსისხლიანობას საუკეთესო ჰოლანდიელი ფეხბურთელებიც კი კარგავენ. კიდევ ერთი-ორი ასეთი მოვლენაც და ფაქტია, რომ არიენ რობენის კარიერასაც სწორედ ასეთი ლაიტმოტივი ექნება.

### გამოსწორების შანსი რეალთან

მართალია, მას მოგებული აქვს ტიტულები „ეინდჰოვენში“, „ჩელსიში“, „რეალსა“ და „ბაიერნშიც“, მაგრამ ნახეთ, უკვე რამდენი ასეთი წარუმატებლობა დაუგროვდა: 2010 წლის მუნდიალის ფინალის წაგების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი სწორედ რობენი იყო; ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ინტერთან“ აბსოლუტურად ვერაფერი გააწყო (მაშინ, როცა ნახევარფინალსა და მეოთხედფინალში ზღაპრულად ითამაშა); ახლა კი ეს ამბავი და მიუხედავად იმისა, რომ ბავარიელები ხშირად იმეორებენ, რობენი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესიაო, ფაქტია: „ბაიერნისთვის“ დამახასიათებელ „მზაკვრულ იღბალს“ რეკორდმაისტერი სწორედ რობენთან ერთად კარგავს.

„ბაიერნი“ გერმანიის ჩემპიონი ზედიზედ მეორედ რომ ვერ ხდება, ეს რობენის ბრალი არ არის. უბრალოდ, იმ ფეხბურთელის მიმართ, რომელსაც მაისურზე ათიანი აწერია, მიუნხენური პუბლიკა ყოველთვის განსაკუთრებით პრეტენზიულია.

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალი, გერმანიის თასის ფინალი, ევროპის ჩემპიონატი – რობენს ამ სეზონში არაერთხელ მიეცემა ოთხშაბათს გატეხილი სახელის გამთელების, ანაც უიღბლო სუპერვარსკვლავის სტატუსის სამუდამოდ შენარჩუნების შანსი...

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXII ტური

# ხარობს რონალდო, ხარობს რეალი

## დაბრუნება ექვსი თვის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სპორტინგი–ლევანტე 3:2**

**საუკეთესო:** ოსკარ ტრეხო (სპორტინგი)

**გრანადა–ბილბაო 2:2**

**საუკეთესო:** მარკელ სუსაეტა (ბილბაო)

**ვალენსია–ვალეკანო 4:1**

**საუკეთესო:** ჟონასი (ვალენსია)

**ატლეტიკო–რეალი 1:4**

**საუკეთესო:** კრიშტიანო რონალდო (რეალი)

**ნუხელ**

**ვილიარეალი–მალაგა 2:1**

**ვილიარეალი (4-2-3-1):** დ. ლოპესი - საპატა, გონსალო (76. მარჩენა), მუსაჩიო, კატალა - სენა, ბრუნო - მარტინუჩო (70. ნილმარი), ბ. ვალერო, კამუნიასი (65. ე. პერესი) - მ. რუბენი.

**მალაგა (4-2-3-1):** კამენი - ს. სანჩესი, ველიგტონი, მატეისენი, მონრეალი - ნაჩო კამაჩო, დუდა (65. სება ფერნანდესი) - კასორლა, ისკო (82. რუბენი), ელიზეუ - რონდონი (70. ვან ნისტელროოი).

**გოლები:** 0:1 კასორლა (65), 1:1 სენა (83-პენ), 2:1 ე. პერესი (94)

**გაფრთხილება:** დუდა, ელიზეუ, ვან ნისტელროოი, კამაჩო

**გაძევება:** კამენი (81)

**კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 14-14; **თამაშგარე:** 8-3; **კარში დარტყმა:** 9-9 (3-4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 17 000

**რასინგი–მალიორკა 0:3**

**რასინგი (4-2-3-1):** დანი სოტრესი - ბერნარდო სუნიგა, ტორეხონი, ოსმარი (53. მუნიტისი), კრისტიანი - მ. გულონი (46. კოლსა), ბედია (66. ბაბაკარი) - არანა, რივერო, ხ. ლუკე - სტუანი.

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - სენდროსი, ნუნიეში (64. კრესპი), რამისი, პ. კასერესი - ტისონე (67. ტეხერა), პინა (74. ბიგასი) - ნსუე, ალფარო, რ. კასტრო - ვიქტორი.

**გოლები:** 0:1 ნსუე (1), 0:2 რ. კასტრო (47), 0:3 ალფარო (53)

**გაფრთხილება:** ოსმარი, გულონი, ლუკე - კასტრო

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 15-21; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 15-12 (8-9); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 16 000

**სევილია–სარაგოსა 3:0**

**სევილია (4-2-3-1):** პალოპი - კოკე, ფასიო, ესკუდე, ფ. ნავარო - მედელი, ტროხოვსკი (73. კამპანია) - ხესუს ნავასი, დელ მორალი (63. ბ. დიავარა), ლუნა - ნეგრედო (83. რაკიტიჩი).

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - ლანძარო, მატეოსი, პარედესი, პ. ალვარესი - პინტერი (46. ე. ორიოლი), აპონიო (35. სუკულინი) - ლუის გარსია, რუბენ მიკაელი, ლაფიტა (69. არანდა) - პოშტიგა.

**გოლები:** 1:0 ფასიო (11), 2:0 ნეგრედო (29), 3:0 ნეგრედო (43)

**გაფრთხილება:** ნავასი - პინტერი, პარედესი, მატეოსი

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 17-9 (9-4); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 33 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 32 | 26 | 4 | 2 | 104-28 | 82 |
| 2. ბარსელონა | 32 | 24 | 6 | 2 | 94-23 | 78 |
| 3. ვალენსია | 32 | 14 | 10 | 8 | 50-38 | 52 |
| 4. მალაგა | 32 | 15 | 5 | 12 | 48-45 | 50 |
| 5. ლევანტე | 32 | 14 | 6 | 12 | 46-44 | 48 |
| 6. ოსასუნა | 32 | 11 | 13 | 8 | 37-52 | 46 |
| 7. სევილია | 32 | 12 | 9 | 11 | 39-33 | 45 |
| 8. ბილბაო | 32 | 10 | 12 | 10 | 47-44 | 42 |
| 9. ატლეტიკო | 32 | 11 | 9 | 12 | 43-41 | 42 |
| 10. ესპანიოლი | 32 | 11 | 9 | 12 | 39-43 | 42 |
| 11. ხეტაფე | 32 | 11 | 9 | 12 | 33-43 | 42 |
| 12. მალიორკა | 32 | 10 | 10 | 12 | 35-40 | 40 |
| 13. ვალეკანო | 32 | 12 | 4 | 16 | 49-57 | 40 |
| 14. ბეტისი | 32 | 11 | 6 | 15 | 39-45 | 39 |
| 15. სოსიედადი | 32 | 10 | 8 | 14 | 39-48 | 38 |
| 16. გრანადა | 32 | 10 | 6 | 16 | 30-48 | 36 |
| 17. ვილიარეალი | 32 | 8 | 11 | 13 | 33-46 | 35 |
| 18. სპორტინგი | 32 | 7 | 7 | 18 | 32-60 | 28 |
| 19. სარაგოსა | 32 | 7 | 7 | 18 | 28-59 | 28 |
| 20. რასინგი | 32 | 4 | 13 | 15 | 23-51 | 25 |

**ბომბარდირები:** 40 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 39 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 21 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 20 - გონსალო იგუაინი (რეალი); 17 - ქარიმ ბენზემა (რეალი); 16 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 15 - მიჩუ (რაიო ვალეკანო), ფერნანდო ლორენტე (ბილბაო).

**მომდევნო ტური**

14 აპრილი: რეალი-სპორტინგი, ლევანტე-ბარსელონა.

15 აპრილი: ესპანიოლი-ვალენსია, ბეტისი-ოსასუნა, მალაგა-რეალ სოსიედადი, ვილიარეალი-რასინგი, სარაგოსა-გრანადა, ბილბაო-მალიორკა, რაიო ვალეკანო-ატლეტიკო.

16 აპრილი: ხეტაფე-სევილია.



კრიშტიანო რონალდოს კარიერაში საუკეთესო სეზონი აქვს

გუშინ ესპანურ პრიმერაში 32-ე ტურის კიდევ სამი თამაში გაიმართა, თუმცა იბერიის ნახევარკუნძულზე საფეხბურთო სამყარო ისევ ოთხშაბათის მატჩს არჩევდა - „ელ დერბი მადრილენიო“ ლა ლიგაში 81-ედ მოიგო „სამეფო კლუბმა“. ანგარიშის მიხედვით, „რეალმა“ „ატლეტიკო“ 4:1 დაამარცხა, შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ლიდერმა იოლი გამარჯვება მოიპოვა. ასეც იყო, მაგრამ ერთი დიდი შენიშვნით, რომ არა **კრიშტიანო რონალდო**, ვინ იცის, როგორ გაუჭირდებოდა **ჟოზე მოურინიოს** გუნდს „ათლეტთა“ ძლევა, თუკი ამას საერთოდ მოახერხებდა. საქმე მხოლოდ იმაში არაა, რომ კრიშტიანოს ანგარიშზე 3 გოლი და ერთი საგოლე პასია, რონალდოს გოლები უფრო ინდივიდუალური გაბრწყინება იყო, რადგან საერთო ჯამში გუნდურად „რეალმა“ დიდი ვერაფერი თამაში აჩვენა.

## რეკორდები, რეკორდები...

ყოველ ჯერზე, როცა „რეალი“ ან „ბარსელონა“ მოედანზე გადის, გრანდი ახალ სიმაღლეს იპყრობს და ჩვენ მერე ამა თუ იმ რეკორდის შესახებ გვიხდება მოყოლა. ეს უკვე ტრადიციად გვექცა, მაგრამ ჩვენი „ბრალი“ არაა, ეს ორი გრანდი ძალიან ასცდა ესპანური ფეხბურთის ყოველდღიურობას, რეალობას, თითქოს, კოსმოსში გაიჭრა, რეკორდებიც ერთმანეთის მიყოლებით ემხობა, საკლუბო თუ ინდივიდუალური...

დერბიში მოურინიოს „რეალმა“ 300-გოლიან ნიშნულს მიაღწია, ახლა პორტუგალიელის თავკაცობით „სამეფო კლუბის“ ანგარიშზე 302 გოლია. 302-დან 206 გოლი ლა ლიგაზე მოდის, 57 ჩემპიონთა ლიგაზე, 35 კოპაზე და 4-იც ესპანეთის სუპერთასზე.

ჟოზეს მიზანი **მიგელ მუნიოსის** „რეალის“ რეკორდის დამხობაა - 1959/60 წლების სეზონში „სამეფო კლუბმა“ 158 გოლი გაიტანა. ახლა „რეალის“ ანგარიშზე 154 გოლია სეზონში.

თურმე „რეალს“ შუა კვირაში თამაში კარგად აქვს დაცდილი - 16 მატჩია, რაც ამ გუნდს შუა კვირაში არ წაუგია. ბოლოს ასეთი რამ 2006 წლის დეკემბერში მოხდა. მაშინ მადრიდელებმა მოკრძალებულ „უელვასთან“ წააგეს.

კრიშტიანო რონალდო თავისსავე რეკორდს - ლა ლიგის ერთ სეზონში 40 გოლი - გაუტოლდა. პორტუგალიელს თავისუფლად შეუძლია მიღწეულის გადამეტება, რადგან წინ კიდევ 6 ტურია.

ჟოზე მოურინიომ „ატლეტიკოს“ ხუთიდან ხუთივე დაპირისპირება მოუგო.

## მსოფლიოში საუკეთესო კრიშტიანო

**კრიშტიანო რონალდო:** *„მადლიერი ვარ ჩემი თანაგუნდელების, რადგან მარტო მე ვერც გოლების გატანას შევძლებდი და ვერც იმ თამაშის ჩვენებას, რაც დღეს გამომივიდა. კარგად ვიცოდით, რომ თამაში ძალიან დაძაბული იქნებოდა, მიზანი კი რთულად მისაღწევი. „ატლეტიკო“ ძლიერი გუნდია, მეტოქემ დღესაც კარგად ითამაშა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ გოლების გატანა და საგოლე პასების გაკეთება გამომდის. მაგრამ ამ ყველაფერს ჩემი თანაგუნდელების დახმარების გარეშე ვერ შევძლებდი. მატჩზე ცოტათი დაძაბულები გავედით, ყველამ ვიცოდით, რომ წინა დღეს „ბარსელონამ“ მოიგო და 1 ქულამდე მოგვიახლოვდა. ქულების დაკარგვა არაფრით შეიძლებოდა და ეს სიტუაციას ძაბავდა. ახლა შემდეგ მატჩზე ვფიქრობთ, რომელიც ასევე აუცილებლად უნდა მოვიგოთ, რათა ჩემპიონობის შანსები გავიზარდოთ. გუნდში კარგი სიტუაციაა, ჩვენ ვიცით, რა არის მიზანი და როგორ უნდა მივაღწიოთ მას“.*

**აიტორ კარანკა** (მოურინიოს თანაშემწე): *„კრიშტიანომ დღეს სპექტაკლი დადგა. თუმცა მთლიანად გუნდსაც არაფერი დაეწუნება. როცა 1:1 გახდა და მეტოქის ფანებმაც ზეწოლა გააძლიერეს ჩვენს ფეხბურთელებზე, მაშინ მხოლოდ რონალდომ კი არა, უკვე მთელმა გუნდმა გამოაჩინა ბრჭყალები.*

*პირველი ტაიმი არც ერთი გუნდის არ იყო, ჩვენ პრობლემები არ შეგვქმნია, რონალდომ გოლი გაიტანა და ტაიმიც მოვიგეთ. მაგრამ ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ამის შემდეგ დაიწყებოდა ყველაზე მთავარი. და მართლაც, „ატლეტიკომ“ გაათანაბრა. ახლა ქულებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ჩემპიონატი დასასრულისკენ მიდის, ჩვენც მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ შანსები. დღეს ამაში კრიშტიანო რონალდო დაგვეხმარა.*

*დღეს მარსელო არ ვათამაშეთ, რადგან დილით თავი შეუძლოდ იგრძნო და ვერ ივარჯიშა. მას ზურგი აწუხებს.*

*ჩემპიონატის ბედი ამის მერეც არ არის გადაწყვეტილი. ხალხს უყვარს ნაწინასწარი დასკვნების გამოტანა, გახსოვთ ალბათ, როგორ შეგვრაცხეს ჩემპიონებად და შემდეგ აღმოჩნდა, რომ მთლად ასეც არ იყო საქმე. ტურნირის დასრულებამდე ჯერ კიდევ ბევრი დარჩა და ეს დერბი სულაც არ ყოფილა გადამწყვეტი შეხვედრა“.*

**ხოსე კალეხონი:** *„ატლეტიკომ“ სათანადო წინააღმდეგობა გაგვიწია, იყო ფრის საფრთხეც, მაგრამ მოვინდომეთ და სამი ქულა მოვიპოვეთ. კრიშტიანო რონალდო, ჩემი აზრით, მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელია“.*

**ჩაბი ალონსო:** *„ეს სამი ქულა ძალიან გვესაჭიროებოდა. გუნდმა კარგად ითამაშა, მაგრამ არაფერი გამოგვივიდოდა, რომ არა კრიშტიანო რონალდოს დიდებული თამაში. ახლა მთლიანად შემდეგ თამაშზე უნდა გადავერთოთ, რომელსაც სამწუხაროდ, მე გამოვტოვებ. „სპორტინგი“ აუცილებლად უნდა დავამარცხოთ“.*

**სერხიო რამოსი:** *„ძალიან გაგვიმართლა, რომ კრიშტიანო რონალდო ჩვენ გუნდში თამაშობს და არა სხვაგან. შემდეგი მატჩიც უნდა მოვიგოთ, რომ „ელ კლასიკოს“ 4-ქულიანი უპირატესობით შევხვდეთ“.*

## ათამდე ვერ გაქაჩა?

მატჩი დასრულდა, მაგრამ „რეალს“ დასასვენებლად სად სცალია - შაბათს „სამეფო კლუბი“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ერთ-ერთ აუტსაიდერ „სპორტინგს“ მიიღებს. გუშინ ჟოზემ „რეალი“ ავარჯიშა კიდევაც, თუმცა ბევრ ინფორმაციას ვერ მოგაწოდებთ - პორტუგალიელმა თავკაცმა ვარჯიში მედიისთვის დახურა.

„ატლეტიკოსთან“ მატჩი **პეპესთვის** 150-ე აღმოჩნდა „ლოს ბლანკოსის“ მაისურით. პორტუგალიელი მცველის დებიუტი 2007 წლის აგვისტოში შედგა „სევილიას“ წინააღმდეგ.

Goal.com-ის შეფასებით საუკეთესო „სამეფო კლუბში“, რა თქმა უნდა, რონალდო იყო - 9 ქულა (10-ბალიანი სისტემით). 7-7 ბალი დაიმსახურეს **სამი ხედირამ, მესუთ იოზილმა, გონსალო იგუაინმა** და **ხოსე კალეხონმა**. როგორც ხედავთ, სასტარტოში ამათგან მხოლოდ ხედირამ და რონალდომ ითამაშეს. ცუდი შეფასებები მიიღეს **კაკამ, ფაბიო კოენტრაომ** და **ალვარო არბელოამ** (5-5) და არც **ქარიმ ბენზემა** ბრწყინავდა - 5,5 ბალი.

## ღამურების გამოღვიძება

ცოტა სხვა მატჩებზეც ვთქვათ - ანდალუსიურმა ფრემ (2:2) არც ერთი მხარე არ დატოვა ბედნიერი, „გრანადას“ ისევ აქვს გავარდნის საფრთხე, ხოლო „ბილბაოს“ სულ უფრო შეუმცირდა ევროსაგზურისთვის ბრძოლის შანსი. **ფერნანდო ლორენტემ** პენალტი გააფუჭა, რალაც ამ ბოლო დროს მსოფლიოს ჩემპიონმა მოუხშირა პენალტების გაცუდებას.

მასპინძელთა თავკაცმა **აბელ რესინომ** შედეგი დელიკატურად მსაჯს დააბრალა, ჩვენ ყველანი ვუშვებთ შეცდომებს, დღეს რეფერის ჯერი იყოო. **უნდიანო მალენკომ** „გრანადას“ ათიანი 21 წლის **ხაიმე რომერო** გააძევა, რომელმაც მანამდე ბასკთა კარში გოლი გაიტანა. მალენკოს „მარკამ“ 4-იანი დაუწერა.

„ვალენსიამ“ „რაიო ვალეკანოსთან“ ამოხეთქა - **ჟონასის** დუბლი და 4:1 „ღამურების“ სასარგებლოდ. ყველაზე მთავარი ამ თამაშში **სერხიო კანალესის** დაბრუნებაა - ესპანური ფეხბურთის ვარსკვლავთბიჭუნამ 6-თვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ პირველად ითამაშა „ვალენსიას“ რიგებში, ის შეცვალზე შევიდა.


და აი, ისიც დაბრუნდა: ბურთით სერხიო კანალესი

როგორც იქნა, **ხავიერ კლემენტემ** მოიგო - მისმა „სპორტინმა“ „ლევანტე“ 3:2 დაამარცხა და ასტურიაში იმედიც გაჩნდა. ძალიან კარგად ითამაშა **ოსკარ ტრეხომ**, თუმცა გამარჯვების გოლი სხვა არგენტინელის ანგარიშზეა - „სპორტინგს“ **გასტონ სანგოის** გოლმა მოაგებინა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი ჭიდაობა. მეკოკიშვილის ტურნირი

# ხსოვნა ტურნირმა დაამშვენა

**გუშინ** სახელოვან ქართველ ფალავანს, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ არსენ მეკოკიშვილს დაბადებიდან 100 წელიწადი შეუსრულდა, რაც მის მშობლიურ საგარეჯოში ღირსეულად აღნიშნეს - მეკოკიშვილის სახელობის დარბაზში ჩატარდა აბსოლუტური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, შუალედში კი ძველმა თუ ახალი თაობის მოჭიდავეებმა ყვავილებით შეამკეს დიდი ჩემპიონის საფლავი.

შეჯიბრება თავისუფალი სტილით მოჭიდავეთათავის ცოტა უხერხულ დროს დაემთხვა - ეროვნული ნაკრები 20-22 აპრილს სოფიაში გასამართი ევროპის ზონის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის ემზადება. ამიტომ ამ შეჯიბრებისთვის მონაწილეთა გამოთავისუფლება ცოტა ძნელი საქმე იყო, თუმცა საბოლოოდ კომპრომისულმა ვარიანტმა გაიმარჯვა და მძიმე წონაში გუნდის უმთავრესი ლიდერის, მსოფლიოს პრიზიორ **დავით მოძმანაშვილის** გარდა წონის სხვა ფავორიტებმა იჭიდავეს. ოღონდ ჩემპიონი არა მძიმეწონოსანი, არამედ 96-ის ფალავანი **ელიზბარ ოდიკაძე** გახდა.

ტურნირში სულ რვა მონაწილე გამოდიოდა, რომლებიც ორგანიზატორებმა ორ ჯგუფად გაყვეს. საბედნიეროდ, დარბაზში ბლომად შეკრებილმა მაყურებელმა საკმაოდ დაძაბული, ლამაზი შეხვედრები იხილა.

ორგანიზატორებმა მონაწილეები კი განთესეს, მაგრამ ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონსა და მსოფლიოს მედალოსან **გიორგი საკანდელიძეს** ოდიკაძესთან შეხვედრაში ამანაც ვერ უშველა და ჯგუფში მეორეზე დარჩა, რითაც ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლის უფლებალა შერჩა, ფინალის საგზური კი ოდიკაძემ მოიპოვა.

მეორე ჯგუფში მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორმა **ლევან ბერიანიძემ** ფავორიტის იმიჯი ბოლომდე გაამართლა და ყველა მეტოქეს აჯობა, რითაც ოქროსთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა. აქ ჯგუფში მეორეზე **ლევან სეთურიძე** გავიდა ანუ ბრინჯაოსთვის ბრძოლაში საკანდელიძეს დაუპირისპირდა.

ამ შეხვედრის პირველი პერიოდი დაძაბული და უცნაური პერიპეტიებით ალსავსე გამოდგა. ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როცა პერიოდის მიწურულს სეთურიძე ფეხში შევიდა. საკანდელიძე მედგრად დაუხვდა და კონტრილეთზე უკუგდება დაუპირა, მაგრამ ბოლომდე ვერ დაასრულა, თუმცა გდება ნამდვილად გააკეთა. უბრალოდ, სეთურიძემაც მოახერხა თავის დაცვა და გდების დასასრულს მეტოქე პირდაპირ დასვა ლეიბზე. მსაჯებმა თავდაპირველად 2:0 შეაფასეს სეთურიძის სასარგებლოდ და პერიოდიც ასე დასრულდა, მაგრამ მერე ეპიზოდი განიხილეს და საბოლოოდ ასეთი ანგარიში დაადგინეს - 2:1 უკვე საკანდელიძის სასარგებლოდ.

მეორე პერიოდში ბრძოლა, არსებითად, არც ყოფილა - საკანდელიძემ ზედიზედ ორჯერ წრიდან გაიყვანა მეტოქე და 2:0 დაწინაურდა. მალე ამას 2-ქულიანიც მიაყოლა და ანგარიში 4:0 გახადა. ამის მერე ოდნავ მოეშვა და ტაქტიკურ ჭიდაობაზე, დროის გაყვანაზე გადავიდა. სეთურიძე ამ პერიოდში ორჯერ სევიდა ფეხში და თითოქულიანზე გადაიყვანა, მაგრამ ვერც პერიოდის და ვერც შეხვედრის გადარჩენა ვერ შეძლო. ამდენად, ტურნირის მესამე პრიზიორი გიორგი საკანდელიძე გახდა, რომელმაც ჯილდოდ 700 ლარიც მიიღო.

ფინალი საკმაოდ დაძაბული გამოდგა და 100-კილოგრამიანმა ოდიკაძემ არათუ რამე დაუთმო 135-კილოგრამიან ბერიანიძეს, აჯობა კიდეც. აქ არ ყოფილა თავბრუდამხვევი ტემპი და ილეთების კორიანტელი, თუმცა შეხვედრას სიმწვავე პირველიდან ბოლო წუთამდე არ დაუკარგავს. უფრო მოქნილსა და მოძრავ ოდიკაძეს წარმატება ფეხში შესვლამ მოუტანა - ამით გაიმარჯვა პირველ პერიოდში (1:0) და ამითვე მოიპოვა მომგებიანი ქულა მეორეში. თუმცა მეორეში ერთხელ თავადვე ემსხვერპლა საკუთარ ილეთს - ფეხში კი სევიდა, მაგრამ მეტოქე ქულაზე ვერ გადაიყვანა. ამასობაში ბერიანიძე იქით გადავიდა შეტევაზე და ოდიკაძე გადაიყვანა ჩოქბჯენში - 1:0. პერიოდი ასეც მთავრდებოდა და თითქოს დამატებით დროს წინ არაფერი ედგა, მაგრამ ოდიკაძე კიდევ ერთხელ შევიდა ფეხში, ამჯერად კარგადაც აიყვანა და ქულაც მიითვალა. ამით ანგარიში გათანაბრდა, თუმცა ბოლო ქულის დამსახურებით მოგება ოდიკაძეს დარჩა. მან ჯილდოდ 2000 ლარი მიიღო, ბერიანიძე კი 1000-ს დააჯერა. ოდიკაძემ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისგან სპეციალური პრიზიც მიიღო, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა **გურამ სალარაძემ** კი სადღეისოდ საგარეჯოელთა ყველაზე წარმატებული ფალავანი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **დავით ხუციშვილი** (74) და მისი მწვრთნელი **რევაზ ასაბაშვილი** საკუთარი წიგნით დააჯილდოვა.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**ირაკლი თავაძე**

სეოკ-ში




მარცხნიდან: ლევან ოდიშარია, გია ნაცვლიშვილი და შოთა ომარაშვილი

# ლიცენზიატი პარალიმპურშიც გვყავს

**ლონდონის** 2012 წლის ოლიმპიური თამაშების დამთავრებიდან ორი კვირის შემდეგ ინგლისის დედაქალაქში პარალიმპური თამაშებიც გაიმართება. საქართველოს ამ შეჯიბრებაზეც ეყოლება წარმომადგენელი - **შოთა ომარაშვილი,** რომელმაც დუბაის სალიცენზიო ტურნირზე წოლჭიმში 135 კილოგრამი დასძლია და საგზურიც მოიპოვა.

30 წლის შოთა ომარაშვილი გურჯაანელია. ბავშვობიდანვე დაჰყვა მყესების დაჭიმულობა. ორჯერ ოპერაციაც გაიკეთა, მაგრამ სპეციალისტებმა მისი სრულად გამოჯანმრთელება მაინც ვერ შეძლეს. შეზღუდული შესაძლებლობების მიუხედავად, შოთა ადრეული ასაკიდან ჩაება სპორტში. 17 წლის იყო, მკლავჭიდში რომ დაიწყო ვარჯიში. ორი წლის შემდეგ პარალიმპური კომიტეტის გენერალური მდივანის **გიორგი წასიძის** ინიციატივით **გიორგი ბილაშვილთან** ძალოსნობაში მოსინჯა ძალები. მწვრთნელისა და შეგირდის ნაყოფიერმა გარჯამ შედეგიც გამოიღო - შოთამ საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა, შარშან ზაფხულს 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველად იასპარეზა იორდანიის საერთაშორისო ტურნირზე. წოლჭიმში მაშინ 120 კილოგრამი დაიმორჩილა და მე-4 ადგილი დაიკავა. რვა თვის შემდეგ არაბთა გაერთიანებული საამიროების დედაქალაქში პირადი რეკორდი გააუმჯობესა და სალიცენზიო ნორმატივიც შეასრულა.

- დუბაიში ორი ძალოსანი წავიყვანეთ, - გვითხრა საქართველოს პარალიმპური კომიტეტის პრეზიდენტმა **ლევან ოდიშარიამ**. - 60 კილოში შოთა ომარაშვილი გამოდიოდა, 90 კილოში - პეკინის პარალიმპური თამაშების მონაწილე იაგო გორგაძე, რომელმაც წოლჭიმში 171 კილოგრამი დასძლია და მე-6 ადგილი დაიკავა. სალიცენზიო ნორმატივი იაგომაც შეასრულა, მაგრამ, რადგანაც ქვეყანაზე მხოლოდ ერთი საგზური გაიცემოდა, საერთაშორისო პარალიმპურმა ორგანიზაციამ და შეჯიბრების ორგანიზატორებმა უპირატესობა ომარაშვილს მიანიჭეს. ლონდონის პარალიმპური თამაშების მეორე საგზურის მოპოვების შანსიც გვაქვს: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოცურავეთა შარშანდელი ევროპის პირველობის მესამე პრიზიორი ნიკა თვაური მონდომებით ემზადება ბრასში და 15 მაისამდე სალიცენზიო ტურნირზე აუცილებლად გამოვა. ნავთობკომპანია "ბიპის" დახმარებით ორივე სპორტსმენს ორ-ორ საწვრთნელ შეკრებას ჩავუტარებთ...

გუშინ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში შოთა ომარაშვილს შეხვედრა მოუწყვეს. ლიცენზიატ სპორტსმენს სეოკ-ის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი** მიესალმა და ლონდონის პარალიმპურ თამაშებში გამარჯვება უსურვა.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია შოთა ომარაშვილის წარმატება, რადგან საქართველოს ლონდონის პარალიმპურ თამაშებში წარმომადგენელი ეყოლება. ესეც არ იყოს, შოთამ მაგალითი მისცა ადამიანებს, თუ როგორ უნდა აკეთონ ის საქმე, რაც უყვართ. ვაფასებ მის გარჯას და ვულოცავ ლიცენზიას. ვიმედოვნებ, რომ იგი ლონდონშიც გვასახელებს", - თქვა გია ნაცვლიშვილმა.

**ვაჟა დანელია**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

სიახლე



# ელექტრო ტაბლო სეოკ-ში

**საქართველოს** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მეორე სართულზე დამონტაჟებული ეკრანი სტუმართა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. ეს სიახლეა - ელექტრონულ ტაბლოზე მიმდინარე თვის საშინაო თუ საგარეო სპორტული შეჯიბრებების კალენდარი ისახება და ყველას შეახსენებს დროსაც და მოსაგვარებელ პრობლემებსაც. ასეთი ნოვაცია საქართველოში პირველად დაინერგა. ბოლო დრომდე სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციაში ასეთი კალენდარი დიდი ფორმატის ქაღალდზე ან, უკეთეს შემთხვევაში, დაფაზე ცარცით იყო ჩამოწერილი.

**თენგიზ თომაშვილი**

ძალოსნობა

# უიღბლო დებიუტი

**თურქულ** ანტალიაში დაიწყო ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც ქართველი სპორტსმენებიც მოსინჯავენ ძალებს. გუშინ ფიცარნაგზე გავიდა ეროვნული ნაკრების დებიუტანტი **დავით ხარატაშვილი** (აფხაზეთი, 77 კგ), რომელსაც ვარჯიშებზე ორჭიდში 315 კილოგრამი (140+175) აქვს დაძლეული. სამწუხაროდ, მან ანტალიაში საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინა - 298 კილოთი (135+163) 26 მონაწილეს შორის მხოლოდ მე-18 ადგილი დაიკავა. საპრიზო ადგილები კი ასე განაწილდა: 1. ერვანდ კერიმაჟი (ალბანეთი, 348 კგ), 2. მარტინ რაზვანი (რუმინეთი, 347), 3. ალექსანდრ დუდოღლუ (მოლდოვა, 344).

დღეს შეჯიბრებაში 85 კილოგრამი წონითი კატეგორიის ათლეტები ჩაებმებიან. ქართველთაგან ქუთაისელი **რაულ ცირეკიძე** იასპარეზებს, რომელიც საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებს.

**ვაჟა დანელია**

ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

რეგიონი

# ცნობილი მწვრთნელები ახმეტაში

ამ დღეებში ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სკოლაში სტუმრად იმყოფებოდნენ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ცნობილი მწვრთნელები: **ნესტორ ხერგიანი, თამაზ კარიაული, გიგა ბოჭორიძე, ირაკლი უზნაძე** და **ბიძინა მოხევიშვილი.**

ადგილობრივ მწვრთნელებთან ერთად მათ ერთობლივი სასწავლო-საჩვენებელი ვარჯიშები ჩაუტარეს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ახალბედა ძიუდოისტებს.

FM 107.9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".



მშვილდოსნობა. მსოფლიოს თასი

# ჩინეთი ჩვენთვის დასრულდა

ARCHERY WORLD CUP
Shanghai
10 - 15 April 2012

შანხაიში მიმდინარე მშვილდოსანთა მსოფლიოს თასის პირველი ეტაპის პირად პირველობაში ფინალური წყვილები გამოვლინდნენ, ტურნირს კი ქართველები აღარ შემორჩნენ.

ჩვენებურთაგან ყველაზე უკეთ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ქრისტინე ესებუა** გაისარჯა, რომელიც მერვედფინალში გავიდა. ჩვენებურმა პ;ეი ოფის პირველ წრეში პოლონელი **პაულა ვიცზეჩოვსკა** პირწმინდად დაჩაგრა - სეტებში 7:1 მოუგო, თუმცა პირველი სერია ფრედ დაასრულა - 27:27. ბელარუსი **ეკატერინა ტიმოფეევა** შედარებით კერკეტი კაკალი გამოდგა - ჩვენებურს 0:2 ამოუქაჩა და ანგარიში გაუთანაბრა, თუმცა ნერვების თამაშში ესეც კარგი ყოჩალია. შედეგად ყველაზე საჭირო მომენტში შეძლო მობილიზება და დამატებითი, მეხუთე სეტი 28:25 მოუგო. სამაგიეროდ, ჩინელ **ცი ლესთან** ვერაფერს გახდა და 2:6 დათმო.

საკმაოდ ხმაურიანი გამარჯვება მოიპოვა **ასმათ დიასამიძემ** - იტალიელი **ელენა ტონეტა** 7:1 დაამარცხა. ტონეტა იტალიელთა შედარებით ახალი კადრია, მაგრამ მაინც მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონთა გუნდის წევრია და ჩვენთვის ავადსახსენებელ იმ წარმატებაში (შეგახსენებთ - მაშინ იტალიელებმა ჩვენებთან წააგეს, მაგრამ შეხვედრა გადაათამაშეს, რომელიც იმათ მოიგეს, ხოლო ჩვენებმა ლონდონის ოლიმპიადის საგზურები დაკარგეს) თავისი წვლილი მანაც შეიტანა. ამდენად დიასამიძის გამარჯვება აღსანიშნავია. მეორე შეხვედრაში ჩვენებური ძლიერ იაპონელ **რენ ჰაიაკავასთან** დამარცხდა, თუმცა დაძაბულ ბრძოლაში - 4:6.

პირველივე წრეში დამარცხდა **ხათუნა ნარიმანიძე** - მოლდოველ **ალეხანდრა მირჩასთან** (2:6). **ნათია ცინცაძემ** კი ამავე ანგარიშით ასევე პირველ წრეში წააგო თურქ **ბეგულ ლუკლუოღლუსთან.**

პლეი ოფის პირველივე წრეში დამარცხდა ჩვენი ვაჟთა სამეული. იმათგან ყველაზე კარგად **ირაკლი ქვლივიძე** გამოვიდა, რომელმაც მონღოლ **იანტსან განტუგთან** 4:6 წააგო. აქ პირველი ორი სეტი ფრედ დასრულდა, მესამე კი მონღოლმა მოიგო. საბედნიეროდ, ჩვენებურს ეყო ძალა და კიდევ ერთხელ გაიბრძოლა - მეოთხე სეტი მოიგო და შეხვედრა დამატებითში გადაიყვანა. აი, იქ კი უფრო ძლიერი მონღოლი აღმოჩნდა. საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენებურთაგან საუკეთესო **ლაშა ფხაკაძეს** რომ არ გაუმართლა, გუშინაც ვწერდით - პლეი ოფის პირველივე წრეში უკრაინელ ოლიმპიურ ჩემპიონ **ვიქტორ რიბანს** დაუპირისპირდა. მოლოდინისამებრ, უკრაინელმა იოლად მოიგო - 6:0. **თორნიკე რიჟამაძე** ჩინელ **იუ ჰინგთან** 1:7 დამარცხდა.

გუნდურ პაექრობაში ჩვენები - ვერც ქალები და ვერც ვაჟები პლეი ოფში ვერ მოხვდნენ. ისინი უახლოეს დღეებში დაბრუნდებიან სამშობლოში და დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე გააგრძელებენ მზადებას, 1-6 მაისს კი ანთალიაში გამოვლენ მსოფლიოს თასის რიგით მეორე ტურნირში.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი


ლალი ზერეკიძე და ანა ტატიშვილი

# პირველ ზონაში აღსაზევებლად

**ეგვიპტის დედაქალაქი ქაირო 18-21 აპრილს „ფედერაციის თასზე" ევროაფრიკული მე-2 ზონის ტურნირს უმასპინძლებს. ზედა ეშელონში ასაზევებლად საქართველოს, დანიის, ფინეთის, ლატვიის, ჩერნოგორიის, ნორვეგიის, სამხრეთ აფრიკისა და თურქეთის ჩოგბურთელი ქალები იასპარეზებენ. გვესაუბრება საქართველოს ნაკრების კაპიტანი ლალი ზერეკიძე.**

- თბილისიდან ეგვიპტეში 16 აპრილს მე და ანა ტატიშვილი გავემგზავრებით, სტამბოლის აეროპორტში შემოგვიერთდება სოფიო ქვაცაბაია, რომელიც ამჟამად იტალიის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს. სოფიო შაფათავა ამერიკის 25-ათასიანი ტურნირში თამაშობს და ორშაბათს ქაიროში დაგვხვდება. 17 აპრილს დელეგაციების ოფიციალური რეგისტრაცია და წილისყრა გაიმართება. რვა ქვეყნის ნაკრებები ორ ჯგუფში გადანაწილდება. იქ კი წრიული სისტემით გამართული პაექრობების შემდეგ გამოვლინდება ის ოთხეული, რომელიც პლეი ოფში პირველი ზონის ორი საგზურისთვის იბრძოლებს. ჩვენს გუნდში პირველ ნომრად, ცხადია, საქართველოს ქალთა ჩოგბურთის ლიდერი ანა ტატიშვილი ითამაშებს. ვინ იქნება მეორე, ამას ადგილზე გადავწყვეტთ. სოფიო შაფათავამ წლევანდელი სეზონი სუსტად დაიწყო, მაგრამ, აი, ახლა ამერიკის 25-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით გაიარა და ძირითად ბადეში მოხვდა. ეტყობა, ნელ-ნელა შედის ფორმაში. ქვაცაბაიამ კი, მართალია, 10-ათასიანები, მაგრამ ზედიზედ სამი შეჯიბრება მოიგო. ასე რომ, ანგარიშგასაწევი გუნდი გვყავს, თუმცა წინასწარ რამის თქმა ძალიან ძნელია, რადგან მეტ-ნაკლებად რვავე გუნდს აქვს ზედა ეშელონის საგზურების მოპოვების შანსი. მართალია, დანიას ვოზნიაცკი არ ეყოლება, მაგრამ პირველ ლიგაში თამაშის გამოცდილება გააჩნია, თურქეთი წყვილებში თამაშობს ძლიერად, არც ფინეთი და ლატვიაა ხელწამოსაკრავი, თანაც დაძაბული გრაფიკი გვექნება: ყოველდღიურად სამ-სამ ორთაბრძოლას გავმართავთ. კორტებზე ჯერ მეორე ნომრები გავლენ, შემდეგ — ლიდერები. ბოლოს კი, 2:0-ს მიუხედავადაც, წყვილები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. თანაბარი ქულების შემთხვევაში სწორედ სეტები გადაწყვეტს ნახევარფინალისტთა ვინაობას.

**- გუნდში მხოლოდ სამი ჩოგბურთელი გვეყოლება...**

- ძალიან გვინდოდა, მაკა ჩახნაშვილსაც ეთამაშა, რომელსაც საქართველოს ნაკრების წარმატებებში ლეილა მესხთან, ნინო ლუარსაბიშვილთან და სალომე დევიძესთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის. სწორედ ამ ჩოგბურთელების დამსახურებაა, რომ 1994 წლიდან "ფედერაციის თასის" გათამაშებაში რვაჯერ ვიყავით პირველ ზონაში. მაკა გამოცდილი სპორტსმენია და ჩვენთვის დიდი ძალა იქნებოდა. ველაპარაკეთ კიდეც. სამწუხაროდ, საერთაშორისო ფედერაციიდან შეჯიბრების ჩატარების ზუსტი თარიღი გვიან მივიღეთ, მაშინ, როცა ჩახნაშვილს საფრანგეთის ერთ-ერთ კლუბთან ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული. მართალია, სამი ჩოგბურთელით ვითამაშებთ, მაგრამ წარმატებისთვის არაფერს დავიშურებთ. შარშანაც ახლოს ვიყავით მიზანთან, თუმცა ნახევარფინალში პორტუგალიის დასამარცხებლად ერთი ბურთი არ გვეყო. თანაც მაშინ საპატიო მიზეზით ანა ტატიშვილი არ გვყავდა. წლეულს ჩვენი გუნდი ბევრად უფრო ძლიერია.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

# ტატიშვილის მასტერკლასი

ამჟამად თბილისში იმყოფება მსოფლიოს კლასიფიკაციით 85-ე და საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი **ანა ტატიშვილი.** გუშინ მან ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე საჩვენებელი ვარჯიში და, იმ მოზარდებისთვის, რომლებიც 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის ემზადებიან, მასტერკლასი გამართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ლეილა მესხი** და თბილისი 2015-ის სპორტული დირექტორი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს აპარატის უფროსი **ირაკლი სამყურაშვილი.**




**ვაჟა დანელია**
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

სპორტი ყველასთვის

# საქართველო უერთდება

მეხუთე მსოფლიო თამაშები სპორტი ყველასათვის წლეულს 5-11 ივლისს ლიტვის ქალაქ შიაულიაიში გაიმართება. ეს გრანდიოზული კომპლექსური ასპარეზობა კულტურულ პროგრამასაც მოიცავს და ყოველ თამაშებზე სხვადასხვა კონტინენტის 10 ათასზე მონაწილეს უყრის თავს. პროგრამაში შედის, როგორც ტრადიციული (მაგრამ განსხვავებულია პროგრამა), ისე არატრადიციული, მათ შორის ეროვნული თამაშები და სახეობები, ორიგინალურია ასპარეზობის წესები. სპორტულ სარბიელზე მხოლოდ არაპროფესიონალი სპორტსმენები მონაწილეობენ. ამით პროპაგანდა ეწევა სპორტის საყოველთაო ხელმისაწვდომობას, ჯანსაღი ცხოვრების წესს.

შიაულიაიდან საორგანიზაციო კომიტეტის დელეგაცია ამ დღეებში თბილისს ეწვია, გუშინ კი საქართველოში ლიტვის საელჩოში თამაშების პრეზენტაცია გამართა. ამასთან ეს იყო ორმხრივი საქმიანი შეხვედრა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს აპარატის უფროსის, **ირაკლი სამყურაშვილისა** და სპორტი ყველასათვის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის **თენგიზ გაჩეჩილაძის** მონაწილეობით. ქართულმა მხარემ დაადასტურა თამაშებში მონაწილეობა, რაც ოფიციალურად დათქმულ ვადაში - 1 მაისამდე წარედგინება საორგანიზაციო კომიტეტს. ამრიგად, ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები ზემოხსენებულ მსოფლიო თამაშებში პირველად გამოვლენ.

**თენგიზ თომაშვილი**




ჭადრაკი

# საგზურები განაწილდა

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა 14-წლამდელ მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელიც შესარჩევი ტურნირიც იყო.

გოგონებში 9 შესაძლებლიდან 7-7 ქულა მოაგროვეს თბილისელმა **ნინო ხომერიკმა** და ქუთაისელმა **ნინო დახუნდარიძემ.** უკეთესი კოეფიციენტით ოქროს მედალი ხომერიკს ერგო, ვერცხლი – დახუნდარიძეს. 6 ქულით მესამე ადგილი **ნინო ჯალაღონიამ** (ქუთაისი) დაიკავა.

ბიჭებში 7.5 ქულით პირველ ადგილზე თბილისელი **გიორგი სიბაშვილი** გავიდა. მან ნახევარ-ნახევარი ქულით გაუსწრო ქუთაისელებს – **ნოე თუთისანსა** და **დავით გვენეტაძეს,** რომლებმაც, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს.

ჩემპიონები – ხომერიკი და სიბაშვილი 7-9 ნოემბერს მარიბორში (სლოვენია) მსოფლიოს პირველობაზე გამოვლენ, ხოლო ვერცხლის პრიზიორები – დახუნდარიძე და თუთისანი 16-28 აგვისტოს პრაღაში (ჩეხეთი) ევროპელ თანატოლებს დაუპირისპირდებიან.

**ვაჟა დანელია**


გიორგი სიბაშვილი და ნინო ხომერიკი

# მარცხი მესამე ტურში

ჩინეთში 10 დიდოსტატი ქალის მონაწილეობით გრძელდება წრიული საერთაშორისო ტურნირი. გუშინ მესამე ტურის პარტიები გათამაშდა. **ბელა ხოტენაშვილი** შავი ფიგურებით ასპარეზობის ერთ-ერთ ფავორიტ ჟაო სიუსთან დამარცხდა. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ჰუან ქიანი-შენ იანი 0.5:0.5, მარია მუზიჩუკი-ცზიუ ვენძიუნი 0.5:0.5, გუ სიაობინი-ჟან სიაოვენი 0:1, დინ ისინი-თან ჟონი 1:0.

სამი ტურის შემდეგ: ვენძიუნი, ისინი – 2.5-2.5, ჟაო სიუ - 2, მუზიჩუკი, ხოტენაშვილი, სიაოვენი – 1.5-1.5, ქიანი, შენ იანი, ჟონი – 1-1, სიაობინი 0.5 ქულა.

დღეს მეოთხე ტურში ითამაშებენ: შენ იანი-თან ჟონი, ჟან სიაოვენი-დინ ისინი, ხოტენაშვილი-სიაობინი, ვენძიუნი-ჟაო სიუ, ქიანი-მუზიჩუკი.

**ვაჟა დანელია**

ბატუტი

# ოდიშვილი პირადშიც ფინალშია

რუსულ სანკტ-პეტერბურგში გრძელდება ბატუტზე მხტომელთა ევროპის ჩემპიონატი. გუშინ სარბიელზე ახალგაზრდები გავიდნენ ინდივიდუალურ ხტომებში. ქართველთაგან ოთხმა სპორტსმენმა იასპარეზა. განსაკუთრებით იყოჩალა 13 წლის **ანა ოდიშვილმა,** რომელიც 12-წლიანებში მსოფლიოს ჩემპიონია. საკვალიფიკაციო ეტაპზე მან 92.240 ქულით მესამე ადგილი დაიკავა და 14 აპრილს ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა. მას უკრაინელმა ალინა ტკაჩოვამ (93.200) და ბელარუსმა ლიზავეტა კაზლოვამ (92.325) გაუსწრეს. **ნანა გოგაშვილმა** (87.795) 26-ე ადგილი დაიკავა, 69.405 ქულით 43-ე იყო **თეონა ჯანჯღავა,** ხოლო ვაჟებში **ზურაბ ნოზაძე** (58.740) 44-ე ადგილით დაკმაყოფილდა.

დღეს შეჯიბრებაში ჩაებმებიან პეკინის ოლიმპიადის მეექვსეადგილოსანი, ლონდონის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიატი **ლუბა გოლოვინა, თამარ კაკაშვილი** და **თენგიზ კოშკაძე.**

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ქართველი NBA-ში

# ფაჩულიას კლასიკური საღამო

## 13 ქართული ოვერდრამაში

ერთ-ერთ ამერიკულ გაზეთში "ბოსტონი"-"ატლანტას" მატჩის მიმოხილვაში თითოეული კალათბურთელია დასახელებული. აი, რა წერია **ზაზა ფაჩულიაზე**:

"ეს იყო ქართველი ცენტრის კლასიკური საღამო: რამდენიმე კარგი მოხსნა, კალათში ბურთის ჩაბრუნება და რაც მთავარია, დომინირება ფარქვეშ. შეხვედრის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მომენტი ფაჩულიას მონაწილეობით ვიხილეთ: **ჯოშ სმიტმა კევინ გარნეტი** ჩამოიშორა და ბურთი ზურგს უკან მყოფ ზაზას გადასცა, რომელმაც ცალი ხელით ჩატენვა არ დააყოვნა. ამჯერად ფაჩულია-გარნეტის დუელმა მშვიდობიანად ჩაიარა, თუმცა ერთ ეპიზოდში ერთმანეთს ხელები მაინც აუქნიეს."


III პერიოდის დასრულებამდე 3:14 წუთით ადრე ზაზამ რონდოს ასე აართვა ბურთი

### რატომ კლასიკური?

ამერიკელი ჟურნალისტი ფაჩულიას თამაშს კლასიკურს კი უწოდებს, მაგრამ არ აკონკრეტებს, რატომ. ვისაც მატჩის ხილვის საშუალება ჰქონდა, პასუხის გაცემაც არ გაუჭირდება: ზაზამ ამჯერადაც კარგად გადაკეტა "ატლანტას" ფარის მისადგომები, ამიტომ "ბოსტონის" მწვრთნელს კონტრტაქტიკის შემუშავება დასჭირდა - მეფარეები სამნამიანი ზონიდან გადიოდნენ და ძირითადად საშუალო დისტანციიდან სტყორცნიდნენ. თავად განსაჯეთ, კევინ გარნეტმა 22-დან მხოლოდ 6 ქულა მოაგროვა ფარქვეშიდან სროლებით (ბოლო წუთებზე ერთხელ კარგად დაუსხლტა ფაჩულიას და ჯარიმაც მიალებინა), ხოლო ცენტრ **გრეგ სტიემსმამ** (სექტემბერში "სოხუმში" ირიცხებოდა) ექვსივე ქულა საშუალო ტყორცნებით მოაგროვა. ასეთი მანძილიდან სროლის შედეგად ბურთი თუ კალათში არ ვარდება, ფარიდან ასხლეტის შემდეგ ძირითადად სამნამიანი ზონის გარეთ ეშვება. გარკვეულწილად ესეც იყო მიზეზი, რომ ფაჩულიამ 39 წუთში მხოლოდ 7-ჯერ მოხსნა. სამაგიეროდ, სამნამიანის გარეთ კარგად იყვნენ ჩასაფრებულები ბოსტონის კალათბურთელები და ამ მოხსნებში სტუმრებს დიდი სხვაობითაც აჯობეს: 56:39.

### ცამეტი

დაცვიდან შეტევაზე გადავიდეთ. გავეცნოთ "ბოსტონ სელტიქსის" მთავარი მწვრთნელის, **დოკ რივერსის** კომენტარს:

- გამარჯვება სასიამოვნოა, მაგრამ ეს ის მატჩი იყო, რომელშიც ძალიან ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ მოვიგეთ.

მართლაც, განსაკუთრებით მეორე პერიოდში ბოსტონელები ბავშვურ შეცდომებს უშვებდნენ. ამით "ატლანტას" კალათბურთელებს სათანადოდ რომ ესარგებლათ, დიდ შესვენებაზე მინიმუმ 15 ქულიანი უპირატესობით გავიდოდნენ და საბოლოოდ გაიმარჯვებდნენ კიდეც...

ასეა თუ ისე, ჯორჯიელებმა მესამე მეოთხედში 9-ქულიან უპირატესობას მაინც მიაღწიეს. ამის შემდეგ მწვრთნელმა **ლარი დრიუმ** სასტარტოების დასვენება გადაწყვიტა (აუცილებელიც იყო) და შეტევაც მოიშალა - "ბოსტონმა" 10:0 გაქცევა მოაწყო და 73:68 დაწინაურდა.

მოედანზე დაბრუნებულმა ზაზამ, **ჯონსონმა**, სმიტმა და **ტიგმა** მდგომარეობა გამოასწორეს და ბოლო წამებზე საჯარიმოები უკეთესად რომ ესროლათ, მოიგებდნენ კიდეც. თუმცა გათანაბრებაზე მოუწიათ ზრუნვამ - სირენამდე 46 წამით ადრე ჯო ჯონსონმა ჩვეულად ისროლა, 84:84 და ოვერტაიმი...

დამატებით დროში "სელტიქსის" კალათბურთელებმა დაცვაში თამაში საბოლოოდ გამოასწორეს და 88:86 გაიმარჯვეს.

### ზაზა: +15, გარნეტი: 0

საინტერესოა, რომ ზაზამ "იუტასთან" 25 მარტს გამართული მატჩის შემდეგ (4 ოვერტაიმი, 15 ქულა, 20 მოხსნა) ყველაზე მეტი სწორედ გუშინ ჩააგდო - 13 ქულა. ოქმში ცალკე გრაფაში იწერება რიცხვი, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ მოთამაშის მიერ მოედანზე გატარებულ დროში, რამდენი ქულით დაწინაურდა, ან ჩამორჩა მისი გუნდი. საოცარია, მაგრამ ორივე გუნდში ამ მაჩვენებლით ყველას ფაჩულია სჯობდა: +15. გარნეტს ზემოთ ნახსენებ გრაფაში 0 ეწერა. **რეჟონ რონდომ** სამმაგი დუბლი მიითვალა: 10 ქულა, 10 მოხსნა, 20 პასი. თუმცა, მატჩის საუკეთესო კალათბურთელად მაინც კევინ გარნეტი დასახელდა - 22 ქულა, 12 მოხსნა.

"ატლანტა" მორიგ მატჩს 13 აპრილს ორლანდოში "მეჯიქის" წინააღმდეგ ჩაატარებს.

| ბოსტონი-ატლანტა | | 88:86 |
|---|---|---|
| **ზაზა ფაჩულია:** 39 წუთი, 13 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 3 ფოლი. | | |
| | **I პერიოდი** | |
| 10:32 | ორქულიანი: არაზუსტი | 2-2 |
| 9:14 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 | 6-4 |
| 7:20 | პასი: 1 (ტიგი 2ქ) | 15-8 |
| 6:01 | საჯარიმოები: 2/0 | 17-12 |
| 3:45 | ორქულიანი: 2ქ | 23-16 |
| 3:27 | ფოლი: 1 | 23-16 |
| 3:27 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა | 23-16 |
| | **II პერიოდი** | |
| 6:56 | ზაზამ ი. ჯონსონი შეცვალა | 34-34 |
| 6:43 | საჯარიმო: 1/0 | 36-35 |
| 4:52 | ორქულიანი: 4ქ | 41-37 |
| 1:05 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 | 45-40 |
| | **III პერიოდი** | |
| 11:00 | ორქულიანი: არაზუსტი | 48-43 |
| 9:59 | ორქულიანი: 6ქ | 53-46 |
| 9:40 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 | 53-46 |
| 9:15 | ფოლი: 2 | 53-49 |
| 7:46 | ორქულიანი: 8ქ | 55-51 |
| 6:01 | ორქულიანი: არაზუსტი | 60-53 |
| 4:39 | პასი: 2 (ჯონსონი 2ქ) | 62-57 |
| 3:25 | საჯარიმოები: 2/2 (10ქ) | 64-59 |
| 3:14 | ჩაჭრა: 1 (რონდოს აართვა) | 64-59 |
| 2:28 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა | 66-61 |
| | **IV პერიოდი** | |
| 9:33 | ზაზამ პარგო შეცვალა | 68-72 |
| 6:00 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 | 74-73 |
| 5:56 | ორქულიანი: 12ქ | 76-73 |
| 4:33 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 | 76-77 |
| 4:03 | ფოლი: 3 | 76-79 |
| 2:33 | მოხსნა: შეტ-1, დაც-5 | 80-80 |
| 1:14 | საჯარიმოები: 2/1 (13ქ) | 82-82 |
| 0:05 | პარგომ ზაზა შეცვალა | 84-84 |
| | **ოვერტაიმი** | |
| 1:05 | მოხსნა: შეტ-2, დაც-5 | 86-88 |

● სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე

# შერმადინი ისევ მაქაბიში?!

## ქართველი ცენტრის გადაბირება დევიდ ბლატს სურს


შერმადინი მაქაბის წინააღმდეგ

საქართველოს ნაკრებისა და იტალიური "კანტუს" 23 წლის ცენტრი **გიორგი შერმადინი** შესაძლოა, მომავალ სეზონში "მაქაბიში" ვიხილოთ. შეგახსენებთ, რომ მან კარიერა თბილისის "მაქაბიში" დაიწყო, 2008 წელს ბერძნულ "პანათინაიკოსში" გადავიდა, 2010-11 წლებში სლოვენიის "ოლიმპიაში" ასპარეზობდა, ხოლო მიმდინარე სეზონში "კანტუს" წინა ხაზის ლიდერია.

სწორედ იტალიურ გუნდში შედეგიანი თამაშით მიიპყრო გიორგიმ "მაქაბის" მწვრთნელის, **დევიდ ბლატის** ყურადღება. დიახ, მისი გადაყვანით სწორედ ისრაელის ჩემპიონის მწვრთნელია დაინტერესებული. ამის შესახებ ლიტვური გამოცემა "კრეპშინისი" წერს. იქვე განმარტებულია, რომ ტრანსფერი მიმდინარე სეზონის ბოლომდე ვერ განხორციელდება, მაქაბელები ეცდებიან, 216 სმ სიმაღლის ქართველი მეფარე მომავალი სეზონისთვის შეითანხმონ.

ცხადია, გიორგიმ და მისმა აგენტმა კარგად იციან, რომელ კლუბში უკეთესია კარიერის გაგრძელება, მაგრამ დევიდ ბლატის ფილოსოფიიდან და "მაქაბის" სათამაშო სტილიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კარიერის ისრაელში გაგრძელება შერმადინისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი უნდა იყოს.

სხვათა შორის, ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას რუსეთის ნაკრების თავკაცმა დევიდ ბლატმა ჩვენთან საუბარში სხვა კალათბურთელების გვერდით გიორგი შერმადინიც დადებითად დაახასიათა. მწვრთნელს ნატახტარელ ახალგაზრდაზე წარმოდგენა 2010-11 წლების სეზონში ევროლიგის მატჩებიდან შეექმნა: "ოლიმპიას" მაისურით შერმადინმა "მაქაბის" ჯერ 13 ქულა ჩაუგდო, შემდეგ - 15. გავიდა ერთი წელი და გიორგი მაქაბელებს ევროლიგაზე ორრაუნდიან ბრძოლაში კიდევ ერთხელ დაუპირისპირდა: ამჯერადაც 13 და 15 ქულა.

სადღეისოდ გიორგი ვერ ვარჯიშობს, ფეხის ნეკის ძვალი აქვს გაბზარული და ოპერაცია გაიკეთა. თუ რეაბილიტაციის პროცესი გეგმაზომიერად წარიმართა, შერმადინმა მაისის შუაში დაგეგმილ იტალიის ჩემპიონატის პლეი ოფში უნდა ითამაშოს.

*- ექიმებმა მითხრეს, სრული რეაბილიტაციის გარანტია რომ გვქონდეს, ქირურგიული ჩარევაა საჭირო. წყნარად რომ ვყოფილიყავი და მომავალზე არ მენერვიულა, ოპერაციის გაკეთება გადავწყვიტე. შესაძლებელია, აღდგენის პროცესი სწრაფი ტემპით წავიდეს, ან გაიწელოს. დაახლოებით 2 კვირაში ექიმები ხელახალ შემოწმებას ჩამიტარებენ და მაშინ, ალბათ მეცოდინება მოედანზე დაბრუნების დაახლოებითი თარიღი, - ამბობს შერმადინი.*

● ლეგიონი



# მანუმ ათიანში მოარტყა და მონტეპასკი ჩამოაგდო

**გიორგი შერმადინის** გარეშე მოთამაშე "კანტუმ" იტალიის ჩემპიონატის ფავორიტი "მონტეპასკი" ოვერტაიმში 95:94 დაამარცხა. გადამწყვეტი 2 საჯარიმო **ანდრეა ჩინჩარინიმ** შეასრულა ზუსტად, რომელიც დამატებით დროში **მანუჩარ მარკოიშვილის** ნაცვლად შევიდა. სხვათა შორის, ანდრეამ მატჩი 2 ქულით დაასრულა.

მანუჩარსაც აღუნიშნავს, რომ "კანტუ" ერთ კალათბურთელზე არ არის დამოკიდებული. სიენელთა ძლევაშიც ყველას თანაბარი წვლილი მიუძღვის, მაგრამ მაინც სასიამოვნოა, რომ ქართველი უკანახაზელი გადამწყვეტ მომენტში მოედანზე იყო და სავარაუდოდ ოვერტაიმსაც ჩაამთავრებდა, მეხუთე ჯარიმა რომ არ მიეღო. მარკოიშვილმა 29 წუთში 10 ქულა, 4 მოხსნა და 2 პასი მოაგროვა. მეტოქეებს კი წესები რვაჯერ დაარღვევინა.

კანტუელთა მხრიდან ყველაზე მეტი გამოცდილმა **ჯანლუკა ბაზილემ** მოაგროვა - 20 ქულა (8-დან 4 სამქულიანი).

ამ გამარჯვებით მარკოიშვილის თანაგუნდელები მოგებების რაოდენობით პირველადგილოსან "მონტეპასკის" გაუთანაბრდნენ (18-18), თუმცა მასზე ერთით მეტი შეხვედრა აქვთ ჩატარებული.

■ ■ ■

გადავინაცვლოთ ბელგიაში, სადაც რეგულარული ეტაპის პირველ ადგილზე დასრულებისთვის **თორნიკე შენგელიას** "შარლერუას" მდევარი "ანტვერპენის" ძლევა ჰაერივით სჭირდებოდა. ამისთვის კარგი შანსი გუშინ მიეცა - ანტვერპენელებს საკუთარ მოედანზე ეთამაშა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩი "შარლერუას" მცირე უპირატესობით წარიმართა და მისივე გამარჯვებით დასრულდა - 70:61.

შენგელიას სათამაშოდ 10 წუთი ერგო. დროის ამ მონაკვეთში მან 4-დან 1 ორქულიანი, 1-დან 1 საჯარიმო ჩააგდო და 3 ქულას 4 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა მიამატა.

გვერდი მოამზადა
ვაჟა **სიმონიშვილმა**



● გაზაფხულის ტურნირი

# ლელოს ოთხი ლელო, აკადემიის ერთის წილ



ბურთით ბაჩო კოლელიშვილი

**ლელო-აკადემია 28:11**

ლელო (15-9) გუგავა (ბარკალია 38), ხუციშვილი, კოპაძე, ანდღულაძე, ხეცოიძე, გეგენავა, კაჭარავა. (1-8) გოგიშვილი (სანიკიძე 48), ხიდეშელი (ორაგველაძე 63), სუჯაშვილი, აზალაძე, ქოიავა (ჭეიშვილი 68), სურგულაძე, კოლელიშვილი (ჭყოიძე 30), ნიკოლაიშვილი.

4ლ: გუგავა, ჭყოიძე, კოპაძე, ანდღულაძე. 2ს: გუგავა, გეგენავა. გ: გუგავა.

სინბინი: აზალაძე.

აკადემია (15-9) ი. დავითაშვილი, მარგიანი, ნაქაძე (მაკაროვი 63), მოლოდინაშვილი, ჭუაძე, აბდუშელიშვილი (ცაგარეიშვილი 63), ლამბაშიძე (შ. დავითაშვილი 49). (1-8) ზაქაშვილი, მალლაკელიძე, ლამბაშიძე, გაფრინდაშვილი, ლომიძე, გოგოლაძე (ჩაჩუა 63), ჩხიკვაძე, გაჩეჩილაძე (ლუარსაბიშვილი 63).

ლ: ი. დავითაშვილი. ს: აბდუშელიშვილი. ა: ი.დავითაშვილი

სინბინი: ლომიძე

მსაჯი: ნოდარ რობიტაშვილი

გაზაფხულის ტურნირის პირველი წრის გადატანილ შეხვედრაში თბილისის "ლელო" "შევარდენის სანაკრებო ბაზის" სათადარიგო, ხელოვნურსაფარიან მოედანზე თბილისის "აკადემიას" დაუპირისპირდა და 28:11 დაამარცხა.

თამაში საკმაოდ საინტერესო, უშელავათო ბრძოლაში წარიმართა. გუნდები ზედმიწევნით ცდილობდნენ მწვრთნელების დავალების შესრულებას. მორკინალების გარჯას, უკანახაზელების ხელდახელ ბურთაობა ცვლიდა. ტექნიკური წუნი თუმცა საკმაოდ იყო, მოედანზე მაინც კარგი სანახაობა შედგა.

"აკადემია", მიუხედავად იმისა, რომ სეზონის დაწყების წინ რამდენიმე ნამყვანმა მოთამაშემ დატოვა, კარგად შეთამაშებული, ახალგაზრდა მორაგბეებით გაძლიერებული გუნდი გამოდგა. განსაკუთრებით ქების ღირსია გუნდის დაცვაში თამაში. თუმცა, ცხადია, აქაც ყველაფერი იდეალურად არ არის და მწვრთნელს **პაატა ნარიმანაშვილს** სამუშაო ბევრი აქვს. ერთი სიტყვით, "აკადემიას" პოტენციალი ნამდვილად გააჩნია და, ვფიქრობთ, საქართველოს ჩემპიონატში, რომელიც სექტემბერში დაიწყება, ნებისმიერი გუნდისთვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნება.

"აკადემიასგან" განსხვავებით, სეზონის წინ "ლელოს" დანაკარგი თითქმის არ განუცდია. მეტიც, რამდენიმე საინტერესო მოთამაშე დაიმატა, მაგრამ აკადემიელებთან დაპირისპირებისას ტრავმების გამო რამდენიმე ლიდერი აკლდათ, განსაკუთრებით კი უკანა ხაზში. საქართველოს ნაკრების წევრები **ლაშა ხმალაძე, ირაკლი ყიასაშვილი** და **სანდრო თოდუა** თამაშს ტრიბუნებიდან უცქერდნენ.

მატჩის მსვლელობისას კი კიდევ ერთი უკანახაზელი, **ლექსო გუგავა** დაშავდა, რომელიც სანამ მოედანზე ირჯებოდა, ერთ-ერთი საუკეთესო იყო. პირველ ტაიმში "ლელომ" ათი ქულა დააგროვა და ათივე მის ანგარიშზეა.

უნდა აღინიშნოს, რომ თამაში "აკადემიამ" მეტოქეზე ბევრად აქტიურად დაიწყო და პირველი ექვსი წუთი მოედნის მის ნახევარზე გაატარა. მე-3 წუთზე აკადემიელებს ანგარიშის გახსნაც შეეძლოთ, მაგრამ მგეზავმა **გიორგი აბდუშელიშვილმა** საჯარიმო 45 მეტრიდან ვერ გაიტანა.

მომდევნო ექვსი წუთი უკვე "ლელოსი" იყო და მე-12 წუთზე ფულბეკის პოზიციაზე მოთამაშე გუგავამ შანსი ხელიდან არ გაუშვა. მან საჯარიმოთი გახსნა ანგარიში - 3:0. "აკადემიას" შვიდი წუთი დასჭირდა, რათა ანგარიში გაეთანაბრებინა. ერთ-ერთი მწვავე შეტევისას აკადემიელებმა ჯარიმის უპირატესობა მიიღეს, თუმცა სანამ ბურთი უქმი გახდებოდა, ფულბეკმა **ივანე დავითაშვილმა** 30 მეტრიდან არეკნით გაიტანა - 3:3.



თამაშს თვალს მილტონ ჰეიგი შვილებთან ერთად ადევნებდა

ამის შემდეგ ინიციატივა ნელ-ნელა მთლიანად "ლელომ" იგდო ხელთ. სალელოვე შეტევა ლელოელებმა 35-ე წუთზე, მეტოქის 22-მეტრიან ზონაში დანიშნული შერკინებიდან წამოიწყეს. იქიდან გამოტანილი ბურთი ცხრა ნომერმა **გიორგი კაჭარავამ**, მგეზავად მოთამაშე **ირაკლი გეგენავასთან** გაითამაშა და მერე, მარცხნივ, გრძელ ფრთაზე შეტევაში გუგავა ჩართო, რომელიც მეტოქის ორ მცველს გაუსხლტა ხელიდან და ჩათვლის მოედანში შეაღწია, გარდასახვაც თვითონვე გაიტანა - 10:3. სამ წუთში გუგავა დაშავდა და მოედანი დატოვა. პირველ ნახევარში არაფერი შეცვლილა.

შესვენების შემდეგ ისევ "აკადემიამ" შეუტია უფრო აქტიურად და 43-ე წუთზე საჯარიმოს გამორჩა, რომელიც აბდუშელიშვილმა გაიტანა - 6:10. ამაზე "ლელომ" სამ წუთში მეორე ლელოთი უპასუხა. შერკინება "აკადემიის" ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში დაინიშნა. პირველი დარტყმა შეცვლაზე შესულმა **გიორგი ჭყოიძემ** განახორციელა, მას კიდევ ორი მიძალება მოჰყვა და ბოლოს ისევ ჭყოიძემ იყოჩაღა. გარდასახვა გეგენავამ ვერ გაიტანა - 15:6, თუმცა 11 წუთში საჯარიმოს გატანა შეძლო და "ლელო" 12 ქულით დააწინაურა - 18:6.

"აკადემია" მდგომარეობის გამოსწორებას შეეცადა, თუმცა 64-ე წუთზე, შეიძლება ითქვას, რომ საბედისწერო შეცდომა დაუშვა. აკადემიელებმა საკუთარ 22-მეტრიან ზონაში საკუთარი დერეფანი წააგეს. ლელოელთა მორკინალებმა რამდენიმე მოკლე დარტყმა განახორციელეს და მეტოქეს წესის დარღვევა აიძულეს. კაჭარავამ საჯარიმო სწრაფად გაათამაშა, რამდენიმე მეტრი გაიარა და ბურთი იქვე მიმყოლ შუამარბ **დაჩი კოპაძეს** აუგდო, რომელსაც ლელოს გატანა არ გასჭირვებია, გეგენავამ ისევ ვერ გარდასახა - 23:6.

მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში სხვაობა საკმაოდ სოლიდური გახდა, "აკადემიას" ფარ-ხმალი არ დაუყრია. ნარიმანაშვილმა რამდენიმე ცვლილება განახორციელა. ახალგაზრდა აკადემიელებმა თამაში საგრძნობლად გამოაცოცხლეს. 74-ე წუთზე კი ლელოც გაიტანეს. მეტოქის 22-მეტრიანი ზონის ხაზთან მათ საკუთარი აუტი მოიგეს, მორკინალების მოკლე დარტყმებით ჩათვლის მოედანს ზედ კარის წინ მიუახლოვდნენ, თუმცა მერე ბურთი მარჯვნივ, გრძელ ფრთაზე გაიტანეს, რომელიც "ლელოს" დაუცველი დარჩა და ფულბეკმა ივანე დავითაშვილმა ჩათვლის მოედანში შეაღწია, გარდასახვა თვითონვე დაარტყა, მაგრამ ვერ გაიტანა - 11:23.

ყველაფერი ამით არ დასრულებულა. "ლელომ" მორიგი შედეგიანი იერიში თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე მოედნის ცენტრიდან წამოიწყო. კაჭარავამ და გეგენავამ ურთიერთშეთანხმებული მანევრით "აკადემიას" დაცვის ხაზი გაიარეს, მერე მარცხენა ფრთაზე შეტევაში მესამეხაზელი გიორგი ჭყოიძე ჩაერთო, რომელმაც თხუთმეტიოდე მეტრი გაიარა და ბურთი იქვე მიმყოლ შუამარბ **ნონო ანდღულაძეს** გაატანა. გეგენავამ ვერ გარდასახა - 28:11.

**A ჯგუფი**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლელო - 9 ქულა, 2. არმია - 9, 3. აკადემია - 4, 4. არმაზი - 4, 5. ბათუმი XV - 2, 6. ბაგრატი - 0.

**III ტური. 21 აპრილი**

ბათუმი XV-ლელო, აკადემია-არმია, ბაგრატი-არმაზი

**B ჯგუფი**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. აია - 10 ქულა, 2. ლოომოტივი - 10, 3. ჯიქები - 5, 4. ხარები - 4, 5. ყოჩები - 0, 6. თიბისი - 0.

**III ტური. 22 აპრილი**

ჯიქები-ლოკომოტივი, აია-ყოჩები, თიბისი-ხარები

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

● შვიდკაცა რაგბი



# ევროპული ზაფხულისთვის სამზადისი იწყება

საქართველოს შვიდკაცა რაგბის ქალთა ნაკრებმა, რომელმაც ივნისის დასაწყისში, 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში უნდა ითამაშოს, უკრაინაში საწვრთნელი მატჩები გამართა უკრაინისა და მოლდოვას ნაკრებებთან. ეს გუნდები ევროპის ელიტაში შედიან და წლეულს კონტინენტის ჩემპიონატზე იასპარეზებენ. ცხადია, ასეთ მეტოქეებთან სპარინგი ჩვენი ნაკრებისთვის კარგი გამოცდილებაა, მით უფრო, რომ ერთ-ერთი მათგანი, მოლდოვას ნაკრები დავამარცხეთ კიდეც.

საქართველოს ქალთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში 9 ივნისიდან ჩაერთვება. ჩვენი გუნდი A ჯგუფში ნორვეგიის, ფინეთის, მალტისა და სერბეთის ნაკრებებს დაუპირისპირდება. B ჯგუფში კი ჩეხეთი, ბელგია, პოლონეთი, ისრაელი და შოტლანდია იასპარეზებენ.

ივნისში ასევე სტარტს აიღებს ვაჟთა შორის შვიდკაცა რაგბის ტურნირი ევროპის გრან-პრი, რომელიც სამ ეტაპად ჩატარდება. "შვიდკაცა ბორჯღალოსნები" ლიონში, მოსკოვსა და ოდენსეში ითამაშებენ.

პირველი ეტაპი ლიონში 2-3 ივნისს გაიმართება. ჩვენი გუნდი B ჯგუფში ესპანეთის, ინგლისის, შოტლანდიის, უკრაინისა და ჰოლანდიის ნაკრებებთან ერთად იასპარეზებს. არანაკლებ ძლიერი შემადგენლობაა თავმოყრილი A ჯგუფში. ესენია: პორტუგალია, რუსეთი, საფრანგეთი, იტალია, უელსი და გერმანია.

**ევროპის გრან პრი**

**2-3 ივნისი**

**A ჯგუფი:** პორტუგალია, რუსეთი, საფრანგეთი, იტალია, უელსი, გერმანია.

**B ჯგუფი:** საქართველო, ესპანეთი, ინგლისი, შოტლანდია, უკრაინა, ჰოლანდია.

**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი**

**9-10 ივნისი**

**A ჯგუფი:** საქართველო, ნორვეგია, ფინეთი, მალტა, სერბეთი.

**B ჯგუფი:** ჩეხეთი, ბელგია, პოლონეთი, ისრაელი, შოტლანდია.

● ტრანსფერები

# ელიტაში ქართველებზე ისევ მოთხოვნაა

საფრანგეთში სარაგბო ჩემპიონატი ჯერ არ დამთავრებულა, თუმცა სატრანსფერო ციებ-ცხელება უკვე გახურებულია. ელიტურ, პირველ დივიზიონში ქართველების ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლა უცხო ხილი დიდი ხანია აღარ არის. **ვასილ კაკოვინის** "ბრივიდან" ფრანგული რაგბის გრანდ "ტულუზში" გადაბარგების შესახებ უკვე ვწერდით. ამავე გუნდთან გააფორმა ორწლიანი ხელშეკრულება **ჯაბა ბრეგვაძემ**. "აჟენმა" ტრანსფერზე დააყენა შერკინების პირველხაზელი **ბექა შეყლაშვილი**. მისი მომავალი გუნდის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

ბრიტანეთში ფანჯარა გაჭრა საქართველოს ნაკრების მესამეხაზელმა **დიმიტრი ბასილაიამ**. მისი მომავალი გუნდი წლევანდელი "ჰეინეკენის თასის" გათამაშების ნახევარფინალისტი შოტლანდიის "ედინბურგია".

ახლახან ცნობილი გახდა, რომ ქუთაისის "აიას" შერკინების ახალგაზრდა ბურჯი, საქართველოს ნაკრების გარემარბის **ირაკლი ჩხიკვაძის** ძმა **ტარიელ ჩხიკვაძე** ელიტური, პირველი დივიზიონის "კასტრთან" გააფორმებს ხელშეკრულებას. ამ გუნდში წლების განმავლობაში თამაშობდა შერკინების კვაჭი **აქვსენტი გიორგაძე**. ამჟამად კი კასტრელთა ღირსებას კიდევ ერთი შერკინების ბურჯი **ანტონ ფეიქრიშვილი** იცავს.

საფრანგეთის ჩემპიონატის ელიტური, მეორე დივიზიონის "ალბიში" ორი ქართველი ჩაირიცხება. უკვე გადაწყვეტილია, რომ **ანრი ბრონკანის** დამოძღვრილ გუნდში, რომელიც 2007 წლის მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების კონსულტანტი იყო, "ლელოს" გარემარბი **ალექსანდრე თოდუა** და საქართველოს ნაკრების მეორეხაზელი **ვახტანგ მაისურაძე** ითამაშებენ. ეს უკანასკნელი საფრანგეთის ფედერალ 1 დივიზიონის "ლე სეინში" ირიცხება და ამჟამად ტრავმირებულია.

**მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** "მონპელიეში" ჩაირიცხა თბილისის "აკადემიის" მეორეხაზელი **ლაშა ლომიძე**, რომელიც საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრია. ლაშამ "უმცროსი ბორჯღალოსნების" შემადგენლობაში ივნისში სოლტ ლეიკ სიტიში გასამართ მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფის გათამაშებაში უნდა იასპარეზოს. ამის შემდეგ, კი გეზს მონპელიესკენ აიღებს.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი



მეტა უორლდ პისი

# მოგება კობის გარეშე

"სან ანტონიოს" წაგება "ლეიკერსთან", წესით, დიდად გასაკვირი არ უნდა იყოს, მაგრამ ამჯერად ამ შედეგს შეიძლება დიდი მოულოდნელობა ვუწოდოთ. "იუტასთან" ბოლო მატჩში **გრეგ პოპოვიჩმა** დასვენების საშუალება მისცა თავის ლიდერებს – **დანკანს, პარკერსა** და **ჯინობილის** – გამოცდილი მწვრთნელი სპეციალურად უმიზნებდა "ლეიკერსთან" დაპირისპირებას. რეგულარულის დარჩენილ ნაწილში ამ გუნდებს სამჯერ მოუწევთ შეხვედრა და მათი პირველი დუელი "სპურსისთვის" მეტად პერსპექტიულად მოჩანდა – პოპოვიჩის შეგირდები შინ თამაშობდნენ, ლიდერები დასვენებული ჰყავდათ და თან მეტოქე ტრავმირებული **ბრაიანტის** გარეშე თამაშობდა.

მაგრამ ტექსასელებმა მაინც წააგეს, თანაც ყოვლად დაუჯერებელი სცენარით. ბრაიანტის არყოფნაში **მაიკ ბრაუნს** ერთადერთი კოზირი აქვს – მაღლების დუეტი: **გასოლი-ბინუმი**. და ერთ-ერთმა უბრალოდ გაანადგურა მეტოქის დაცვა. ენდრიუმ 30 მოხსნა მიითვალა – მხოლოდ სამი ნაკლები, ვიდრე ერთად აღებულმა "სან ანტონიოს" ყველა კალათბურთელმა! გასოლმა კიდევ 11 დაამატა, სულ კი მოხსნებში შეფარდება კატასტროფული იყო იმ გუნდისთვის, რომელსაც ჰყავს დანკანი, **ბლერი, სპლიტერი** და **დიაო**: 33-60. ბინუმმა 2011-12 წლების სეზონის რეკორდი დაამყარა ერთ მატჩში მოხსნების რაოდენობით – მან ხუთი მოხსნით აჯობა **ჰოვარდსა** და **ილიასოვას**. ბოლო 12 წლის განმავლობაში მხოლოდ ორმა მოთამაშემ შეძლო მატჩში მინიმუმ 30 მოხსნის დაგროვება (2010 წელს ეს **კევინ ლავმა** გააკეთა), ნახსენები დუეტის გარდა, შესანიშნავად ითამაშა **მეტა უორლდ პისმა**, რომელმაც 26 ქულით სეზონში შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა.

■ ■ ■

საინტერესო მატჩი გაიმართა ოკლაჰომაში - დასავლეთი კონფერენციის ლიდერი "თანდერი" "ლოს ანჯელეს კლიპერსს" მასპინძლობდა.

მთელი მატჩის განმალობაში ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება. პირველი სამი მეოთხედის განმავლობაში მასპინძლების ოდნავი ინიციატივა შეინიშნებოდა და დიდი შესვენებისთვის "თანდერმა" 7-ქულიან უპირატესობას მიაღწია.

მეორე ტაიმში ინციატივა "კლიპერსის" მხარეს გადავიდა, მაგრამ შორს წასვლა ვერც კალიფორნიელებმა შეძლეს და მატჩის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა.

"ოკლაჰომას" პრობლემები მისი ლიდერების სუსტი თამაშით იყო განპირობებული: **დურანტმა** და **უესტბრუკმა** თამაშიდან ძალიან ცუდად ისროლეს. დურანტმა 21-დან მხოლოდ 7 ბურთი ჩააგდო, უესტბრუკმა კი 14-დან სამი ბურთი მოათავსა კალათში.

სამაგიეროდ, ბრწყინვალე იყო ამ მატჩში "კლიპერსის" გამთამაშებელი **კრის პოლი**. მან 31 ქულა დააგროვა და რაც მთავარია, 98:98-ზე სირენამდე 8 წამით ადრე გამარჯვების მომტანი ტყორცნა შეასრულა.

წაგების მიუხედავად, "ოკლაჰომამ" შეინარჩუნა ლიდერობა დასავლეთში, რადგან მისი კონკურენტი "სან ანტონიოც" დამარცხდა. რაც შეეხება "კლიპერსს", მან ამ მოგებით მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა, რაც პლეი ოფის პირველ წრეში საკუთარი მოედნის უპირატესობას იძლევა.

**სან ანტონიო–ლეიკერსი 84:98**

**21:24, 22:24, 16:27, 25:23**

**ს-ა:** გრინი (22), დანკანი (14+3 დაფარება).

**ლ:** უორლდ პისი (26), გასოლი (21+11 მოხსნა), ბინუმი (16+30 მოხსნა), ბარნსი (13+6 მოხსნა), სეშენსი (10+5 პასი), ბლეიკი (10).

**ოკლაჰომა–კლიპერსი 98:100**

**24:21, 31:27, 25:28, 18:24**

**ო:** დურანტი (22+9 მოხსნა), უესტბრუკი (20+7 პასი), ჰარდენი (17+5 მოხსნა), იბაკა (12+7 მოხსნა+3 დაფარება).

**კ:** პოლი (31+6 მოხსნა), გრიფინი (16+12 მოხსნა+7 პასი), მარტინი (12), იანგი (10).

## დალასი კიდს ითხოვებს

როგორც ESPN.com იტყობინება, "დალასის" ხელმძღვანელობა ეძებს ვეტერან **ჯეისონ კიდთან** ახალი კონტრაქტის გაფორმების საშუალებას. და ეს მიუხედავად იმისა, რომ კლუბი აპირებს ზაფხულში ვარსკვლავური გამთამაშებლის – **დერონ უილიამსის** გადაბირებას.

კიდის სამწლიანი კონტრაქტის ვადა ამ ზაფხულს იწურება. ჟურნალისტების ინფორმაციით, "მავერიქსის" პლეიმეიკერს აშშ-ის ნაკრებში ერთობლივი გამოსვლისას კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა **დერონ უილიამსთან**.

## ოლდრიჯი ვერ ითამაშებს

"პორტლენდის" გენერალური მენეჯერის **ჩედ ბიუკენენის** სიტყვებით, გუნდის ლიდერმა **ლამარკუს ოლდრიჯმა**, შესაძლოა, გამოტოვოს სეზონის დასკვნითი ნაწილი, რაც ბარძაყის ტრავმით არის გამოწვეული.

ორი დღის წინ, კალათბურთელმა სამედიცინო შემოწმება გაიარა, რომელმაც გარკვეული სირთულეები აღმოაჩინა.

მიმდინარე სეზონში ოლდრიჯმა 55 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 21.7 ქულა, 8.0 მოხსნა და 2.4 შედეგიანი პასი დააგროვა.

# მელოს ვეღარ აჩერებენ

**კარმელო ენტონიმ**, ალბათ, საუკეთესო მატჩი ითამაშა სეზონში. როგორც ყოველთვის, ის ისროდა ნებისმიერი სიტუაციიდან ნებისმიერ მოსახერხებელ სიტუაციაში. მაგრამ სხვა მატჩებისგან განსხვავებით, ამჯერად ის ზუსტად 50-პროცენტიანი სიზუსტით ახვედრებდა კალათში (26-დან 13 და 32 ქულა).

უფრო მეტიც, სწორედ მელომ დაბლოკა სირენამდე 23 წამით ადრე **დანლივის** ტყორცნა. "მილუოკის" ჩამორჩენა იმ მომენტისთვის ერთი ქულა იყო. ენტონის დაფარებას მოჰყვა **ნოვაკის** ორი ზუსტი საჯარიმო. მას შეცდომის უფლება არ ჰქონია, რადგან მშობლიურ შტატში თამაშობდა და ტრიბუნებიდან მის თამაშს მშობლები ადევნებდნენ თვალს. ნოვაკის ორ ქულას ღირსეული პასუხი ვერ გასცა **ჯენინგსმა**, რომელმაც სამქულიანი ნაჩქარევად ესროლა და ბუნებრივია, მიზანს ვერ მიაღწია.

"მილუოკის" რიგებში საუკეთესო იყო **მონტა ელისი** – 35 ქულითა და 10 პასით მან პირველი ორმაგი დუბლი შეასრულა თავის ახალ კლუბში. მაგრამ ეს გამარჯვებისთვის არ აღმოჩნდა საკმარისი.

■ ■ ■

"მემფისმა" ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო. ამ გუნდმა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა "მაიამი", "დალასი" და "კლიპერსი" და გუშინ, პლეი ოფში მოსახვედრად მებრძოლ "ფინიქსსაც" გაუსწორდა. ეს წარმატება განაპირობა არა მხოლოდ **რუდი გეის** შედეგიანმა თამაშმა (32 ქულა), არამედ "მემფისის" ბრწყინვალე გუნდურმა მოქმედებამ, რითაც ეს გუნდი ბოლო თამაშებში გამოირჩევა. ამასთან, მასპინძლებს იოლი გამარჯვება არ ჰქონიათ. მეოთხე მეოთხედში "სანზი" თითქოს უიმედოდ აგებდა, მაგრამ 11:1 გაქცევა მოაწყო და წინ გავიდა! დაიწყო ქულა-ქულა თამაში. ყველაფერი კი მაშინ გადაწყდა, როცა 87:87-ზე "მემფისმა" 17:6 გაქცევა მოაწყო. ამაზე **სტივ ნეშსა** და მის თანაგუნდელებს პასუხი არ აღმოაჩნდათ.

■ ■ ■

კინალამ სენსაცია მოახდინა "კლივლენდმა". "სისხლისგან დაცლილმა" გუნდმა კინალამ "ინდიანა" დაამარცხა. სირენამდე ხუთი წუთით ადრე აუტსაიდერის უპირატესობა ექვს ქულას შეადგენდა. სწორედ აქ გამოჩნდა კლასში განსხვავება – იგრძნეს რა მოახლოებული კატასტროფა, **ფოგელის** შეგირდებმა 11:1 გაქცევა მოაწყვეს, ამასთან, შვიდი ქულა დააგროვა **ჯორჯ ჰილმა**. მაგრამ ამ უკანასკნელმა ბოლოსკენ არაზუსტად ისროლა საჯარიმოები, რითაც **ჰადსონმა** წარმატებული გარღვევით შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა. მაგრამ იქ "კავალიერზის" გმირობები დასრულდა. ოვერტაიმში მასპინძლებმა მხოლოდ 4 ქულა დააგროვეს, იმ დროს, როცა **გრეინჯერმა** და ჰილმა სამქულიანები ჩააგდეს. ორი დღის შემდეგ ეს გუნდები ისევ შეხვდებიან ერთმანეთს და იმ მატჩში, სავარაუდოდ, მონაწილეობას მიიღებს **ირვინგი**.

■ ■ ■

ცუდად დასრულდა "დენვერთან" მატჩი "მინესოტას" ლიდერ **კევინ ლავისთვის**, რომელმაც ტვინის მსუბუქი შერყევის გამო დატოვა მოედანი. თითქოს ამის შემდეგ "დენვერს" არ უნდა გაჭირვებოდა გამარჯვება.

სანამ ლავი მოედნიდან გავიდოდა, თანაბარი თამაში მიდიოდა, შემდეგ კი "ნაგეტსმა" 16:4 გაქცევა მოაწყო. "მგლების" ვარდნა გრძელდებოდა და მალე ჩამორჩენა 21 ქულა გახდა. და აქ სცენაზე გამოვიდა "მინესოტას" სამი "მაღალი": ჯერ **პეკოვიჩი** "აფეთქდა" სამი ზუსტი ტყორცნით, შემდეგ ცხრა ქულით დაეხმარა მას **რენდოლფი**, მესამე და მეოთხე მეოთხედების მიჯნაზე კი 14 ქულა დააგროვა **უილიამსმა** და თავისი გუნდის ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანა.

"მგლებმა" მეტოქის დაწევა სირენამდე 101 წამით ადრე **უებსტერის** ზუსტი ტყორცნით შეძლეს, მაგრამ ამით მათი ზღაპარი დასრულდა და საქმეში ჩაებნენ იმ საღამოს "დენვერის" გმირები – **აფლალო, ლოუსონი** და **ფარიდი**, რომლებმაც ერთად 61 ქულა დააგროვეს და მშვიდად მიიყვანეს "დენვერი" გამარჯვებამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ მასპინძლების შემადგენლობაში დიდხნიანი შესვენების შემდეგ გამოჩნდა **დანილო გალინარი**. იტალიელმა ფორვარდმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა, მოედანზე 35 წუთი გაატარა და 18 ქულა, 4 მოხსნა და 4 პასი დააგროვა.

**მილუოკი–ნიუ იორკი 107:111**

**27:36, 35:26, 26:22, 19:27**

**მ:** ელისი (35+10 პასი+6 მოხსნა+4 ჩაჭრა), ჯენინგსი (22+7 პასი), დანლივი (19+6 მოხსნა).

**ნ-ი:** ენტონი (32+10 მოხსნა), ჩენდლერი (19+11 მოხსნა), შუმპერტი (16+6 მოხსნა+5 პასი), სმიტი (14), ფილდსი (11+6 პასი+5 მოხსნა), ნოვაკი (10).

**ნიუ ორლეანი–საკრამენტო 105:96**

**20:29, 30:20, 29:21, 26:26**

**ნ-ო:** სმიტი (22+6 მოხსნა), ბელინელი (21), ვასკესი (15+5 პასი), ჰენრი (14), კამანი (8+10 მოხსნა+3 დაფარება).

**ს:** ტორნტონი (25+4 ჩაჭრა), ევანსი (19+8 პასი+5 მოხსნა), ტომპსონი (18+7 მოხსნა), უილიამსი (16+5 მოხსნა).

**პორტლენდი–გ. სტეიტი 118:110**

**30:25, 32:30, 23:20, 33:35**

**პ:** კროუფორდი (34), ჰიქსონი (23+13 მოხსნა), მეტიუზი (18), ფელტონი (16+10 პასი), ბატუმი (14+5 მოხსნა), პრჟიბილა (2+14 მოხსნა).

**გ-ს:** ლი (21+14 მოხსნა+6 პასი), რობინსონი (19+8 პასი), ჯეფერსონი (15), რაში (13+5 მოხსნა), ტომპსონი (12), რაიტი (11+5 მოხსნა).

**კლივლენდი–ინდიანა 98:104 (ო)**

**25:28, 21:18, 20:27, 28:21, 4:10**

**კ:** ჯეიმისონი (21+8 მოხსნა), ჰადსონი (19+6 მოხსნა), სამუელსი (13+5 მოხსნა), ტომპსონი (10+8 მოხსნა).

**ი:** გრეინჯერი (23), უესტი (19+5 მოხსნა), ჰილი (17+5 პასი), ჰიბერტი (11+11 მოხსნა+5 პასი+4 დაფარება), ჯორჯი (6+10 მოხსნა).

**ჰიუსტონი–იუტა 91:103**

**26:30, 20:26, 21:24, 24:23**

**ჰ:** დრაგიჩი (19+7 პასი), ლოური (15+5 პასი), პარსონსი (13), სკოლა (10+8 მოხსნა), პატერსონი (10+6 მოხსნა), კემბი (9+13 მოხსნა).

**ი:** ჰეივორდი (29+6 პასი), მილსეპი (21+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჯეფერსონი (15+8 მოხსნა+3 დაფარება), კეროლი (10+7 მოხსნა), ფეივორსი (10+11 მოხსნა+3 დაფარება).

**მემფისი–ფინიქსი 104:93**

**32:26, 27:27, 21:19, 24:21**

**მ:** გეი (32+7 მოხსნა), რენდოლფი (17+9 მოხსნა), მაიო (15), კონლი (12+7 პასი), კანინგემი (10).

**ფ:** გორტატი (19+5 მოხსნა), ბრაუნი (18), მორისი (17+6 მოხსნა), ნეში (11+10 პასი), ჩილდრესი (10).

**ტორონტო–ფილადელფია 75:93**

**20:20, 17:22, 20:21, 18:30**

**ტ:** ანდერსონი (13), დევისი (13+13 მოხსნა+5 პასი), დეროზანი (11), ფორბსი (10).

**ფ:** იანგი (17+5 მოხსნა), ვუჩევიჩი (12+5 მოხსნა), ბრენდი (11+8 მოხსნა), იგუოდალა (10), უილიამსი (10), ჰაუსი (10+4 დაფარება).

**ბოსტონი–ატლანტა 88:86 (ო)**

**26:25, 14:23, 27:20, 17:26, 4:2**

**ბ:** გარნეტი (22+12 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბასი (21+10 მოხსნა), პირსი (14+5 მოხსნა), რონდო (10+20 პასი+10 მოხსნა).

**ა:** ტიგი (21+6 პასი), სმიტი (20+11 მოხსნა+5 პასი), ჯონსონი (14), ფაჩულია (13+7 მოხსნა).

**დენვერი–მინესოტა 113:107**

**37:24, 31:23, 21:33, 24:27**

**დ:** ლოუსონი (24+8 პასი+5 მოხსნა), აფლალო (21), გალინარი (18), ფარიდი (16+12 მოხსნა), ჰარინგტონი (11).

**მ:** რენდოლფი (28+6 მოხსნა+5 დაფარება), უილიამსი (27+8 მოხსნა), პეკოვიჩი (12), უებსტერი (12), ბარეა (12+15 პასი+6 მოხსნა), ჯონსონი (11).

კარმელო ენტონი




# ოდომისთვის აღარც ნაკრებია

"დალასიდან" მოკვეთილი **ლამარ ოდომი** ამერიკის ოლიმპიურ ნაკრებსაც ჩამოაშორეს.

რამდენიმე ამერიკული გაზეთი წერს, რომ NBA-ის შარშანდელი ჩემპიონი, რომელიც ამ სეზონში ვეღარ შეძლებს მოედანზე გასვლას, მონაწილეობას ვერ მიიღებს ლონდონის თამაშებში, არადა, თავდაპირველად ის შეყვანილი იყო 21 კანდიდატს შორის.



ვარსკვლავები ფულს ითხოვენ

ოდომი უკვე მეორე მოთამაშეა, რომელიც აღარ განიხილება "დრიმ თიმში" მოხვედრის კანდიდატად. უფრო ადრე გახდა ცნობილი, რომ ნაკრებს გამოაკლდება **ჩონსი ბილაპსი** - ის აქილევსის მყესის ტრავმას მკურნალობს.

■ ■ ■

ამასობაში, აშშ-ის ნაკრების რამდენიმე მოთამაშეს სურს ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლის სანაცვლოდ გარკვეული ანაზღაურება მიიღოს. მათ რიგებშია "მაიამი ჰიტის" ერთ-ერთი ლიდერი **დუეინ უეიდი**.

*"ჩვენი სახელებით ყიდიან მაისურებსა და სხვა ატრიბუტიკას, რომელიც ოლიმპიადას უკავშირდება. მაშინ, რატომ არ უნდა გადაუხადონ ფული ნაკრების იმ მოთამაშეებს, რომლებიც ოლიმპიადაზე გაემგზავრებიან?* – ამბობს უეიდი. – *თითქმის მთელი ზაფხული უნდა ვივარჯიშოთ და ვითამაშოთ. ვფიქრობ, ეს ღირს იმად, რომ ჩვენი შრომა აანაზღაურონ".*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL სტენლის თასი

# ფავორიტებს გაუჭირდათ



ბრიერი და შენი

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში სტარტი აიღო სტენლის თასის გათამაშებამ. გუშინ სამ წყვილში გაიმართა სერიის პირველი მატჩები.

საინტერესო სერიას გვპირდებიან "პიტსბურგი" და "ფილადელფია". ამის თქმის საფუძველს გვაძლევს გუშინდელი პირველი მატჩის სცენარი.

"ფილადელფიამ" რეგულარულ ჩემპიონატში იმით გაითქვა სახელი, რომ ყველაზე მეტი (20) მატჩი მოიგო იმ დროს, როცა ჩამორჩებოდა მეტოქეს. ეს თვისება "მფრინავებს" კარგად გამოადგათ სერიის პირველ მატჩში.

"მფრინავებმა" შეძლეს რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის **ევგენი მალკინის** შეჩერება, სამაგიეროდ, ორი ქულა ჩაიწერა აქტივში **სიდნი კროსბიმ** – მან და მისმა პარტნიორებმა პირველ პერიოდში თითქოს გადაწყვიტეს მატჩის ბედი – 3:0 "პიტსბურგის" სასარგებლოდ.

ამის შემდეგ "ფილადელფიას" რიგებში ორი ჰოკეისტი გამოვიდა სცენაზე და თამაშის სურათი შეიცვალა. რეგულარულის ბოლო კვირა გამოტოვა "მფრინავების" ერთ-ერთმა ლიდერმა **დანი ბრიერმა** – მან ტრავმა სწორედ "პიტსბურგთან" მიიღო, მაგრამ მოასწრო გამოჯანმრთელება და გუშინდელი ფანტასტიკური გადარჩენის გმირი გახდა.

ბრიერმა **შენის** ორი საგოლე პასით მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, შემდეგ კი თავად შენმა შეძლო თამაშის ოვერტაიმში გადაყვანა, იქ კი **იაკუბ ვორაჩეკმა** მესამე წუთზე გამარჯვების შაიბა გაიტანა და თავის გუნდს სერიაში საკუთარი მოედნის უპირატესობა მოუტანა.

■ ■ ■

დასავლეთის მეოთხე გუნდი "ნეშვილი" შინ ეთამაშებოდა "დეტროიტს".

მატჩის გმირი აღმოჩნდა წლევანდელი სეზონის დებიუტანტი **გაბრიელ ბურკი**. ჰოკეისტმა, რომელმაც რეგულარულ ჩემპიონატში მხოლოდ შვიდი გოლი გაიტანა, ამჯერად დუბლის შესრულება შეძლო. კიდევ ერთი გმირი კი "ნეშვილის" მეკარე **პეკა რინე** აღმოჩნდა, რომელმაც 35 დარტყმა მოგერია.

ყველაზე მოულოდნელი შედეგი ვანკუვერში დაფიქსირდა, სადაც რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებული "კენაქსი" "ლოს ანჯელესს" მასპინძლობდა. პირველ ორ პერიოდში გუნდებმა გოლები გაცვალეს, მესამეში კი ფრთხილი და თანაბარი თამაში მიდიოდა და თითქოს ოვერტაიმი გარდაუვალი იყო, მაგრამ სირენამდე ორი წუთით ადრე "კინგზმა" გამარჯვება გამოსტაცა ფავორიტს. გამარჯვების შაიბა **პენერმა** გაიტანა, შეხვედრას კი წერტილი **ბრაუნმა** დაუსვა, რომელმაც ცარიელი კარი აიღო.

**პიტსბურგი–ფილადელფია 3:4 (ო)**

3:0, 0:1, 0:2, 0:1

**გოლები:** 1:0 კროსბი-1 (დუპუი-1, ლეტანგი-1), 2:0 კენედი-1 (ჯ. სტაალი-1, ლეგანტი-2), 3:0 დუპუი-1 (სალივანი-1, კროსბი-1), 3:1 ბრიერი-1 (შენი-1), 3:2 ბრიერი-2 (შენი-2), 3:3 შენი-1 (ჰარტნელი-1, იაგრი-1), 3:4 ვორაჩეკი-1 (მ. კარლი-1, რიდი-1).

**სერია:** 0-1

**ნეშვილი–დეტროიტი 3:2**

1:0, 1:1, 1:1

**გოლები:** 1:0 გოსტადი-1 (იიპი-1, ბუიონი-1), 1:1 ზეტერბერგი-1, 2:1 გ. ბურკი-1 (ჰალიშჩუკი-1), 3:1 გ. ბურკი-2 (სპალინგი-1, ჰორნკვისტი-1), 3:2 ჰოლმსტრიომი-1 (ქუინსი-1, ფილპულა-1).

**სერია:** 1-0

**ვანკუვერი–ლოს ანჯელესი 2:4**

1:1, 1:1, 0:2

**გოლები:** 1:0 ბაროუზი-1 (ჰ. სედინი-1, კესლერი-1), 1:1 მ. რიჩარდსი-1 (კოპიტარი-1, დაუტი-1), 1:2 უ. მიტჩელი-1 (მარტინესი-1, ჯასტინ უილიამსი-1), 2:2 ედლერი-1 (ლაპიერი-1, კესლერი-2), 2:3 პენერი-1 (ჯ. კარტერი-1, მ. რიჩარდსი-1), 2:4 დ. ბრაუნი-1 (მ. რიჩარდსი-2, ჯ. კარტერი-2).

**სერია:** 0-1

# იაგრს თამაში უნდა



იარომირ იაგრი

"ფილადელფია ფლაიერზის" ლეგენდარულმა ჩეხმა ლეგიონერმა **იარომირ იაგრმა** განაცხადა, რომ ჯერ არ აპირებს კარიერის დასრულებას.

პლეი ოფის სტარტის წინ იაგრმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი კარიერა ამ სეზონის შემდეგ არ დასრულდება და ის გააგრძელებს უმაღლეს დონეზე გამოსვლას. თუმცა იარომირს არ დაუზუსტებია, რომელ გუნდში გააგრძელებს თამაშს.

40 წლის ჩეხის კონტრაქტი მომავალ ზაფხულამდე არის ძალაში. ადრე "მფრინავების" მენეჯმენტი იტყობინებოდა, რომ გუნდი კმაყოფილია იაგრის თამაშით.

წლევანდელ რეგულარულში იარომირმა 73 მატჩში 54 ქულა (19 გოლი+35 შედეგიანი პასი) დააგროვა.

ამბები

კალათბურთი

## ოთხთა ფინალს ცსკა და პაო გახსნიან

ევროლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა წლევანდელი ოთხთა ფინალის განრიგი. ევროლიგის ოთხ საუკეთესო გუნდს 11-13 მაისს სტამბოლი უმასპინძლებს.

11 მაისს, პირველი ნახევარფინალი თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება და მოედანზე გავლენ "პანათინაიკოსი" და ცსკა. ამის შემდეგ, 22 საათზე "ოლიმპიაკოსი" და "ბარსელონა" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

13 მაისს, მესამე ადგილისთვის მატჩი 19 საათზე დაიწყება, ფინალი – 22 საათზე.

## პანათინაიკოსი დასჯილია

ევროლიგის სადისციპლინო კომიტეტმა 88 ათასი ევროთი დააჯარიმა "ოთხთა ფინალის" მონაწილე "პანათინაიკოსი". ამის მიზეზი გახდა "მაკაბისთან" მეოთხედფინალური სერიის მეხუთე მატჩში მაყურებლების უდისციპლინო საქციელი. მატჩის დროს ბერძენი ფანები ლაზერულ მოწყობილობებს იყენებდნენ "მაკაბის" კალათბურთელისთვის ხელის შესაშლელად, აგრეთვე სხვადასხვა საგანს ისროდნენ და მატჩის შემდეგ მოედანზე გაცვივდნენ.

თუ მსგავსი ინციდენტები განმეორდა, ბერძნულ გრანდს უფრო მკაცრი სანქციები ელის.

## ვეტერანი სახლში წავიდა

გერმანული კალათბურთის ვეტერანმა, 37 წლის ცენტრმა **პატრიკ ფემერლინგმა** კარიერის დასრულება გადაწყვიტა. მან შარშანდელი სეზონი ბერლინის "ალბაში" გაატარა, ზაფხულიდან მოყოლებული კი უსაქმოდ იყო.

*"დიახ, ეს დასასრულია. შემეძლო მეპოვა სამუშაო სეზონის დასკვნითი ნაწილისთვის, მაგრამ არ მოვისურვე ამის გაკეთება"*, - განაცხადა პატრიკმა.

მდიდარი კარიერის განმავლობაში ფემერლინგმა რამდენიმე ევროპულ გრანდში ითამაშა: ბერძნულ "პანათინაიკოსსა" და "ოლიმპიაკოსში", ესპანურ "ბარსელონასა" და "კახასოლში"...

გერმანიის ნაკრების რიგებში ფემერლინგი მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს ბრიზიორი გახდა, იყო ევროპის ვიცე-ჩემპიონი. საკლუბო დონეზე პატრიკი გერმანიის, ესპანეთისა და საბერძნეთის ჩემპიონის ტიტულს ფლობდა, 2003 წელს კი ევროლიგა მოიგო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **იტალია** | |
| ბოლონია-კალიარი | 1:0 |
| **ესპანეთი** | |
| ვილიარეალი-მალაგა | 2:1 |
| რასინგი-მალიორკა | 0:3 |
| სევილია-სარაგოსა | 3:0 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ჰოფენჰაიმი A-ნიურნბერგი A | 1:3 |
| **ჰოლანდია** | |
| გრააფსხაპი-უტრეხტი | 3:0 |
| ვენლო-ვიტესი | 1:3 |
| დენ ჰააგი-გრონინგენი | 3:0 |
| **ბელგია** | |
| სტანდარდი-ბრიუგე | 1:1 |
| **შვედეთი** | |
| ელფსბორგი-ნორჩოპინგი | 2:0 |
| ჰაკენი-მიალბიუ | 4:2 |
| სუნდსვალი-სირიანსკა | 4:0 |
| აიკ-გიოტებორგი | 1:1 |
| **თურქეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ქარაბუქი-ბოლუ | 1:0 |
| შივასი-ბურსა | 1:4 |
| **რუმინეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| გაზ მეთანი-დინამო | 2:1 (0:1) |
| **მაკედონია** | |
| შკენდია-ტურნოვო | 2:1 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **იტალია** | |
| კანტუ-მონტეპასკი | 95:94 (ო) |
| **თურქეთი** | |
| ეფესი-ბეშიქთაში | 77:86 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **დანია** | |
| ოდენსე-ჰერნინგი | 1:8 |
| **სლოვაკეთი** | |
| სლოვანი-კოშიცე | 1:3 |
| **შვედეთი** | |
| ბრინასი-შელეფტეო | 3:2 (ო) |
| **შვეიცარია** | |
| ბერნი-ციურიხი | 1:2 (ო) |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. კასაბლანკა** | |
| ჰანესკუ-**რამოსი** | 2:6, 4:6 |
| ფ. მაიერი-**შარდი** | 3:6, 1:6 |
| **ATP. ჰიუსტონი** | |
| **კუერი**-ანდერსონი | 6:7, 6:3, 6:7 |
| **მონაკო**-იტო | 6:3, 6:3 |
| **სვიტინგი**-რეინოლდსი | 6:3, 6:2 |
| **WTA. ბარსელონა** | |
| **ბეიგელციმერი**-პენეტა | 6:2, 6:7, 6:4 |
| **ციბულკოვა**-ზაკოპალოვა | 5:7, 6:4, 6:4 |
| **გოვორცოვა**-პოუს ტიო | 7:6, 6:7, 6:2 |
| მუგურუსა ბლანკო-**გორგესი** | 5:7, 7:5, 2:6 |
| დომინგეს ლინო-**კირსტეა** | 6:1, 3:6, 1:6 |
| **WTA. კოპენჰაგენი** | |
| ნიკულესკუ-**იოვანოვსკი** | 7:6, 4:6, 1:6 |
| კეოტავონგი-**კერბერი** | 6:4, 3:6, 3:6 |
| **ვოზნიაცკი**-პარმენტიე | 6:2, 6:1 |
| პუტინცევა-**იანკოვიჩი** | 3:6, 1:6 |

TV პროგრამა

**13 აპრილი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXXIII ტურის მიმოხილვა.
**11:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXX ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXX ტური. ვერდერი-ბორუსია (მ).
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XXXI ტური. ნაპოლი-ატალანტა.
**16:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXXII ტური. ატლეტიკო-რეალი.
**18:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXXII ტურის მიმოხილვა.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXX ტური. დორტმუნდი-ბაიერნი.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**22:30** გერმანიის ჩემპიონატი. XXXI ტური. შტუტგარტი-ვერდერი (LIVE).
**00:30** იტალიის ჩემპიონატი. XXXI ტურის მიმოხილვა.
**01:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIX ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ბოლონია-კალიარი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-მაიამი.
**14:30** სუპერკოლაჟი.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ალკმაარი-ტვენტე.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. 1/4 ფინალი. სარასენი-კლერმონი.
**18:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**21:45** სუპერკოლაჟი.
**22:00** NBA ACTION.
**22:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-მაიამი.
**00:45** ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყარო.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. III წრე. მონტე კარლო.
**13:00** სპორტ-NEWS.
**13:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. 1/4 ფინალი. მანსტერი-ალსტერი.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. III წრე. მონტე კარლო.
**17:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ლაციო.
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-მემფისი.
**21:30** NBA Action.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მონტე კარლო.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 9 | 24 | (მზე) |
| ქუთაისი | 7 | 27 | (მზე) |
| ბათუმი | 7 | 22 | (მზე) |
| ფოთი | 9 | 17 | (მზე) |
| ზუგდიდი | 7 | 26 | (მზე) |
| გორი | 6 | 25 | (მზე) |
| თელავი | 10 | 23 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 0 | 14 | (მზე) |
| გუდაური | -1 | 9 | (მზე) |
| მესტია | 2 | 17 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1527 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6378 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6129 |
| 100 რუსული რუბლი | 5.5389 |

კრივი

# კლიჩკო–ტომპსონი დადასტურდა

ოფიციალურად დადასტურდა საჩემპიონო ორთაბრძოლა სუპერმძიმე წონით კატეგორიაში. WBA-ის, IBF-ისა და WBO-ის ვერსიებით მსოფლიოს ჩემპიონი, უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკო** ტიტულის მორიგ დაცვას ამერიკელი **ტონი ტომპსონის** წინააღმდეგ ჩაატარებს. ბრძოლა 7 ივლისს შვეიცარიის ქალაქ ბერნში გაიმართება.

40 წლის ტომპსონი, მეტსახელად "ვეფხვი" IBF-ის ვერსიით გახლავთ ოფიციალური პრეტენდენტი. მის აქტივშია 36 გამარჯვება (24 – ნოკაუტით) და ორი წაგება. აღსანიშნავია, რომ ეს არის ამ მოკრივეთა მეორე შეხვედრა. 2008 წელს, ამერიკელი WBO-ის აუცილებელი პრეტენდენტი იყო და უმცროს კლიჩკოსთან მე-11 რაუნდში დამარცხდა, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ხუთი ბრძოლა მოიგო.

*"ტომპსონი ძლიერი და რთული ცაცია მოკრივეა. კარგი ტექნიკა გააჩნია და ერთ-ერთი რთული მოწინააღმდეგე იქნება ჩემს კარიერაში. ვიცი, რომ თავისი გამარჯვებათა სერიით თავდაჯერებულობა მოემატა, ამიტომაც მოუთმენლად ველი მასთან შეხვედრას. მიხარია ბერნის არენაზე გასვლა, სადაც 2009 წელს ჩემი ძმა ჩხუბობდა და შვეიცარიული პუბლიკისგან დიდი მხარდაჭერაც იგრძნო"*, - განაცხადა ვლადიმერ კლიჩკომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სეზონის ხუთი მთავარი დუელი

**ფორმულა 1-ის ნებისმიერმა პილოტმა შესანიშნავად იცის: წარმატების მისაღწევად, პირველ რიგში, თანაგუნდელის დამარცხებაა საჭირო. Autosport.com სწავლობს წამყვან გუნდებში პარტნიორთა ძლიერ და სუსტ მხარეებს და აფასებს მათ შანსებს.**



უებერი თუ ფეტელი?

## კიმი რაიკონენი-რომენ გროსჟანი, ლოტუსი

მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონის გადაწყვეტილება დიდ სპორტში დაბრუნების შესახებ, რა თქმა უნდა, ძალიან წაადგება "ლოტუსს". წინასასეზონო ტესტებზე გუნდმა კარგი შედეგები აჩვენა და კიმიმ შეძლო საერთო ენის გამონახვა გუნდთან და ბოლიდთან. **რომენ გროსჟანის** დაბრუნება გუნდში ასევე კარგად გათვლილი ნაბიჯია: ფრანგი არაფერში ჩამორჩებოდა თავის თანაგუნდელს ტესტებზე და მელბურნში შეძლო სასტარტო ბილიკის მეორე რიგში ადგილის დაკავება.

რომენმა ძალიან იოლად იპოვა კონტაქტი ახალ ბოლიდთან. როგორც ჩანს, ნაკლებად გადატვირთული მანქანა კარგად ერგება ფრანგის პილოტირების სტილს. საკვალიფიკაციო რბოლებში გროსჟანმა ბევრი გააკვირვა თავისი მაღალი ტემპით, მაგრამ ორი რბოლის ნაადრევად დასრულებამ წარმოაჩინა ძველი პრობლემა: გროსჟანი კვლავაც არაკონცენტრირებულ სპორტსმენად რჩება. მსგავს სურათს ვხედავდით რამდენიმე წლის წინ GP2-ის სერიაში, მაგრამ ახალგაზრდულ ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ ისე ჩანდა, რომ ამ პილოტმა მოიპოვა სიმშვიდე და მზად არის კარიერაში დიდი ნაბიჯის წინ გადასადგმელად, მაგრამ... როგორც ჩანს, ფრანგს უფრო მეტი მუშაობა სჭირდება შეცდომებზე.

ახალი ჩემპიონატის პირველ რბოლებში რაიკონენის გამოსვლამ, სავარაუდოდ, გააქარწყლა სკეპტიკოსების ეჭვი ფინელთან მიმართებაში. კიმი ისე გამოდის, თითქოს არ არსებობდა ფორმულა 1-ის მიღმა გატარებული ორი წელი: ის სწრაფად შეეგუა "პირელის" საბურავებს და არ დაუკარგავს საფირმო ტემპი სწრაფ წრეზე. რაიკონენის ბოლიდთან მუშაობაზე ძველებურად არსებობს გარკვეული ხარვეზები, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს მას გროსჟანის უკან ჩამოტოვებაში.

**შანსები:** 60/40

## მიხაელ შუმახერი-ნიკო როსბერგი, მერსედესი

"მერსედესის" პილოტებისთვის ეს წელი განმსაზღვრელი უნდა გახდეს. **შუმახერი**, შესაძლოა, ბოლო სეზონს ატარებს ფორმულა 1-ში და სურს ამაყად თავაწეულმა დატოვოს სპორტი. როსბერგისთვის კი აუცილებელია იმის დამტკიცება, რომ ის თანაგუნდელზე ძლიერია. ამით ის საჯინიბოს სრულფასოვანი ლიდერი გახდება ან მიიღებს წინადადებას სხვა ტოპ-გუნდებიდან. გასულმა სეზონმა აჩვენა, რომ პილოტების დონე თითქმის ერთნაირია – სხვაობა მხოლოდ 13 ქულა იყო.

ფორმულა 1-ში დაბრუნების შემდეგ, მიხაელის მთავარი პრობლემა კვალიფიკაცია გახდა – ახალ საბურავებთან შეგუების აუცილებლობამ იქამდე მიიყვანა, რომ შვიდგზის ჩემპიონს უჭირდა ერთჯერადი სწრაფი წრეები, მაგრამ რბოლებში შუმახერი შესანიშნავ და სტაბილურ ტემპს აჩვენებდა. ავსტრალიისა და მალაიზიის ეტაპებმა აჩვენა, რომ 43 წლის გერმანელს ბევრი უმუშავია თავის პრობლემებზე და დამაჯერებლად მოუგო თანაგუნდელს კვალიფიკაციებზე.

დადის ჭორი იმის შესახებ, რომ "მერსედესის" ახალი ბოლიდი უფრო შუმახერს ერგება, ვიდრე როსბერგს და ამაში არის სიმართლის ნატამალი. გარდა ამისა, შვიდგზის ჩემპიონისთვის სიტუაცია უფრო იოლია ფსიქოლოგიური თვალსაზრისით – წლის შედეგების მიხედვით თანაგუნდელთან კიდევ ერთი წაგების გამო მისი რეპუტაცია დიდად არ დაზარალდება.

ნიკო, როგორც ჩანს, ზეწოლას გრძნობს – ეს შეინიშნება კვალიფიკაციებში შეცდომებისას და რბოლებში არასტაბილური გამოსვლისას. ეს ყველაფერი არ ლაპარაკობს როსბერგის სასარგებლოდ, მაგრამ გვჯერა, რომ ის გაუმკლავდება მღელვარებას, მანქანას და ბრძოლას გაუმართავს თანაგუნდელს.

**შანსები:** 50/50

## ჯენსონ ბატონი-ლუის ჰემილტონი, მაკლარენი

ბოლო წლის განმავლობაში "მაკლარენში" სიტუაცია სერიოზულად შეიცვალა. ადრე ყველა სპეციალისტი ერთხმად იზიარებდა იმ აზრს, რომ 2009 წელს **ბატონს** ტიტული **როს ბრაუნის** წარმატებულმა ბოლიდმა მოუტანა და ახალ გუნდში გადასვლის შემდეგ, ჯენსონი **ლუის ჰემილტონის** ჩრდილში მოექცეოდა. მაგრამ 2011 წელს ჯენსონმა პირწმინდად დაამარცხა თანაგუნდელი, ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა და საერთო ჯამში, **სებასტიან ფეტელის** ერთადერთ პოტენციურ მონინააღმდეგედ იქცა. ბრწყინვალე ფორმა აჩვენა ბრიტანელმა 2012 წლის სეზონის პირველ რბოლაში – დამაჯერებლად მოიგო ავსტრალიის გრანპრი.

შარშან, მისმა თანაგუნდელმა ყველა შესაძლო პრობლემა გადაიტანა – ტრასებზე ინციდენტებით დაწყებული, პირად ცხოვრებაში წარუმატებლობებით დამთავრებული. და ახალ ჩემპიონატშიც ჰემილტონი არ მიიჩნევა მშობლიური გუნდის ულაპარაკო ლიდერად.

ლუისის კოზირი – ბრწყინვალე საბაზო სისწრაფეა, რომელიც, ამასთან, იოლად იკარგება საბურავების ცვეთის პრობლემების დროს. ჯენსონი, პირიქით, უფრთხილდება საბურავებს და ამიტომაც შეუძლია საკმაოდ დიდხანს შეინარჩუნოს რბოლაში უმაღლესი ტემპი.

ახალი "პირელი" შარშანდელზე რბილია, მაგრამ უფრო მდგრადიც არის. ამიტომაც არ შეიძლება იმის თქმა, რომ 2012 წელს "მაკლარენის" რომელიმე პილოტი საბურავებთან მუშაობისას აშკარა უპირატესობას მიიღებს. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, ვინ უკეთ გაუმკლავდება სირთულეებს პრობლემურ სფეროებში: ან ლუისი ისწავლის საბურავების დაზოგვას და უფრო სტაბილური იქნება, ან ჯენსონი მოუმატებს ტემპს ერთ სწრაფ წრეზე.

სანამ "მაკლარენი" გააგრძელებს დომინირებას კვალიფიკაციაში, ბატონს სავსებით დააკმაყოფილებს შაბათობით მეორე ადგილი, მაგრამ როცა მეტოქეები წამოიწევიან, ბრიტანელი, შესაძლოა, უკან გადავარდეს და აღარ გამოაცხადოს პრეტენზია რბოლებში გამარჯვებაზე.

ჯერჯერობით კი ყველა ფაქტორის გავალისწინებით, ყველაფერი ჯენსონის მცირე უპირატესობაზე ლაპარაკობს, მაგრამ სეზონის მსვლელობისას ძალთა თანაფარდობა შეიძლება შეიცვალოს.

**შანსები:** 55/45

## ფერნანდო ალონსო-ფელიპე მასა, ფერარი

სიტუაცია "ფერარიში" ყველა გულშემატკივრისთვის ცხადია. გუნდის ხელმძღვანელმა **სტეფანო დომენიკალიმ** საქვეყნოდ აღიარა უკმაყოფილება ახალი ბოლიდის გამო, აგრეთვე მოუწოდა გულშემატკივრებს მხარში ამოუდგნენ **ფელიპე მასას**. ბრაზილიელი უკვე დიდი ხანია პელოტონის შუაშია ჩარჩენილი, იმ დროს, როცა **ფერნანდო ალონსო** მარტო მიათრევს გუნდს წინ.

როგორც ჩანს, F2012-ის თავისებურებები საშუალებას არ აძლევს ესპანელს იბრძოლოს პოულისთვის. მაგრამ, 2010 წლის სეზონში დაფიქსირებულ შეცდომებს უკვალოდ არ ჩაუვლია: ალონსო კარგად არჩეული ტაქტიკით ახერხებს კვალიფიკაციაში მიღებული ჩამორჩენის გაბათილებას და საკუთარი ძალისხმევის ხარჯზე ხვდება პოდიუმზე. ამასთან, ესპანელი უფრო ხშირად პოულობს საერთო ენას ბოლიდთან, ვიდრე მისი თანაგუნდელი.

მასას სარბოლო ტემპს ბევრი ნეგატიური გამოძახილი აქვს, მაგრამ თუ ადრე ფელიპე წარუმატებლობას საბურავებს აბრალებდა, ახლა, ისე ჩანს, რომ საერთოდ ვერაფერი გაუგო არასტაბილურ ავტომობილს. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო წლებში გუნდმა ვერაფრით გაუწია დახმარება ბრაზილიელს საბურავებთან მუშაობაში პროგრესის მიღწევის მხრივ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ 2012 წელს მკვეთრი ცვლილება მოხდეს, და ასეთ შემთხვევაში, ფელიპესგან რთულია ველოდოთ სიტუაციის გარდატეხას.

**შანსები:** 75/25

## სებასტიან ფეტელი-მარკ უებერი, რედ ბული

ფორმულა1-ის ტექნიკური რეგლამენტის ბოლო რედაქციამ ბოლიდებს მოჭიდების ძალის ნაწილი დააკარგვინა. ავტომობილის ბალანსის, მოჭიდებისა და უკანა საბურავების ცვეთის ცვლილებებმა ის მოიტანა, რომ შარშან დატანჯული **მარკ უებერი** 2012 წლის სეზონის სტარტზე სისწრაფით თითქმის დაეწია თანაგუნდელ სებასტიან ფეტელს.

გასულ წელს, RB7-ის უკანა საბურავებზე მეტისმეტმა დაწოლამ უებერი ძალიან დააზარალა – ეს ყველაფერი ეტყობოდა კვალიფიკაციასა და რბოლებში სისწრაფეს. ახლა კი, დიფუზორის გაუქმებით, როგორც ჩანს, ავტომობილის უკანა ნაწილის მოჭიდების ნაკლებობა იგრძნო ფეტელმა.

ჯერჯერობით "რედ ბულის" ორივე პილოტის სიჩქარე დაახლოებით თანაბარია – გრძელ დისტანციაზე სება ოდნავ უსწრებს მარკს, სამაგიეროდ, ერთ სწრაფ წრეზე ავსტრალიელი უკეთ გამოიყურება. მაგრამ თუ "რედ ბული" ჩემპიონატის მსვლელობისას დახვეწს RB8-ს და მოახდენს დაკარგული მოჭიდების ძალის კომპენსირებას, ამან შეიძლება ისევ დაუბრუნოს გერმანელს უპირატესობა და ის ისევ გაიჭრება წინ.

**შანსები:** 60/40

ლუის ჰემილტონი



## ჩინეთი ლუისის დაქვეითებით დაიწყო

როგორც იცით, "მაკლარენის" პილოტმა ლუის ჰემილტონმა სეზონის პირველი ორი რბოლა პოულიდან დაიწყო, მაგრამ ჩინეთის გრანპრიზე, რომელიც კვირას გაიმართება, ბრიტანელი სასტარტო ბილიკზე ხუთი ადგილით დაიხევს უკან იმ შედეგთან მიმართებაში, რომელსაც ის კვალიფიკაციის დროს დააფიქსირებს.

*"ჩვენ პრობლემები შეგვექმნა გადაცემათა კოლოფის გამო და შაბათს მისი შეცვლა მოგვიწევს, ამიტომაც მე დავკარგავ ხუთ ადგილს ჩინეთის გრანპრის სტარტზე. იმედია, სწრაფები ვიქნებით და წინ გასვლას მოვახერხებთ.*

*მიუხედავად ამისა, გუნდს შეუძლია კარგი უქმეების ჩატარება. შარშან აქ მესამე ადგილიდან ავიღე სტარტი და მაინც მოვახერხე გამარჯვება. ბოლო გრანპრიზე კი მოიგო პილოტმა (ფერნანდო ალონსო), რომელიც შორს იყო პირველი ადგილიდან. ასე რომ, დაკარგული არაფერია"*, - განაცხადა ალონსომ.

### ჩინეთის გრანპრი

**ჩატარების ადგილი** - შანხაი, ჩინეთი

**წრის სიგრძე** - 5 451 მ

**საუკეთესო წრე** - 1:32,238 (შუმახერი, 2004)

### საერთო ჩათვლა

1. ალონსო (ფერარი) - 35 ქულა
2. ჰემილტონი (მაკლარენი) - 30
3. ბატონი (მაკლარენი) - 25
4. უებერი (რედ ბული) - 24
5. პერესი (ზაუბერი) - 22
6. ფეტელი (რედ ბული) - 18
7. რაიკონენი (ლოტუსი) - 16
8. სენა (უილიამსი) - 8

### განრიგი

13 აპრილი, 06:00 - I პრაქტიკა

13 აპრილი, 10:00 - II პრაქტიკა

14 აპრილი, 07:00 - III პრაქტიკა

14 აპრილი, 10:00 - კვალიფიკაცია

15 აპრილი, 11:00 - რბოლა

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ბატონი თუ ჰემილტონი?

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი

ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია ტუხაშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია